

## სიმონ ჯანაშია

### თუხალ-თაგალი, ტიპარმენი, იბერი<sup>1</sup>

ქართული კულტურის ფესვები ღრმად არის გადგმული შორეულ საუკუნეებსა და სივრცეებში. მსოფლიოს ცნობილ მეცნიერთ, ფრ. ჰომელს, ედ. მაიერს, კიპერტს, ლემან-ჰაუპტს, ლენორმანს, აკად. ნ. მარს, აკად. ტურაევს და მრავალს სხვას არა ერთგზის გამოუთქვამთ მოსაზრება რომ ქართველი ტომები მემკვიდრეობითს კავშირში იმყოფებიან წინააზიის იმ უძველეს მოსახლეობასთან (სუმერები, ხეთები, მიტანიელები, ხალდეები და სხვ.), რომელმაც შექმნა საკაცობრიო კულტურის ყველაზე ადრინდელი კერები. მართლაც, ქართული კულტურის ისტორიულად მოცემული შედგენილობა ამგვარებს აღნიშნული კავშირის მრავალგვარსა და მრავალრიცხოვან ფაქტებს. ქართული კულტურის მეცნიერული შესწავლა ამიტომ შეუძლებელია ამ კულტურის წყაროსთავალს (სათავის) ყოველმხრივი გათვალისწინების გარეშე.

აქ ჩვენ გვინდა წარმოვადგინოთ, ხეთურ-ქართული ნათესაობის საკითხისათვის, ერთი საბუთი, ამოღებული სატომო სახელწოდებათა სამყაროდან, რომელსაც ჩვენ უაღრესად კრიტიკულად და ისტორიულად ეჭვდებით, რადგანაც შეგნებული გვაქვს ამ კატეგორიის ტერმინთა დიდი მიდრეკილება მრავალმხრივი ცვალებადობისადმი.

ქართველი ტომების წარმომადგენლები ამეამად არიან<sup>2</sup>: საკუთრივ ქართველები, ანუ, როგორც მათ ზოგჯერ ეძახიან, ქართველი („ქართველი“ იმავე დროს საერთო სახელწოდებაა ამ მონათესავე ტომებისათვის), მეგრელები, კანები, სვანები.

ეს სატომო სახელები ყველა ერთი ისტორიული ხანის პროდუქტი არ არის, ისევე, როგორც ისინი არც ერთგვარი აღნაგობისა და წარმოშობისა არ არიან.—მათი მორფოლოგიის თვალსაზრისით (და არა ფუძეთა ისტორიის მიხედვით) უძველესი, ზემოთჩამოთვლილ სახელთა შორის, არის, უეჭველად, სვანი და ქანი. პირველი, მოცემული ფორმით, *Swanz*, ცნობილია უკვე ანტიკური მწერლობისათვის, ჩვენს ერ მდე<sup>3</sup>. ბერძნულმა და რომაულმა მწერლობამ იცის ამ სახელის სხვა დაწერილობაც, რომელიც კიდევ

<sup>1</sup> მოხსენა ენიშკის ისტორიის განყოფილებას 1937 წ. 15. I. იბეჭდება გაფართოებული სახით.

<sup>2</sup> გვულისხმობთ რომ თვენუნ ისეთი ქართველი ტომებიც, რომელთაც, არახელსაფრულ პირობების წყალობით, ისტორიულ დრომდე ვერ მოაღწიეს.

<sup>3</sup> სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 2, § 14 და 19, მაინვეს გამოც. 1925, გვ. 698 და 701.

უფრო ახლოს დგას ქართულთან: ასე მაგ., პტოლემე, გეოგრ. წ. V, თ. VIII, SC 241: *Σαυαρόσις*, თუ აქ მართლაც სვანები იგულისხმებიან: პლინიუს, Nat. hist., SC II, 178, VI, 14, *Suani* (თუ ესეც საეჭვო არ არის) და უკვე სრულიად უეჭველო, გვიანდელ ავტორთა, ცნობები; იხ. მაგ., პრისკე პანიელთან, გოთ. ისტორია, 41, SC: I 845, *ἡ Σαυαρία*; *ἡ Σαυαρία*, იქვე, 846, და სხვ. ამავე სახელწოდებით იცნობენ სვანებს მეზობელი ტომებიც (ქართ. სვან-ი, მეგრ. შონი, აფხ. ა-შან-უა<sup>1</sup> და სხვ.) და ასევე უწოდებენ თვით სვანებიც თავიანთ თავს.

სიტყვა „შუან“ ამჟამად როგორც ზემო, ისევე ქვემო სვანეთში თვით ქვეყანას, სვანეთს აღნიშნავს, მაგრამ ეს, უეჭველია, მეორეული მოვლენაა. თავდაპირველად იგი სატომო სახელი იყო, რათქმუნდა. ამის საბუთია მოცემული ფუძის სხვა წარმოებანი და ანალოგიური მოვლენები სატომო სახელების სფეროდან. ზოგიერთი ზოგადი ხასიათის მოსაზრებაც ამასვე უჭერს მხარს. ასე, თუ „სვანი“ ამჟამად „მუშუან“ (ზ. სვ.) და „მუშუნი“ (ქვ. სვ.) ფორმებით გამოხატვის, მრავლობითში უკვე ფუძე წმინდად აღიღგენს თავს „შუანარ“ (ზ. და ქვ. სვ.). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მართო მორფოლოგიური მოვლენა არ არის. მრავლობითისათვის ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი ძალიან საინტერესო ფორმა — „შუანწილარ“, სვანები (ქვ. სვ.). „სვანეთის“ აღსანიშნავად საკუთარი ფორმებია „ლაშუან“, „სასვანო“ (ქვ. სვ.), „ლემშუანერა“ (ზ. სვ.) და „ლემშუანერა“ (ქვ. სვ.). უკანასკნელი ფორმები თვით სვანებს ესმით როგორც „მთელი სასვანო, მიწა-წყლითა და მოსახლეობით“<sup>2</sup>. გარდამავალი, ტომიდან ქვეყანაზე, მნიშვნელობა ტერმინისა ჩანს ისეთს ხალხურს თქმებში, როგორიცაა: „მურგაშულ შუან ანკად“ — „ყოველი სვანი (მთელი სვანეთი) ჩამოვიდა“, „მურგაშულ შუან ანხატა ეშუშუ“<sup>3</sup> — „მთელი სვანეთი (ყოველი სვანი) ეამით ამოწყდა“. სემანტიკურ განვითარების ხაზი ასეთია: „სვანი“ (ისე როგორც სხვა სატომო სახელები, თუში, მაგ.) თავდაპირველად აღნიშნავს მთელ ტომს, როგორც გარკვეულს საზოგადოებრივ კავშირს, კრებულს. ტომის ცალკეული წარმომადგენელი, ინდივიდი, აღინიშნება როგორც „შვილი“ ამ ტომისა, „სახლის შვილის“, „სახლის წულის“ ენობრივ-ფსიქოლოგიურ ყაიდაზე. საზოგადოდ, კრებითი მნიშვნელობა უფრო აღრინდელია სატომო სახელებში, ვიდრე კერძობითი, საინდივიდო<sup>4</sup>.

სათანადო ფაქტები დღემდე შერჩენილია ქართულს ხალხურ პოეზიაში, სადაც ვხვდებით ისეთს დიდად საინტერესო ფორმებს, როგორიცაა: „ქართლი-

<sup>1</sup> იხ. Н. М а р р. *Анхваско-русский словарь*, ამ სიტყვის ქვეშ.

<sup>2</sup> მადლობით უნდა აღნიშნათ რომ ეს ცნობები მოგვაწოდეს ა. დავითიანმა (ლაბაშულიდან) და სხვა სვანებმა. ალბათ გაუგებრობით ამტკიცებს სტოიანოვი — რომ „შუან“, „შუანარ“ ნიშნავს „სვანეთს“, „მუშირ“ („მუშენი“) — სვანს, *СЛОВАРЬ X, ст. II, Словарь к песням*. — გ რ ე ნ ი კიდევ სვანეთისათვის უჩვენებს „შუანა“ ფორმას იქვე, *Словарь к текстам, собранным Грейном*.

<sup>3</sup> იმავე ცნობით.

<sup>4</sup> აკად. ნ. მარის მოსაზრებები ტერმინ „სვანის“ შესახებ იხ. *ის ისт о р е т и к в С а в н и ш, X II, т. II, вып. I* განსაკ. გვ. 32 შენ. ავტორი აქ იმ აზრისკენ იხრება რომ სვანურის ძირითად შემადგენლობის მატარებელი ხალხი თავდაპირველად არ ატარებდა „სვან“ სახელწოდებას. — იფეტური ეთნიკური სახელწოდება სვანებისა იყო „აბასი“-ო, გვ. 34.

შვილები“<sup>1</sup>, „ქისტისშვილები“ ან „ქისტიშვილები“<sup>2</sup>, „ფშაელიშვილები“ (ან „ფშაელისშვილები“, „ფშაველთშვილები“)<sup>3</sup>, „ქარელთშვილები“<sup>4</sup>, „ოსმალში თათარი თარაქამაისშვილი“<sup>5</sup> („ოსმალში თათარს აქეზენ თარაქამაის შვილსაო“, შემდეგ იგი და მისი ამხანაგები იწოდებიან როგორც): „თათრიშვილები“<sup>6</sup>, „თუშიშვილები“<sup>7</sup>, „ხვესურთშვილები“<sup>8</sup>, „ლეკისშვილები“<sup>9</sup>. ამ ტერმინებში ჩვენ, რათქმუნდა, მეორეული წარმოვბანი გვაქვს, ოღონდ ისინი ძველი ნორმების მიხედვით არიან გამართულნი.

მოცემულს სტადიაზე, სატომო სახელი შეიცავს მიწაწყობის მნიშვნელობის მომენტსაც, ან არა და, უკანასკნელი გამოიხატება სათანადო ტერმინით, რომელიც სატომო სახელთან საზღვრულის როლში გამოდის<sup>10</sup>. მხოლოდ ძალიან გვიან, კლასობრივ საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ, ჩნდება მოთხოვნილება, ამ ახალს საზოგადოებრივ-ტერიტორიულ კავშირს მოეძებნოს ახალი სახელიც<sup>11</sup>. ეს უკანასკნელი ჩვეულებრივად არის იგივე სატომო სახელწოდება, გაფორმებული ადგილსამიწის აღნიშვნელ აფიქსის საშუალებით (ქართ. სა—ო, -ეთი, თავისი ვიანდელი მნიშვნელობით). ამ საფეხურზე ძელი კრებითი მნიშვნელობის ტერმინი უკვე ცალკეული ინდივიდის აღნიშვნის ფუნქციას კისრულობს.—კერძოდ, „სვანი“ ტერმინის ისტორიის კარგ ანალოგიას გვაძლევს ქვემოთ ნაჩვენები ისტორია „ზანისა“ (—მეგრელი) სვანურში<sup>12</sup>.

ქანების სახელიც, ამ ფორმით, საკმაოდ ადრე ჩნდება უცხოურ მწერლობაში. კერძოდ, პროკოპი კესარიელს, VI ს. ცნობილს ბიზანტიელ მწერალს, დაცული

<sup>1</sup> იხ. აქვე ა. ჩიქობავა, ს-ს დასუსტება კიზიურში, გვ. 68.

<sup>2</sup> „ფშაური ლექსები, შეკრებილი დ. ხიზანაშვილის მიერ“, ტფ. 1887 წ., გვ. 24, 71, 90, 91.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 25, 30, 39, 56, 57, 67, 72, 77, 81, 153.

<sup>4</sup> „ „ 48.

<sup>5</sup> „ „ 51.

<sup>6</sup> „ „ 52.

<sup>7</sup> „ „ 53.

<sup>8</sup> „ „ 57.

<sup>9</sup> „ „ 68.—ასეთივე ფაქტები იხ. ბესარიონ გაბუური, ხვესურული ტექსტები, გა-

მოც. ავ. შანიძის მიერ, „წელიწადული“, I—II.

<sup>10</sup> შეადრ. ქართ. ლიტ. ფსევდონიმი: „ქართველი ოსებში ნამყოფი“, რაც ნიშნავს „ოსების ქვეყანაში ან ოსეთში ნამყოფს“.

<sup>11</sup> ამ საკითხისათვის იხ. აგრეთვე ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე.

<sup>12</sup> საინტერესოა, რომ ძველმა რუსულმა „სვანეთის“ მნიშვნელობით Соин შეთივისა (გაგებულია როგორც მრავლობითი რიცხვის ფორმა), იხ. Б е з о ж у р о в, М а т е р и я л и М а т е р и я л и р у с с к о й и с т о р и и, М. 1888, ელიზინსა და ხაზარაიჯის ელიზინსა სამეგრელოში 1639—1640 წ.წ.: о и с К а р а ч а л е в д о С о п е й ш а н и с д л и е й, а о т С о п е й д о Д и л ь ш а н с к о й з е м л и ш а н и s д л и ш и, გვ. 302; პარალელურად იხმარება Соинская земля:.. «прямомъ дорогомъ на Соинъ в Дильшанскую землю; а от Ханыки до Соинъ: ой земля три дни ходу», გვ. 304; იხ. აგრეთვე 310, 318, 357 (в Соинъ и в Черкаские Кабарды и в Кумыкию); ტერმინი იმავე დროს აღნიშნავს თვით ტომს, სვანებს: ...«с имени Соинъ означена», გვ. 310. ადვილად შესაძენვეია რომ ამ შემთხვევაში ტერმინი იტევს ეთნიკურსა და ტერიტორიულ აზრს, ერთდროულად, სწორედ ჩვენ მიერ აღნიშნული წესის თანახმად.

აქვს ეს ფორმა, *Ἰζαο*: (უეკველია რომ გრაფიკული კომპლექსი — ბერძნული ენისთვის უცხო ბერძნულს, ამ შემთხვევაში, ქართულ აფრიკატს გადმოსცემს, იხ. ქვემოთ), იმ რწმენასთან ერთად რომ ქანები ძველად სანებად, *Σαοαι*, იწოდებოდნენ<sup>1</sup>. ეს აზრი, შემდეგში განმტკიცდა ბიზანტიურ მწერლობაში, რომლის წარმომადგენელთაგან ზოგნი იპასაც ფიქრობდნენ რომ „ქანი“ მხოლოდ მდაბიური ფორმაა „სანისა“-ს. რომელიც, ამავე მწერალთა მტკიცებით, თითქოს XII საუკუნეშიაც კი, ახ. წელთაღრიცხვით, ცოცხალი ფორმა უნდა ყოფილიყო<sup>2</sup>.

საყურადღებოა, რომ ქანები, პროკოპისავე ცნობით, მრავალ ტომად იყოფოდნენ; პროკოპის, სხვათა შორის, დასახელებული ჰყავს ოცენიტისა და კოქსილინის ქანები<sup>3</sup>. უეკველია იყენენ სხვებიც. ქანების მრავალტომიანობის თანამედროვე გამოხატულებაა ქანური კილოს მრავალდიალექტიანობის ცნობილი ფაქტი.

თუმცა შემდეგში სახელწოდება „ქანი“ ძირითადად განდევნილ იქნა ტერმინ „ლაზის“ მიერ (ამის ისტორია ჩვენ სხვაგან გვექნება განხილული), მაგრამ მთლიანად იგი მაინც არას დროს არ გამქრალა: „ქანი“ და „ქანეთი“ უკანასკნელ დრომდე შეინახა ქართულმა მწერლობამ და ხალხურმა თქმამ; უცნობი არ უნდა იყოს იგი, ამჟამადაც, თვით ქანებისათვისაც<sup>4</sup>.

ძირულად განსხვავდება, განხილულ სახელწოდებათაგან, როგორც თავის აღნიშვნის, ისე წარმოშობის მხრივ, ტერმინები „ქართველი“ და „მეგრელი“. ჩვენ აქ არას ვამბობთ ამ სახელწოდებათა ფუძეების (ქართ-, მეგრ-) შესახებ, — მათი ისტორია თავისთავად უაღრესად საყურადღებოა. ჩვენ მხოლოდ მათი მორფოლოგიური ნიშნულობის მიხედვით ვადასტურებთ, რომ „ქართ,—ლი“ და „მეგრელი“ ტერიტორიულ-პოლიტიკურ წარმომავლობის ტერმინებია, მაშინ როცა „სენი“ და „ქანი“ წმინდა სატომო სახელებია. მართლაც: ქართ-ველი, ისტორიულ ხანას დასაწყის პერიოდში, აღნიშნავდა იმ სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელსაც ძველი ბერძენ-რომაელი მწერლები ეძახდნენ „იბერიას“, უახლოესი მეზობლები, სომხები, „(ი)ვირ-ქ“-ს (*վիրք*) და რომელიც ადგილობრივ „ქართ-ლ“-ად იწოდება. თვითონ „ქართლს“, როგორც ვთქვით, თავისი საკუთარი წინასწარი ისტორია აქვს, მაგრამ ამ საკითხს ჩვენ აქ არ ვეხებით და იგი სხვაგან იქნება განხილული.

<sup>1</sup> B. G. VIII 1, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., „გეოგრაფია“, 90; B. P. I 15, იქვე 25—26.

<sup>2</sup> ასეთი მტკიცება მოვაკვება ვესტათი თესალონიკელს, დიონისეს განმარტებაში, რომელიც გამოცემული უნდა იყოს XII ს. სამოცდაათიან წლებში. ვესტათი ამბობს: „მკრონები, პონტოელი ხალხი, — ვებირების სამხრეთით. მათ ჩვენ ეხლა ეწოდებთ სანებს ანუ უფრო მდაბიურად, ქანებს (*Ἰζαοαι*). — სანების ქვეყანასაც ვანიკეს ეძახიან ისინი, ვინც მდაბიურ ფორმას ხმარობს“, 765, SC I 208. ეს „ქანიკე“ უდრის ძველ „სანიკეს“, რომელიც, მაგ., მეხუთე საუკუნის ანონიმის ცნობით, მდებარეობს ტიბარენიასა და კოლხეთს შორის (*Τιβηροκίτιον και Σαοκίτιον και Καλιχία*), § 55, SC I 277.

<sup>3</sup> De Aedificiis, III 6, იქვე, 182—188. კაენების (Caenarum) ტომს მდინარე თერმოდონტისა და ქალაქ კოტიორის რაიონში ასახელებს უკვე პლინიუსიც, წ. VI, § 11.

<sup>4</sup> ასე უწოდებენ თავის თავს ვინას (კერასუნტს დასავლ.) რაიონში მცხოვრები ქანები ზეპირი ცნობით.

„მეგრელიც“, მეგრ-ელ-ი, თავდაპირველად აღნიშნავს იმ დასავლურ ქართულ სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც უცხოურ მწერლობაში იწოდება „ლახიკა“-დ, ქართულ მწერლობაში—„ეგრ-ის“-ად, სომხურში კიდევ—„ეგერ“-ქ (*եգերք*). სწორედ ამ ქვეყანა-სახელმწიფოს სახელწოდების ფუძიდან („ეგრ“) ნაწარმოებია, ძველი ქართული ნორმების სრულ შესაბამისად, მეგრ-ელ-ი (შე-ადრ. მეგვიპტელი-ეგვიპტიდან, [მხწყვერელი-აწყვერიდან, მქვარელი-აქარიდან, მატანელი-ატენიდან, მარადელი-არადეთიდან, მროველი-როისიდან, მარგველი-არგვეთიდან და სხვ.). იგივე ფუძე, სხვა ახმოვანებით, აწარმოებს ადგილობრივს „მ-არგ-ალ“-ს (თავდაპირველ მ-აგრ-ალ-იდან<sup>1</sup>), აფხ. აგრ-უა-ს, ძველ-სომხურს ეგერ-აცი-ს (*եգերացի*).

იყო თუ არა ტერმინები „ქართველი“, „მეგრელი“, რომლებიც, როგორც ვთქვით, დაკავშირებულია ამ გარკვეულ ისტორიულ-პოლიტიკურ წარმონაქმებთან, ერთად-ერთი და იმ თავითვე მოცემული სატომო სახელები ამ ქართველი ტომებისათვის? რაღქმავუნდა, არა.

მეგრელთა ნამდვილი სატომო სახელი „ზან-ი“ უნდა იყოს, რაც მრავალი ჩვენებით მტკიცდება.

დაიწყოთ უცხოურ წყაროების ცნობებით, სადაც ჩვენ ფორმა „სან“-ი გვაქვს. ცნობილი რომელი მწერალი პლინიუს სეკუნდი (გარდ. 79 წ., ახ. წ.) პირდაპირ ასახელებს ასეთ ტომს სამეგრელოს ტერიტორიის ძირითად რაიონში. აღწერს რა დაწვრილებით მდ. ფაზისს, პლინიუსი განაგრძობს: „შემდეგ—სხვა მდინარე ხარიენტი (Charient), სალტიების ტომი (gens Saltiac), რომელსაც ძველნი ფთიროფაგებს უწოდებდნენ, და სხვა სანები (alia Sanni); მდინარე ზობი კავკასიდან სუანებზე (სუანების ქვეყანაზე) გამდინარე (per Suanos fluens); შემდეგ როანი (Rhoan), კეგრიტიკის სანახები (regio Cegritice), მდინარეები სიგანია, თერსი, ასტელფი, ხრისოროასი, ამსილების ტომი, ციხე სებასტროპოლის“<sup>2</sup>... დასახელებულ გეოგრაფიულ ობიექტების ლოკალიზაცია, რაც შედარებით ადვილად ხერხდება, არკვევს პლინიუსის სანების ტერიტორიასაც. მდ. ფა-

<sup>1</sup> ეს მეგრული ფორმა უნდა ვიცნათ, როგორც ჯანს, პტოლემეს „მანჩალებში“ „კოლხეთის ზღვისნაპირა ნაწილში მოსახლეობენ ლახები. ზემოაზრში—მანჩალები და ხალხები, რომელნიც ცხოვრობენ ვერცეტიკის ქვეყანაში“, ამბობს განთქმული გეოგრაფი, იბ. გეოგრაფია, წ. V. თ. IX. § 5, S C I 241. *Μανχολοι*—ფორმაში *ჟე*—ჯგუფი ალბათ მიღებულია *ჟე*—ჯგუფისაგან, ან პალეოგრაფიულად, ან ამ კონტაქტის ჩვეულებრივი ბერძნული წაითხვის ნიადაგზე წარმოშობილი მიზეზების შედეგად. ქვეყნის სახელი *Εξουχισαυ*, ბერძნული სუფიქსის გამოშორებით, გვაძლევს ფუძეს „გერეტ“,—რაც აგრეთვე ეგრისის სახელწოდების ადგილობრივი ფორმის მცირედ დამახინჯებული ვადმოცემაა. ამ ფორმის ერთი დღეზე შემონახული გარდმონაშთი უნდა იყოს ზუგდიდის რაიონში დაცული „ერეტა“ (← გერეტა მეგრულსათვის ჩვეულ მეტათეზის შედეგად), ანაკლიის მახლობლად, აღმოსავლეთით. პლინიუსის ტექსტში, *Nat. hist.*, წ. VI, § 14, ეს გეოგრაფიული სახელი მოცემულია ახალი ფორმით—*Cegritice*: აქ ფუძის უკანასკნელი მარცვალი ჭრთავისუფლებულია ხორცუტისაგან, რომელიც გადასულა თავში.

<sup>2</sup> *Nat. hist.*, VI, § 14, S C II 179.—საძიებელია, რით აიხსნება ორი ნ-ს გაბნევა. ამ სახელში უნდა გათვალისწინებულ იყოს ისიც რომ, როგორც პროკოპი კესარიელის ზემოთმოტანილი ცნობებიდან ჩანს, „სან“-ის ერთნარიანი დაწვრილობაც არსებობდა.

ზისი ეს როონ-ყვირილაა; მდ. ხარიენტი უდრის მდ. ციეს, რომლის ეს ძველი სახელწოდება, სოფელზე გადასული, ამჟამადაც შენახულია, მდ. ხობის მარცხენა ნაპირას, ხორგას ქვემოთ, „ქარიატას“ ფორმით; ხობი თანამედროვე ხობია; როანი, საფიქრებელია როინი იყოს; სივანია ინგურის ძველი სახელია, ასტელფი კიდევ — მდ. კოდორისა; სებასტოპოლისი უდრის ძველ ცხუმსა და თანამედროვე სოხუმს<sup>1</sup>. ამრიგად, პლინიუსისა თუ მისი წყაროს წარმოდგენით, სანნები კოლხეთის იმ ნაწილში მოსახლეობენ, სადაც დის ცივი, ხობი, ენგური. ადვილად შესაძლებელია, ზემოთმოტანილი საკითხავი, რომლის მიხედვითაც კავკასიდან გამომდინარე ხობი შემდეგ სუანების მიწაწყალსა სქრის, დამახინჯებული იყოს და თავდაპირველ ტექსტში აქ „სუანების“ მაგიერ იგივე „სანნები“ წერებულყო<sup>2</sup>. საქმის რეალურ ვითარებასთან, ისე როგორც ცნობის სხვა ელემენტებთან. ასეთი მტკიცება უფრო შეთახმებული იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მიგველო, რომ სვანები, ამ ცნობის წარმოშობის დროშია (უძველესი პერიოდისათვის ეს გარემოება ეკვს არ იწვევს), გაცილებით უფრო შორს ვრცელდებოდნენ სამხრეთისაკენ, ვიდრე ფეოდალურ ხანაში.

სამეგრელოს ტერიტორიაზე, სანნების გარდა, პლინიუსი მხოლოდ საღტიებს ასახელებს, როგორც ვნახეთ. ამ ფორმით ეს სახელი ჩვენ სხვაგან არსად გვხვდება<sup>3</sup>, და, უეჭველია, იგი დამახინჯებული უნდა იყოს მეტნაკლებად. მაინც,

<sup>1</sup> ეს ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხები ავტორს საეციალურ მონოგრაფიაში აქვს განხილული, რომელიც მოხსენდა ენიმკ-ის ისტორიის განყოფილებას 1936 წ. ივნისის 19-ის სბდომაზე.

<sup>2</sup> შესაძლოა, ასეთივე ხასიათის შეცთობა სავარაუდებელი იყოს პტოლემეს „სუანოკოლხებ“-ში, საბდელი „სანოკოლხების“ ნაცვლად, წ. V, თ. VIII, სადაც წერია: „პონტოს გასწვრივ (სოფრობენ) ახები, კერკეტები, ჭენოხები და სუანოკოლხები“ (Σουαννοκωλχοι). ასეთი შესწორებას ის საფუძველად ექნებოდა რომ თავის ავჯილს დაუბრუნებდა მოკვლეული ტერიტორიის ძირითად ტოპს, ძველ კოლხებს, პტოლემეს-დროინდელ სანებს (ამ მნიშვნელობით უნდა ვაგვეგო ეს ეთნიკური კომპოზიტიც), რომელნიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრულად მოუხსენებლნი დარჩებოდნენ. ჩვენს კონიექტურას ვერ დაარღვევს ძველი სომხური მწერლობის ცნობილი პარალელი პტოლემეს განმარტებული ჩვენებისა, რადგანაც სომხური ცნობა მწიგნობრული წარმოშობისაა. ჩანს და იმავე პტოლემემდე დადის, ადგილობრივი კომენტარის ნიადაგზე რამდენადაც საბეკელი. ვვლისსობით ფავსტოს ბიზანტიელის ხელნაწი ს (ტფ. გამოც. 1913 წ. გვ. 24). ფავსტოსის ცნობაში ისაა საყურადღებო რომ ბერძ. კოლხ-ს სომხ. ვაგერ- შეესატყვისება.

<sup>3</sup> Chronicon Paschale, I, p. 61, 3, C. B., ჩვენ ასეთ ცნობას ვხვდებით: „კაპადოკიელთა მიღმა, მარჯვნივ, სოვრობენ სომხები, იბერები, ბერრანები, სკითები, კოლხები და ბოსფორანები; შემდეგ ვერეთწოდებული სალლები ანუ სანტები (Σαλλοι οὐ καὶ Σανταε), რომელნიც პონტომდე არიან გავრცელებულნი, სადაც იმყოფება სომაგრე აფსარე და სებასტოპოლისი და ისისი ნეთსადგური და მდინარე ფახოსი“. შეიძლება გვეფიქრა რომ „სალლები“ პლინიუსის „სალტების“ უდრიან. მაგრამ რადგანაც „ქრონიკონ პასხალე“-ს ეს ცნობა უეჭველ კავშირში იმყოფება იპოლიტე პორტელისა და სხვათა ანალოგიურსავე თხრობასთან, ამიტომ, საფიქრებელია, „ქრ. პ.“-ს ტექსტი დამახინჯებულია და მისი აღდგენა უნდა მოხდეს, კერძოდ, იპოლიტეს საკითხავის (იხ. ქვემოთ) ნიადაგზე. მაშინ მივიღებთ რომ „ქრ. პ.“-ს „სალლებს“ ანუ სანტების“ ნაცვლად დედანში უნდა ყოფილიყო „სანნები ანუ სანგები“, რადგანაც იპოლიტესა და მასზე დამოკიდებული წყაროების ტექსტში გვაქვს: „სანნები, რომელნიც სანნიებად იწოდებიან“ (იხ. ქვემოთ). „ქრ. პ.“-ს საკითხავი საინტერესოა, როგორც იმის ილუსტრაცია, თუ როგორ მახინჯდებოდა ცნობები, დროთა ვითარებაში, გადამწერელთა ხელში.

აქ წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ტერმინი, თავის ფუძით, იმავე „სან“-ს უნდა უახლოვდებოდეს, თუ -ti-ს გაეიგებთ, როგორც ქართველურ სუფიქსს (წარმოდგენილს, სხვათა შორის, ზემოთგანხილულ „ეკრი-ტი-იყე-შიაც“) -თათი-ს<sup>1</sup>. სანნების ტომს პლინიუსი უჩვენებს ტრაპეზუნტის ოლქშიაჲ, მაგრამ იქ იგი მათ ჰენიოხებს უკავშირებს: „ტომი სანნებისა ჰენიოხებისა“, gens Sannorum Heniochorum<sup>2</sup>. სანებსა და სანიეებს შორის კავშირს აბამს იპოლიტე პორტელო, III ს. (ახ. წ.) პირველი ნახევრის ავტორი, რომლის თხზულების ბერძნული დედანი დაკარგულია, მაგრამ შენახულია მისი ლათინური თარგმანი. იპოლიტე, „წარმომავლობის წიგნში“, ჯერ ერთი, საკუთარ ენის მქონე ხალხებს (gentes) შორის ასახელებს ჩვენთვის საინტერესო ჰიბერებს (Hiberi), კოლხებს (Colchi), სანნებს (Sanni), ხოლო ტერიტორიული განსაზღვრისას ამბობს: „სანნები, რომელნიც სანნიკებად (Sannices) იწოდებიან და ვრცელდებიან პონტამდე, სადაც არის აბსარის (Absarus) გასასვლელი და სებასტოპოლისი და ჰისულიმენი (ეს ნავთსადგურია) და მდინარე ფასილი. ეს ტომები ვრცელდებიან ტრაპეზუნტამდე“<sup>3</sup>. აქ დაახლოვებით კოლხეთის მიწა-წყალია მოხაზული—აბსარი ქობოხის შესართავთანაა საძიებელი, სებასტოპოლისი ცხუმ-სოხუშია, მდ. ფაზისი—რიონი, ჰისუს ნავთსადგური („ლიმენი!“) კიდეე შავიზღვის ნაპირზე მდებარეობდა, ტრაპეზუნტს აღმოსავლეთით (პირველი ნავთსადგური ტრაპეზუნტს შემდეგ; 134 წ. ახ. წ., აქ რომაული გარნიზონი იდგა, იხ. არიანეს პერიპლი, § 4). მაშასადამე, იპოლიტეს მიხედვით, „სანი“ არის კოლხეთის ძირითადი მოსახლეობის სახელწოდება და ეგვეე ხალხი „სანიკადაც“ იწოდება; „სანი“ უდრის „სანიკს“. ლათინური  $\Phi$  ბერძნულ „სიგმას“ გადმოგვეყვამ და ისევე როგორც სანიგში, სანშიაც თავკიდური ბგერა ჩვენ სწორედ „ს“-დ უნდა წავიკითხოთ (შეადრ. სანიგი თამარ მეფის ისტორიკოსთან, აქვე, ჰემოთ, შენ., გაითვალისწინე ისიც, რომ „სანიგს“ სხვანაირად არაეინ არ კითხულობს).

იპოლიტეს ცნობას იმეორებს ევსევი კესარიელიც, იმ განსხვავებით, რომ ევსევისთან ტექსტი კიდეე უფრო დამახინჯებულია, საფიქრებელია, მეტწილად, გადამწერთა მიერ. ევსევისაც ერთა ფილიატიკაში კოლხებისა (Colchi) და სანნებისათვის (Sanni) ცალ-ცალკე აღვლილ აქვს მიჩენილი, ხოლო სხვა ადგილას განმარტებული აქვს: „სანნები, რომელნიც აგრეთვე სანნიკებად (Sannici) იწოდებიან. რომელნიც პონტამდე ვრცელდებიან, სადაც არის შეერთება (congregatio; შესართავი?) აფსარისა და სებასტოპოლისისა და კუსკოლიმინი და მდინარე ფაზისი, ეიძრე ტრაპეზუნტამდე“<sup>4</sup>.

ამ ცნობაში, სანებისა და სანიეების კავშირის შესახებ, ის ამბავი მაინც უახლოვდება ისტორიულ სინამდვილეს რომ სანიეები, რომელთა შესახებაც

<sup>1</sup> სალტიები რადაც კავშირში არიან უფოდ ტაციტუსის მიერ მოხსენებულ ტომთან, სედონებთან, რომელთა ტერიტორია იმავე მდ. ხობთან ურთიერთობაში ირკვევა, Historiae, III 47, S C II 249.

<sup>2</sup> იქვე, წ. VI, § 12.

<sup>3</sup> S C II 446-7.

<sup>4</sup> S C I 668.

ჩვენ არა ერთი სხვადასხვა დროის ისტორიული ჩვენება მოგვეპოვება<sup>1</sup>, ყოველთვის დაკავშირებული არიან სებასტოპოლის-ცხუმთან, თანამედროვე აფხაზეთთან და, საერთოდ, შავი-ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთან. ამიტომ შეიძლება გვეფიქრა, რომ „სანიგი“ არის „სანისავე“ ფუძიდან ნაყარი ეარიანტული სახელწოდება იმ მეგრული მოდგმის ტომისა, რომლის არსებობა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, იქ აფხაზთა დამკვიდრების უწინ რეს, უკვეელობით არის საგულისხმებელი, როგორც ეს ჩვენ მიერ სხვაგან იქნება ნაჩვენები.

ამდენადვე შეიძლება სანებისა და სანიგების გაიგივება იპოლიტე-ვესეს თვითნებობად არ მიგვეჩნია. მაგრამ საკითხი სანიგების შესახებ მაინც რთულია და მისი გადაწყვეტისათვის დამატებითი მასალებია საჭირო.

<sup>1</sup> 134 წ., ახ. წ., არიანე ადასტურებს სანიგების სამეფოს არსებობას, აბასგების ჩრდილოეთით; სანიგების ქვეყანაში მდებარეობდა მაშინ, არიანეს მტკიცებით, ქ. სებასტოპოლისი (ცხუმ-სოხუმი), § 15. მემენონი (I ს. დამდევი და II ს. დამდევი, ახ. წ.), პონტოს ზეოკლას მკვიდრი, რომლის ცნობები წინ უსწრებს, როგორც ჩანს, არიანესას, ამბობს, რომ პონტოს შინაგანი სანაბნები დასახლებულია სანეგებითა (Σανηγαι) და სანიგებით, S C I 510.—არიანეს მერმინდელი (V ს.) უსახულო რედაქტორი ამტკიცებს რომ სანიგები (Σανηγαι) ცხოვრობენ შდ. ახუნტოდან შდ. აბასკამდე, § 57. სტეფანე ბიზანტიელი, რომელიცსათანადო სიტყვის ქვეშ, იძლევა, როგორც ფიქრობენ, ელი ეროდიანეს (II ს., S C I 575—8) ცნობას და, იქნებ, ნაწილობრივ, არიანესაც იმეორებს.—ამბობს: „Σανηγαι, სკითხური ტომი, აბასგების მუხობლად მცხოვრები“. ძალიან საყურადღებოა, რომ სანიგებს იცნობს თამარ მეფის ისტორიკოსიც, რომელიც ამბობს, რომ გიორგი რუსის მზარეს გადასულს ვარდან დადიანს „შეუყარა ყოველი სვანეთი, აფხაზეთი, სავგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაყუერი და არგუეთი და, მომრთველმან სანიგთა და ქემიგთამან, აფიკა რუსისა გამეფებისა და მისი მეფე ყოფისათვის დიდებულნი და ლაშქარნი ქუყანისანი“.. ქტ. მარ., 435. ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ვარდანმა, რომელიც, ფეოდალური წესით, „ლიხთ იქით ნიკოფსამდის უცილობლად“ მქონებული იყო (იქვე), მოახერხა თავისი კანდიდატის მზარეზე მთელი ლიხთ-იმერეთის, ე. ი. დასავლეთ საქართველოს, დიდებულთა და ლაშქართა გადაყვანა; ავტორი ამ აზრის კონკრეტიზაციისათვის ჩამოსთვლის დას. საქართველოს ყველა პროვინციას: არგუეთი (ხემო-იმერეთი შორაპანს აღმოსავლეთით), სამოქალაქო (ვაკე-იმერეთი), რაჭა, თაყუერი (ლეჩხუმი), გურია, სავგრო (სამეგრელო), სვანეთი და აფხაზეთი. მაგრამ გარდა ამისა, ვარდანს, როგორც ჩანს, ჩრდილოეთ-კავკასიელი ტომებიც გადმოუყვანია, რომელნიც უკვე სხვაგვარ დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყვნენ მისგან (უკანასკნელი გარემოება მგლადნდება, ნაწილობრივ, დასახელების წესში: ეს მოკავშირენი დასახლებულნი არიან სწორედ როგორც ტომები, სანონი და ქემიგნი, და არა ამინისტრაციულ პროვინციულ დაყოფის თვალსაზრისით (არგუეთი, სავგრო...)). ვინ არიან ეს ტომები? ხელნაწერებში მოცემული სახელები საკმაოდ დამაბნელებელია ქემიგის მაგიერ ზოგ-ბილანწურში „ჯაშმაგი“-ა, სხვაში კიდევ—„ჯაბმათაგი“. უკანასკნელი ფორმების (ჯაშმაგი, ჯაბმათაგი) სატომო სახელები ჩვენ სხვაგან არის აღნიშნული გვხვდება, და ისინი კიდევ უფრო დამაბნელებულად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე ქემიგნი (ბ-სა და შ-ს ახევა ხომ ადვილად ასახსნელია). სამაგიეროდ ჯაშმაგის საკითხავი ასწორებს ქემიგს, რომლის ნაცულადაც თავდაპირველად „ქაშმაგი“ უნდა ყოფილიყო. „ქაშმაგი“ ძველ ქართულ მწერლობაში ხშირად გვხვდება, ოკი შეესატყვისება ძველ რუსულ Kacor-ს, თანამედროვე ოსურ ქანაგ-ს, და ჩერქეზებს აღნიშნავს. სანიგები, თამარის ისტორიკოსის წარმოდგენით, მავსადაძე, რალაც კავშირში იმყოფებოდნენ ჩერქეზებთან.—ცნობა უალრესად საყურადღებოა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას რომ ერთგვარი ეჭვი მაინც გვჩნება—ხომ არ არის აქ რაიმე მწიგნობრული ელემენტი ხელოვნურად ჩართული, რადგანაც „ისტორიანი და ახმანი“-ს ავტორი დიდად განათლებული პირია, რომელიც კარგად იცნობს ძველ ბერძნულ მწერლობასაც. ამიტომ დამატებითი მასალა საჭირო იმის გამოსარჩევად, რამდენად ცოცხალია სახელწოდება „სანიგი“ მეთორმეტე საუკუნეში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს V ს. პირველი ნახევრის შწერლის, თეოდორიტე კვირელის, ცნობა, თავისთავადაც ძალიან საინტერესო. თეოდორიტე ამბობს: „... ბევრს, მონობის უღელში შებმულსაც, არ შეუძლია თავის დამშონებულთა კანონების მიხედვით ცხოვრება. ხომ არც ეგვიპტურ თებას მოსაზღვრე ეთიოპები, არც ისპაიტელთა მრავალრიცხოვანი ტომები, არც ლაზები (Λαζαι), არც სანები (Σαναι), არც აბაზები (Αββαυαι), არც სხვა ბარბაროსები, რომელნიც დაემორჩილნენ რომაელთა ბატონობას, ხელშეკრულებას არ სძლებენ ურთიერთშორის რომაულ კანონების მიხედვით“<sup>1</sup>.

რადგანაც აქ ლაზები და სანები ურთიერთშორის განსხვავებულ ტომებად არიან ნაგულისხმევი, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ „სანებში“ თეოდორიტე გულისხმობს არა ეგრისის მოსახლეობას, რომელიც მის დროს უკვე ლაზების სახელითაა ცნობილი, არამედ კანებს, რომელნიც ამჟამად უკვე ლაზებად იწოდებიან უპირატესად.

ამ რიგად, კლასიკური ავტორები ჩვენთვის საინტერესო ტომის სახელად „სანა“-ს უჩვენებენ, როგორც ენახეთ. ჩვენ-კი ვთქვით რომ მეგრელთა ნამდვილი სატომო სახელი „ზანი“ უნდა იყოს. თავკიდური ბუერის სხვაობას ამ ფორმებში და მის წარმოშობას ჩვენ სხვაგან შევეხებით, აქ კი უნდა აღვნიშნოთ რომ „ზანი“ ფორმას ადგილობრივი მასალები უჭერს მხარს.

ჯერ ერთი, ეთნიკური მნიშვნელობით ეს ტერმინი დღესაც შენახულია სვანეთში. სვანეთის მთელ რიგ თემში (ეცერი, ფარი, ლახამული) მეგრელს ეძახიან „ზანი“, რაც ქვემო-ინგურის სვანეთში სამეგრელოსაც ნიშნავს<sup>2</sup>: ჩოლურში იმავე მნიშვნელობით იხმარება „ზანი“ (მრ. ზანწრ); „მეგრელისავე“ მნიშვნელობით ხმარებული პარალელური ფორმებია იმავე ეცერის, ფარის, ლახამულის თემებში „მუ-ზანი“, რაც, რატქმაუნდა, მეორადი წარმოებაა („მეზანიე“!); ამ მეორადი წარმოების ვარიანტებია მუკალ-მულახური „მე-ზანი“, იფარული — „მე-ზანი“; ამავე ფუძიდანაა ნაწარმოები „ლუ-ზნე“ — მეგრული (ეცერი, ფარი, ლახამული)<sup>3</sup>. სვანებისათვის ცნობილია ტერმინი „მეგრულიც“, მაგრამ იგი, აშკარაა, ქართულიდანაა შეთვისებული.

„ზანი“ ფუძე თითქოს ჩრდ. კავკასიაშიაც, კერძოდ ყაბარღოში უნდა გვხვდებოდეს (უთუოდ სვანური გზით შესული)<sup>4</sup>. „ზანი“ ფუძე შენახულია სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელებში: სოფ. ზანათი (მდ. აბაშაზე, სუჯუნის მუხომბლად)<sup>5</sup>, სოფლები დიდი და პატარა ზანა, მდ. ცივის ხეობაში (უშაფათის

<sup>1</sup> სიტყვა მე-9, „კანონთათვის“ S C I 783.

<sup>2</sup> მაგ., გრენის მიერ შეკრებილს სვანურ ტექსტებში — ზანი, СМОНІК X, განყ. II; იხ. აგრეთვე ლექსიკონი, იქვე.

<sup>3</sup> Н. М а р р, Извѣщеніе изъ свѣдѣнско-русского словаря, სათანადო სიტყვის ქვეშ.

<sup>4</sup> А. Д и р р, Современныя названія кавказскихъ племен.—ქალასის ცნობით, აბაზები (პირიქითელი აბაზები) და ჩერქეზები სამეგრელოს „დოლ“-ს (Dol) ეძახიანო. Pallas, Voyage, P. 1788 II p. 120, n. I. ცნობა გუთუნის XVIII ს. დამლევს.

<sup>5</sup> ი. ყიფშიძის თავის ლექსიკონში ეს სოფელი „ზანატის“ სახელით აქვს მოხსენებული, I რან. მიიგრ. კვ., 236, მაგრამ ფორმა „ზანათი“ ჩვენ გვხვდება უკვე ლევან დადიანის 1628 წ. სოფელში, დას. საქ. საქელ. საბ., I 43. „ზანათი“ აქვს ელ. გაგუას, СМОНІК, X განყ. I, 102. აღნიშნული აქვს არქანჯელო ლამბერტისაც (XVIII ს. დამდეგი, იხ. „სამეგრელოს აღწერა“, თარგმ. აღ. კუნიასი, ტფ., 1901) თავის რუკაზე Zannati-ის სახით.

დასაუღლებით), და იქვე მიპდინარე, ხობის მარცხენა შენაკადი ზანა<sup>1</sup> (რუსულ ხუთვერსიან რუკაზე „ზანა“ ამ მდინარეს ეწოდება სათავეებისაკენ, ქვემო წელზე კი „Занаяра“?). ძალიან საინტერესოა ამ ფუძიდან ნაწარმოებ სახელწოდებათა არსებობა თანამედროვე სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ფარგლებს გარეთ. მაგ.: მდ. ცხენისწყალზე, მდ. ხოფურის (ესეც საყურადღებოა!) შესართავს ცოტა ზემოთ, ცაგერის ჩრდილოეთით, არის სოფ. ზანაკარი<sup>2</sup>. ხომ არ მიუთითებს ეს ტოპონიმიკური ფაქტი ძველს ეთნიკურ-პოლიტიკურ საზღვარზე? თუ ამ კითხვაზე გადაქრილი პასუხის გაცემა ძნელია, სამაგიეროდ ასეთივე ხასიათის მოვლენა ჩვენ უყოყმანოდ შეგვიძლია უჩვენოთ სხვაგან, აღმოსავლეთით, ზემო იმერეთში. ვეულისხმობთ უკანასკნელის დიდი სოფლის, საზანოს, სახელს. ზემო და ქვემო საზანოები მდებარეობს ძველი ვგრისის (ლაზიკის) სამეფოს აღმოსავლეთის საზღვარზე, რომელიც თითქმის უცვლელად მრავალი საუკუნის განმავლობაში შორაპანსა და სკანდაზე გამავალ ხაზს მიჰყვებოდა. სკანდა და შორაპანი იყო ვგრისის სანაპირო ძლიერი ციხე-ქალაქები. ამათ აღმოსავლეთით უკვე ქართლის (იბერიის) ტერიტორია იწყებოდა. სკანდასა და შორაპანს შუა, არამკირედი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობის ადგილი უნდა სჭეროდა საზანოსაც, რამდენადაც ასეთი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია ფეოდალური ხანის ცნობების მიხედვით, როდესაც საზანოზე გადის იმერეთ-ქართლის მაგისტრალის ერთი მნიშვნელოვანი ვარიანტთაგანი<sup>3</sup> და როდ-

<sup>1</sup> ყიფშიძე, იქვე.—სოფლის სახელის თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო აქაც „ზანათი“, რაც დოკუმენტურად დადასტურებულია ლაშხვარტის რუკაზე — Zennati.

<sup>2</sup> ყურადღებას იქცევს მაღლა, იმავე რაიონის, მთებში მდებარე „წაწაში“-ც. ამ ხეობის მნიშვნელობაზე მკაფიოდ მიუთითებს ზანაკარს ქვემოთ მდებარე განთქმული ციხეები ორხელი (თუ: ორბეთი), დებეიო და, განსაკუთრებით, მური. მათ შესახებ ვახუშტი ამბობს: „ამ კვებულ არის ციხე ორბეთისა, კლდესა ზედა შენი, ფრიად მაგარი. ამ კვეს ზეით, ლეხზუმის საშუალო, ცხენისწყლის კიდევად არს ციხე კლდესა ზედა შენი, დებეიო, თავი თავვერისა: რამეთუ რომელსა უსყარეს იგი, მორჩილებასა ზინა მისსა არიან სულაიდ. ამის სამკრით და ცხენისწყლის აღმოსავლით არს ცაგერს ვკლესთა დიდშენი, გუნბათიანი, ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ლეხზუმისა და სკანეთისა. ამს ზეით არს მონასტერი, წოდებული მაქსიმე აღმსაარებელისა და მუნ არს მაქსიმე აღმსაარებელი დაფლული... მას ზეით, ცხენისწყალზედ, არს კაკეასის ძირს მურის ციხე, არიუსგან შემუსერილ-ალბული. მუნიდამ გარდავალს სკანეთს გზა, გეორგ, ჯანგამ, 263—264. სწორედ ამ სკანეთისაკენ გარდაშვალ მტრად მნიშვნელოვან გზას „სტრატეგზე“ ეს ციხეები, და, პირველ რიგში, მურის ციხე. უკანასკნელი ცნობილია ბიზანტიური წყაროებისათვისაც. აქ იყო დასატიმრებული ბიზანტიის მთავრობის მიერ ცნობილი საეკლესიო მღვდელწმინდე, მაქსიმე აღმსაარებელი (VII ს.). მაქსიმეს ბიზანტიელი ბიოგრაფი ამ სასატიმრო ადგილს ლაზიკას მიაკუთვნებს. ვგრისის მიათულის მურის ციხეს იუსტინიანეც თავის მე-31-ე ნოფელაში, „გეორგიკა“, II 198. აქვე, ცაგერს ქვემოთ მდებარე, ლასურიაში უნდა იყოს ის „ლოსორიონის“ ციხეც, რომელიც აგებულ იქნა იუსტინიანეს მიერ, პაროკოპი კესარეელის ცნობით, გეორგ. II 189 და რომელიც იხსენიება თვით იუსტინიანეს ხელმოფდასახელებულ ნოფელაშიაც „ლოსორი“-ს (თუ „ლუსორი“-ს) ფორმით. — უკანასკნელ საუკუნეებშიაც ეს რაიონი დადიანებს ეკუთვნოდა. მურში გ. რადდემ აღწერა დადიანების სახლი და სამი ციხე, რომელთაგანაც ერთ-ერთში მან იპოვა ზარბაზანი 1554 წ. ლათინური წარწერით, ЗКОРТО, кн. VII, с. 111. I, 1, 1886 r., 52—55.

<sup>3</sup> აი, მაგ. ზარდენის მარშრუტი (1672 წ. დეკემბერში): ტფილისი-გორი-ალი-კობოღო-სახანო (შარდენი სწორედ „სეზანო“; მარჯვნივ რჩება სკანდა) —ხანრი (ქართ. თარგმანში გუჯბრობი თ—ჩიკარისი) — ქუთაისი. იხ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, ტფ, 1935 წ. ვკ. 62 — 66.

საც აქ არსებობს, ვახუშტის სიტყვით რომ ვთქვათ, „საზანოს ციხე, კლდესა ზედა შენი, კარგი“. ამრიგად, „საზანო“, ქართული წარმოების სახელი, შერქ-წეულია ძველი ქართლის აჰ რაიონის, არგვეთის, მოსახლეობის მიერ, რომელიც უშუალოდ ემეზობლებოდა ეგრისს და აღნიშნულ სახელწოდებაში გამოჰხატავდა ეგრისის (ლაზიკის) ეთნიკურ შინაარსს. „საზანო“ იგივე „სამეგრელოა“, და სკანდა-საზანო შორაპანის ხაზს ქვემოთ სწორედ ზანების ანუ მეგრელების ქვეყანა (საზანო-სამეგრელო) იწყებოდა. ამ ისტორიულ-ეთნოლოგიურ მითითებაში, რომელიც ასე საუცხოოდაა დაცული სახელწოდება „საზანო“-ში, ვხედავთ ჩვენ მოცემული ტოპონიმიკური ფაქტის განსაკუთრებულს შნიშვნელობასა და რტერესს. დასასრულ, გაკვრით ვიტყვით, რომ ჩვენ არ მიგვაჩნია შეუსაბამლად ამავე ბუდესთან იყოს დაკავშირებული სამცხისა და ქართლის „ზანავ“-ებიც, მაგრამ ამ კავშირის რეალურ ხასიათს მომავალი კვლევა-ძიება გაარკვევს.

აღნიშნულით არ ამოიწურება მოცემული ეთნიკური ტერმინის ადგილობრივი ვარიაციები. უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნებთ ჩვენ აფხაზურ „წან“-საც, რომელიც იქ ისტორიულ განდამზინაშთის სახითაა დაცული. აფხაზთა ხალხური გარდმოცემით, ძველთა-ძველ დროში აფხაზეთის მთებში ცხოვრობდა ხალხი, რომელიც ეკუთვნოდა წან-ის (აფხაზური ფორმაა) ანუ წანია-ს (საბურ-ზაყანული ფორმაა) გვარს. იმ ბედნიერ დროში არ იცოდა არც წვიმა-თოვლი, არც ქარი და სიცივე, არც დღე-ღამე იყო ერთმანეთში გარჩეული. წანები (აფხ. წანაა) მეჯოგეები იყვნენ, თავს რძეულნი და უმი ხორციით ირჩენდნენ. მაგრამ რადგანაც წანები უსჯულონი იყვნენ და ღმერთს არაფრად აგდებდნენ, ღმერთმა ისინი დასაჯა. ერთხელ როცა წანები წრეში ისხდნენ, ერთმა მათგანმა შეამჩნია რომ იქვე მდგომ თხას წვერი ერხეოდა. ეს ღმერთმა პირველად გამოგზავნა ქვეყნად ქარი. ქარს მოჰქეა შავი ღრუბლები და ბამბის წვიმა. ბამბამ თოვლივით დაჰფარა მთელი მიწა. შემდეგ ღმერთმა ცეცხლი გაუჩინა ბამბას და მასთან ერთად უსჯულო წანებიც გადაბუგა.

ეს გარდმოცემა დაკავშირებულია აფხაზეთის თავისებურ არქეოლოგიურ ნაშთებთან, რომელნიც ნახევრად ციკლოპურ-მეგალითურ ხასიათისაა<sup>1</sup> და ერკულდებიან ბზიფიდან ენგურამდე ეს ძეგლები გვხვდება მთებში 2133-დან 2286 მეტრის სიმაღლეზე და წარმოადგენენ ყორულად ნაგებ ოთხკუთხედს ან არა სწორი წრის სახის მქონე „ბაკებს“ (გარეგნული დახასიათებით). მათ აფხაზები „წან-იგუარა“-ს ეძახიან, რაც „წანის სადგომს“ ნიშნავს<sup>1</sup>.

ჩვენ უეჭველად მიგვაჩნია რომ წანიც ზანისა და ქანის ბუდეს ეკუთვნის, მაგრამ რას უნდა გულისხმობდეს რეალ-ისტორიულად თვით გარდმოცემა? სხვაგან ჩვენ ვუჩვენებთ რომ საკუთრივ აფხაზებს, მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე, წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობა, ერთი მხრით, სვანური შტოსი, მეორე მხრით — ქანურ-მეგრულია. მოყვანილ გარდმოცემაში, ჩვენი აზრით, სწორედ ამ ფაქტის ანარეკლა გვაქვს. „წანი“, ამ შემთხვევაში, ქანურ-მეგრულ ფენას გულისხმობს. ჩვენ ვფიქრობთ რომ ეს იყო

<sup>1</sup> ეს ძეგლები პირველად აღწერა ლიტერატურაში და გარდმოცემა გამოაქვეყნა ნ. ალბოვმა, იხ. მისი *Ботанико-географические исследования в Зап. Кавказе* в 1898 г. ЗКОРГ, кн. XVI, 144—145

ერთ-ერთი ტომთაგანი, ქანურ-მეგრული განშტოებისა, და არა საკუთრივ ზანგები (დღევანდელი მეგრელები) და ან, მით უმეტეს, ქანები. ამაში გვარწმუნებს სახელწოდება „წან“, რომელიც შეუძლებელია მიჩნეული იყოს ზან-ის ან ქან-ის აფხაზურ გამოთქმის ფაქტად, აფხაზურ ეარიანტად. ასეთი ფონეტიკური გადასვლისათვის აფხაზურში ჩვენ საფუძველს ვერ ვხედავთ, იმიტომ რომ აფხაზურს თავისუფლად შეეძლო შეეთვისებინა როგორც ზან, ისე ქან ფორმები.

უკანასკნელი დატულია კიდევაც აფხაზურ გვარის სახელში ქან-ბა, რაც ქართულს ქანი შეიღოს უდრის. აფხაზურ-ქართველური ბგერითი შესატყვისობისათვის, ამ თვალსაზრისით, იხ. ისეთი ნასესხობანი აფხაზურში ქართულ-ბგერითიდან (ან უკანასკნელის გზით), როგორიცაა: აქანდარ = ქანდარი, აქარხალ = კარხალი, აქარამ = ქერამი, ადაქ = ჯაქვი, აპაბერზაკ = ხაბურზაკი, ამზგ = მიზგი, აგრეთვე აზაკუნ (შეიძლება შესული იყოს რუსულიდანაც). ზოგჯერ განსაკუთრებულს ბგერითს (ხმოვნურ) გარემოში, ქართ. ზ + v აფხაზურში გადადევს ვ-ს: ვურგით = ზურდიდი, ვურაბ = ზურაბი, შეადრ. აგრეთვე აფხაზურ გამოთქმა გვარის სახელისა ზვანბაია = ავანბა<sup>1</sup>. აფხაზურ-ქართველურ გენეტიკ შესატყვისობათა შორის ჩვენ ვპოულობთ შემდეგს საყურადღებო პარალელებს:

- აფხ. ა-წაა (მლაშე, მწარე) — ქართ. მწარე;
- ა-წხ (ღამე) — ქართ. მწუხრი (შეადრ. წუხელ),
- ა-წარა (სწავლა) — სწავლა
- ა-წწარა (წერა, დაწერა, წარწერა) — წერა
- ა-წა (ტილი) — წილი
- ა-მწ (ბუზი) — მწერი

არის ერთი შემთხვევა, როცა აფხ. წ შეესატყვისება მეგრ. ჯ-ს და ქართ. ძ-ს:

- ა-წლა (ხე) — ჯა(ლი)—ძელი<sup>2</sup>.

ამრიგად ჩვენ იძულებული ვართ დავასკვნათ რომ ფორმა „წან“ აფხაზურმა მზამზარეულად შეითვისა, და არა გადააკეთა თავის ფონეტიკის უადაპტო როცა აფხაზური წანის ისტორიულ მნიშვნელობაზე ვფიქრობთ, შეუძლებელია სანიგები არ მოგვეგონდეს. წანი სანიგს ხომ არ უდრის? არიანეს 134წ. (ახ. წ.) დოკუმენტური ცნობით, მის დროს სანიგები აბასკები ს გვერდით (ჩრდილო-დასავლეთით, როგორც ყველაფრიდან ჩანს) ცხოვრობდნენ და მათს ქვეყანაში იდო ქალაქი სებასტოპოლისი<sup>3</sup>, ე. ი. ანამედროვე სოხუმი. ამ ქალაქის სახელების ისტორიაც საეცებით ნიშანდობლივად ბერძნულს დიოკურიასა (უძველესი სახელია, იქნებ არაწმინდა ბერძნული წარმოშობისა, არამედ გაბერძნულებული; მიაქციეთ ყურადღება სახელწოდების ზურე ნახევარს, სადაც შეიძლება გვექონდეს ცნობილი მეგრული ტოპოგრაფიული ტერმინი „სკური“) და სებასტოპოლისს (შემდეგ შერქმეული სახელია) აქ შეესატყვისებ

<sup>1</sup> იხ. П. Паря, Об отношении абхазского языка к яфетическим, 10—17  
<sup>2</sup> კარაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 18 შემდ. კარაია აფხ. წგუხ-ის („ზარზან“) პირველ ს-ს ცვაღშიაც ქართ. წელის შესატყვისსა ხედავს, გვ. 45.  
<sup>3</sup> პერიოლი, § 15; S C I 222.

ქართ. ცხომ || ცხუმი (შედრ. სევანური თემის „ცხუმარ“-ის სახელწოდება; ცხუმიდან მომდინარეობს ქართ. გვარები ცხომ-ელიძე და ცხუმ-არია) და აფხაზურ-ადილეური აყუა. ქართული ცხუმი შემდეგ თურქებმა, რომელთაც არც ცხე-რა აქვთ და არც ორი თანხმოვნის გამოთქმა შეუძლიათ სიტყვის თავში, გადააკეთეს „სუხუმ“-ად და ამ სახით შევიდა ეს სახელი ევროპულ ენებში. ამრიგად, აფხაზეთის დედა-ქალაქის სახელიც მეტყველი მოწმეა ეთნიკურ გადაჯგუფებათა სიხშირისა ამ რაიონში.

სანიგ-წანის წარმოდგენილ დაახლოებას იმდენად იგ მარცლის გაქრობა არ აბრკოლებს აფხაზ. ფორმაში (ეს შესაძლებელია), რამდენადაც სხვა გარემოებანი, კერძოდ თამარ მეფის ისტორიკოსის შემოთავანშარტებული ცნობა, თუ იგი რეალ-ისტორიული ჩვენება<sup>1</sup>.

წან-ზან-ქანის შესატყვისობის თვალსაზრისით საყურადღებოა ერთი მდინარისა და პუნქტის სახელწოდება ცენტრალურ სამეგრელოში. ვახუშტი ამბობს: ხეთას „ჩრდილოთ“ დის ქანის წყალი, წოდებული კელენ-ჯიხის გამო. გამოსდის მასვე კავკასსა და დის აღმოსავლიდამ დასავლეთად და მიერთის ზღვას ხოუს<sup>2</sup>. ნამდვილად, ქანისწყალი არის მდ. ზოზის მარჯვენა შენაკადი, როგორც ეს აღნიშნულია უკვე XVII ს. დამდეგის სამეგრელოს რუკაზე, რომელიც ლამბერტის ეკუთვნის. მართალია, ლამბერტისაც ქანისწყლის შესართავი თითქმის ზღვის პირამდე ჩაუტანია, მაგრამ ეს უფრო მისი კარტოგრაფიის ნაკლი ჩანს, ვიდრე რეალური ამბავი<sup>3</sup>. ლამბერტის რუკაზე მოცემული ფორმაც მდინარის სახელწოდებისა, Cianeus Fl. in colis Cianis მოწმობს, რომ ამ იტალიელ მისიონერს სიტყვის თავში ესმოდა აფრიკატი, და ისიც შიშინა და არა სისინა: ჯგუფი ci სწორედ აფრიკატს აღნიშნავს, ჩ-ს ან კ-ს. წ-ს ლამბერტი, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, სხვაგვარად გადმოსტუმს, მაშასადამე, Cianis უნდა წაეიკითხოთ „ჩანის“ (იგულისხმებ: „ქანის“). ასე გაიგონეს რუსებმაც ეს სახელი XIX ს. დამდეგს. მაგალითისათვის აქ აღვნიშნავთ რომ მურავეიოვი, რომელმაც მოიარა სამეგრელო XIX ს. ორმოციან წლებში, ასახელებს „ქანის-წყალს ანუ ლაზების მდინარეს“ (Чанн-цкати или река Лазови).

უეჭველია, ეს ცნობა მურავეიოვს მიღებული აქვს სამეგრელოს მთავრის ძმის, ცნობილი პოეტისა („კოლხიდელი“) და ქართულ სიძველეთა დიდი მკოდნე-მოყვარულის, გრიგოლ დადიანისაგან, რომელიც იყო მურავეიოვის მეგობარი თანა-

<sup>1</sup> ლიტერატურაში არის ცდები სანიგთა ვინაობის სხვაგვარი ახსნისაც. კლაპროთმ, მაგ., ფიქრობდა რომ „სანიგი“ ცნობილი ჩურჭხული ტომის ეან-ის სახელია, Asia Polveglotta P. 1831, 129—130; III. B.—Ногмов, История Алуайского народа, T. 1861, стр. 17, прим. 1.—ზოგნი კიდევ სანიგებში ხედავენ საძ-ების აფხაზურ ტომს (მოსახლეობდა მდ. ბიფიდან მოვლუბული ვიდრე უბიხების საზღვრამდე), იბ. მაგ. Дьячков-Тарасов, Гарги и их окрестности, ЗКОРГО, т. XXIV, вып. I, стр. 43, прим. 32

<sup>2</sup> გეოგრაფია, ჯანაშვილის გამოც., გვ. 300.

<sup>3</sup> არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმ. ალ. კვიციანი, ტფ. 1901, რუკა; ტექსტი, გვ. 183, 189. საინტერესოა რომ მდინარის სახელს ლამბერტიც „ქანს“ უკავშირებს: „ჩემის აზრით, ეს სახელი იმითომ ეწოდება ამ მდინარეს, რომ მასთან მოდის საუკუროდ თა-ვისი პატარა ნავებით და ჩერდება ერთი მეზობელი ხალხი, რომელსაც ქქია ქანი“. გვ. 189.

<sup>4</sup> Грузия и Армения, С. II. Б. 1848, в. III, 276—277.

მგზავრი და ინტერპრეტატორი ამ მოგზაურობაში. ფორმა კანის-წყალი, კანი-წყარი, ცოცხალია დღესაც. მაგრამ, იმავე დროს, და ეს ჩვენთვის ძალიან საყურადღებოა, გვხვდება პარალელური ფორმები კენი-წყარი და წენი-წყარი<sup>1</sup>. ფორმა წენი-წყარი ანუ წენ-წყარი ამჟამად ადგილობრივ გაბატონებულ ცი უნდა იყოს, რამდენადაც ვიცით. წ-ს გაჩენას კ-ს მაგიერ, სიტყვის თავში, პროფ. ი. ყიფშიძე რეგრესული ასიმილაციით ხსნის (შეადარეთ სქა-სერი-შქა-სერი)<sup>2</sup>, მაშასადამე, სათანადო „წენიან“ ფორმასაც მეორეულ მოვლენად სთვლის. შეადრ. მართლაც ისეთი ფაქტები, როცა ქართ. კ მეგრულში წ-ს გეაძღვეს: ქირისუფალი – წირსუფალი... ჩვენთვის საკმარისია თვით შესატყვისობის დადგენა.

ასეთივე შესატყვისობა გვაქვს ჩვენ ქალენ-ჯიხა-ში (ვახუშტის ქელენჯიხა). ასეთი ფორმა გვხვდება ეხლაც, მაგრამ გაბატონებული კია წალენ-ჯიხა (ამჟამად ამ სახელს ატარებს არა მარტო დაბა თავისი ისტორიული ძეგლებით, არამედ მთელი რაიონიც). კიდევ უფრო საყურადღებოა რომ არის პარალელური ფორმა წენ-ღიხა<sup>3</sup>. ყიფშიძეს შესაძლებლად მიიჩნია „წენ“ „კანის“ ექვივალენტად მიიღოს და მთელი სახელწოდება გაიგოს როგორც კანის ქვეყანა (ციხე)<sup>4</sup>. თუ ამ სახელწოდების „კ-იანი“ ფორმა ვახუშტის აქვს დაცული, „წ-იანი“ ფორმა, უკვე XVII ს. დამდეგისათვის, დადასტურებული აქვს იმავე ლამბერტის, რომელიც თავის რუკაზე, სწორედ წალენ-ჯიხის ადგილას, აღნიშნავს Scalingichas: sc, ვფიქრობთ, წ-ს გულისხმობს, და არა კ-ს: ჩვენ აქ ურადლებას ვაქცევთ იმ გარემოებას, რომ sc ჯგუფი ხმოვნის წინ დგას. „ქა“ აქ გადმოცემული იქნებოდა cia-თი და ამიტომ ჩვენი წაკითხვის საწინააღმდეგო საბუთად ვერ გამოდგება ამავე რუკის Scandidi—ქყონდიდი. ასეთს ფონეტიკურ კონტექსტში (თანხმოვნის, კერძოდ, ყ-ს წინ) წ-ც, კიდევ უფრო ჩვეულებრივად, იმავე s-ითაა გადმოცემული (მაგ. მეგრ. „წყარს“ ლამბერტი გადმოსცემს scari-თ: Marmar-scari, Heti-scari, ან schari-თ: Moquis-Schari, Scheni-schari). S-ითაა აქვს გადმოცემული ლამბერტის ც-ც თანხმოვნის წინ, მაგ. Scheni-schari—ცხენისწყალი<sup>5</sup>.

ქართული ბგერების ლათინურ-იტალიანური ტრანსკრიფციის ისტორიისათვის, რასაც ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც ქვემოთ კვლავ იქნება ნაჩვენები, საინტერესო მასალა მოიპოვება მ. თამარაშვილის მიერ გამოცემულს იტალიურ საბუთებში. „წალენჯიხა“, კერძოდ, ლამბერტისებურად აქვს ტრანსკრიბირებული ქრ. კასტელის, 1642 წ. სამეგრელოდან რომს გაგზავნილ წერილში (Scalencichelle = წალენჯიხელი)<sup>6</sup>.

სხვა იტალიელ მისიონერთა 1655 წლის წერილში იგივე ფუძე გადმოცემულია Scalingichelli<sup>7</sup>. ჭ-კი აქვე c-თია გადმოცემული, კერძოდ, ცნობილ თავადთა,

<sup>1</sup> И. Киушиазе, Грам. хитогр. яа., лექსიკონი, „კანი“ სიტყვის ქვეშ.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ყიფშიძე, იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> რუკა.

<sup>6</sup> მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 644, თარგმ. 185.

<sup>7</sup> იქვე, 652 თარგ. 199.

საგვარეულო სახელში, კილაძე-ში (Cilazze)<sup>1</sup>. საინტერესოა რომ წ ზოგჯერ z-ითაა გადმოცემული; ასე ლევან დადიანის ცნობილი ვაზირის, პაატა წულუკიძის („წულუკის“) გვარი აქ იწერება Zaluschia<sup>2</sup> და Zaluschia<sup>3</sup>.

აფხაზური ტერმინის წან-ის ეთნიკურ მნიშვნელობას შეუქა ჰფენს და ტერმინის ვარიაციების ისტორიისათვის ძალიან საყურადღებოა ერთი მეგრული-ვე ფაქტი, საკმაოდ მოულოდნელ კონტექსტში შენახული: სანზრეთის ქარს სამეგრელოში წანი-ბორიას, ე. ი. წანის ანუ კანის ქარს, ეძახიან. ამ გამოთქმის სწორი გაგებისათვის გასათვალისწინებელია სხვა ქართა ისეთი მეგრული სახელები, როგორცაა: გურული-ბორია — გურული ქარი, ჯვარული-ბორია — ჯვარის ქარი და სხვ.<sup>4</sup>.

რიონ-ენგურის სან-ზანების შესახებ მსჯელობისას შეუძლებელია სიტყვა არ ჩამოვარდეს ლაზ-ებზედაც. ცნობილია რომ, გარკვეული დროიდან მოყოლებული, ამ რაიონის მოსახლეობის აღსანიშნავად ბერძნულ-რომაული მწერლობა უპირატესად ტერმინ ლაზ-ს ხმარობს, თვით ქვეყანა-სახელმწიფოს კიდევ ლაზიკას უწოდებს.

თუ სტრაბონისა და მისი წყაროებისათვის ეს ეთნიკური სახელწოდება გერ კიდევ უცნობია, იგი ჩნდება უკვე პლინიუსთან (გარდ. 79 წ. ახ. წ.) და, თუ არ ვცდებით, ეგონებ პირველადაც დასავლურ ლიტერატურაში<sup>5</sup>. მაგრამ ძალიან საინტერესოა (და ამისათვის არაეის მოქცევეია ყურადღება) რომ პლინიუსის ლაზები საკუთრივ ეგრიისის ფარგლებს გარეთ იგულისხმებენ. აი რას ამბობს პლინიუსი: „140.000 ნაბიჯის მანძილზე ტრაპუნტიდან მდ. აბსარია და იმავე სახელის მქონე ციხე შესართავთან. ამ ადგილებში მთების გადაღმა (eius loci a tergo montium) ჰიბერიია, ხოლო ნაპირის ვასწვრივ (მოსახლეობენ) ჰენიოხები, ამპრეტები, ლაზები (Lazi), მდინარეები აკამფსეონ, ისის, მოგრუს, ბათუს (ლრჰა), კოლხთა ტომები, ქალაქი მატრიუმ, მდინარე ჰერაკლეუმ, იმავე სახელწოდების კონცხითურთ და უსახლოუნესი პონტოს (მდინარეთაგან) — ფასის“<sup>6</sup>. ლაზების ტერიტორიას კარგად განსაზღვრავს პლინიუსის მიერ დასახელებული გეოგრაფიული ობიექტები. ამასარს სენ-მარტენი რიზესთან ეძებდა, მულერი ხოფასთან, კიპერტი — მაკრიალთან. აკად. თ. უსპენსკის აბსარის ციხე გონიოდ მიაჩნია. ჩვენც ამავე აზრისა ვართ და ეფიქრობთ, მის სასარგებლოდ, ანგარიშგასაწვეი საბუთები გვაქვს მოტანილი<sup>7</sup>. მდ. აკამფსეონი, ყოველ ექვს გარეშე კოროხია, ისილი, მოგრი და ბათი აქარა-ქობულეთ-

<sup>1</sup> იქვე. 177, 640 (თამარაშვილი აქ იწერებს ლამბერტის „სამეგრელოს აღწერის“ იტალიურ ტექსტს, რომელიც ჩვენ ხელთ არა გვაქვს).

<sup>2</sup> იქვე, 173 (ლამბერტი).

<sup>3</sup> იქვე, 643 და 183.

<sup>4</sup> ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრომი, „ბორია“ სიტყვის ქვეშ.

<sup>5</sup> რომელიც მწერალი, სახელგანთქმული ტ. ლივიუსი, რომლის ცხოვრების დრო ნახევარი საუკუნით წინ უსწრებს პლინიუსისას, როცა პომპეუსის მოქმედებას ასწერს, აღმ. ამ. კავკასიაში იხსენიებს ჰიბერებსა და აღბანელებს, დას. ამ. კავკასიაში-კი-კოლხებსა და ჰენიოხებს, S. C. II 50-51.

<sup>6</sup> Nat. hist., lib. VI, § 12.

<sup>7</sup> იხ. ჩვენი ზემოთდასახელებული ნარკვევი კოლხეთის ისტორიულ გეოგრაფიიდან.

გურიის მდინარეები, რომელნიც ზღვას ერთიან ჯორჯოსსა და რიონს შორის. ეს მდინარეები დასახლებული აქვს არიანესაც, მაგრამ სხვა რიგით: ბათუსი, აკინასისი (რომელიც პლინიუსს ნახსენები არა აქვს), ისისი და მოგრი. აქ ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს იმ რთული საკითხის გადაწყვეტას, თუ რომელ მდინარეს აქარა-ქობულეთ-გურიისას შეესატყვისებიან პლინიუს-არიანეს ბათუსის-მოგრი (მთავარი პრეტენდენტები. რათქმუნდა ბათომის წყალი (კორონის-თავი), ნატანები და სუფსა იქნებოდნენ). ჩვენთვის საკმარისია. ის საზღვრებიც, რომლებიც უკვე მოიხაზა და რომლებსაც კიდევ უფრო კარგად არკვევს პლინიუსის ცნობის უკანასკნელი ფრაზა, მოცემული ტერიტორიის უკიდურეს ჩრდილოეთ მიჯნად მდ. ფასის-რიონს რომ ასახელებს. მაშასადამე, პლინიუსის წარმოდგენით, ჰენიოხები, ამპრეტები, ლაზები და კოლხების ტომები ცხოვრობენ შავი ზღვის სანაპიროზე, კოროხის შესართავის რიონსა (ან უკიდურეს შემთხვევაში მაკრიალიდან მოყოლებული ჩრდილოეთით) და თანამედროვე აქარა-გურიის მიწა-წყალზე. ლაზებს აქ თითქოს შუა ადგილი უჭირავთ — მათ ზემოთ „კოლხების ტომები“ ცხოვრობენ. „კოლხების ტომების“ ამ სახით მოხსენება, შემდეგ ჰერაკლემის მდინარის და კონცხის დასახელება ამ ადგილას, მოწმობს იმას რომ პლინიუსის საერთოდ ნიშანდობლივი, კონკრეტული და კარგი, ცნობა ნაკლისაგან თავისუფალი არ არის და მას ერთგვარი სიფრთხილით უნდა მოვებყრათ.

საკონტროლოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პლინიუსისავე თხრობის მოქმედებო ნაწილს, რომელიც ზემოთ გვქონდა განხილული და რომელიც ფასის-რიონის აღწერილობით იწყება (§§ 13 და 14). როგორც ცნობის ანალიზმა დაგვარწმუნა, მდ. ფასის-რიონის ჩრდილოეთით პლინიუსისათვის უკვე ახალი ტერიტორიულ-ეთნიკური ოლქი იწყება, რომლის მოსახლეობაში იგი უჩვენებს მხოლოდ სალტიებს, სანებს, სვანებს, აბსილებს, სანიკებს, და, დასასრულ, ჰენიოხთა ტომებს.

რიონის ჩრდილოეთით, როგორც ვხედავთ, ლაზების ხსენებაც კი არ არის, და პლინიუსის ტექსტისათვის ეს გარემოება, ჩანს, შემთხვევითი არაა.

თუ კვლავ § 12-ს და მის ჩვენებებს, ლაზების შესახებ, დაეუბრუნდებით, საკმაო საფუძვლით შეგვიძლია მივიღოთ რომ, პლინიუსის გეოგრაფიულ წარმოდგენაში, ლაზებს კოროხის ხეობის ქვემო ნაწილი ეჭირათ, ე. ი. ის მხარე, რომელიც ქართველების, სომხების და სხვა ადგილობრივი ხალხების პირში ყოველთვის კლარჯეთად იწოდებოდა. ამიტომ ბუნებრივად შეიძლება დაიბადოს კითხვა, ხომ არ უდრის პლინიუსის „ლაზ“-ი ქართ. „კლარჯ“-ს, როგორც რეალ-ისტორიულად, ისე სიტყვიერადაც ქართ. „ჯ“- აფრიკატის გადაცემა ლათ. z-ათი, შეუძლებელი არ არის. რ-ს მეტ-ნაკლებობაც აიხსნებოდა; გაცოლებით უფრო რთულია საკითხი თავიადური „კ“-ს დაკარგვის შესახებ. დამატებითი მასალის საჭიროება საბოლოოდ დასკვნისათვის აქ თვალსაჩინოა.

სულ სხვა სურათს გვაძლევს არიანეს ცნობა, რომელიც 134 წ. კუთვნიის, ახ. წ. ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე, არიანეს ცნობით, მოსახლეობენ (სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ): უმეფო სანები, მაკრონები და ჰენიოხები (ერთ სამეფოდ), ზიდრიტები (თუ ზუდრიტები), ლაზები, აფსილები, აბასკები,

სანიგები. მაკრონ-ჰენიოხებსავე ზიდრიტებს, ლაზებს, აფსილებს, აბასკებსა და სანიგებს თავიანთი განცალკევებული სამეფოები აქეთ (§ 15). ამ სამეფოების ტერიტორიული განსაზღვრისათვის მნიშვნელობა აქვს არიანესავე შემდეგ ცნობებს. თანამედროვე ჰანეთის მდინარეების ჩამოთვლისას (§ 8) არიანე, სხვათა შორის, ასახელებს მდინარე „პრუტანისს“, 40 სტადიონის მანძილზე ქ. ათინიდან (ჩრდილოეთისაკენ) და თანაც დასძენს რომ ამ მდინარეზე „არის ანხიალის სასახლე“ (ἄρχαία). § 15-ში-კი არიანე ვეამცნობს რომ მის დროს მაკრონებისა და ჰენიოხების მეფედ იყო ანხიალი. უეკველია, ამ ანხიალის „სასახლეს“ უჩვენებს არიანე მდ. პრუტანისზე. პრუტანისი, ყოველ ეკვს გარეშე, არის თანამედროვე მდ. ფურტუნა. რადგანაც საფიქრებელია რომ მეფის რეზიდენცია დიდად დაშორებული არ უნდა ყოფილიყო სამეფოს ცენტრალურ რაიონს, ამიტომ შეიძლება მივიღოთ რომ არიანეს მაკრონ-ჰენიოხებს ეჭირათ თანამედროვე ჰანეთის ნაწილი ცენტრიო, დაახლოებით, ქ. ათინასთან. მაკრონ-ჰენიოხთა ტერიტორიის ფარგლების დაზუსტებისათვის უნდა დაეუბრუნდეთ კვლავ პლინიუსს და მოვიგონოთ მისი „ტომი სანების-ჰენიოხების“-ა გენს Sannorum Heniochorum. § 12<sup>1</sup>. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პლინიუსი და არიანე ერთიდაიმავე მოსახლეობის შესახებ ლპარაკობენ, იმ განსხვავებით, რომ არიანეს სანნები შუუცვლია. ალბათ, თვითნებურად, მაკრონებით. საფუძველი ასეთი ხელოვნური კონსტრუქციისათვის, საფიქრებელია. იყო ჰეკატეს (VI ს. ძვ. წ.) განმარტება, რომ „მაკრონები ამჟამად სანნები“ არიან (ფრ. 191)<sup>2</sup>. განმარტება, რომელსაც ასეთი ხალისით იმეორებს ყველა მომდევნო ძველი ბერძენი და რომაელი მწერალი. მოტივი-კი „სანების“ შეცვლისათვის მაკრონებით შეიძლებოდა ის ყოფილიყო რომ სანნებს არიანე უჩვენებს უფრო სამხრეთით, ტრაპეზუნტისაკენ, როგორც უმეფო ტომს, სან-ჰენიოხებს კი, არიანეს ცნობით, უკვე სამეფო ხელისუფლება მოეპოვებათ. სანნების ეს ორი ნაწილი, მასსადამე, სხვადასხვაგვარ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში იმყოფებიან.

პლინიუსის ცნობით, სან-ჰენიოხების მოსახლეობა თითქოს მდ. პიქსიტიდან იწყებოდა (... Flumen est Pyxites, ultra vero gens Sannorum Heniochorum. § 12). მაგრამ, პლინიუსით, თვით პიქსიტი თითქოს ტრაპეზუნტს სამხრეთითაა, მაშინ როცა არიანეს პერიპლით პიქსიტი გაცილებით უფრო ჩრდილოეთითაა ნაჩვენები, ზემოთ დასახელებულ მდინარე პრუტანის-ფურტუნასა და არქაბეს შუა, თვითუელისაგან 90 სტადიონის დაშორებით (§ 8). პიქსიტი უნდა იყოს ვიწე-წკარი (ვიწე-სუ) ან აბუ-წკარი (უფრო საეკვოა). თუ პლინიუსის თხრობაში სათანადო, საკმაოდ დიდი, შეცთომის შესაძლებლობას დაუშვებდით, მაშინ უნდა მიგველო რომ ამ ცნობაში დასახელებულია სან(მაკრონ) — ჰენიოხების ტერიტორიის ჩრდილოეთისაზღვარი, რომელიც, დაახლოებით, თანამედროვე ვიწესთან, ან ამ უკანასკნელთან ცოტა ჩრდილოეთით გადიოდა. ხოლო, ამ შემ-

<sup>1</sup> ყურადღება მისაკცვია რომ პლინიუსი ორჯერ იხსენიებს ჰენიოხებს ერთხელ სანებთან დაკავშირებით, მეორედ კი — ცალკე. ამრეუტებისა და ლაზების რიგში.

<sup>2</sup> რომ არიანე ძველ ავტორებს იცნობს და იყენებს, ეს მის მიერ ფორმალურადაც დადასტურებულია ამავე მე-15 წ-ში, სადაც იგი ხან იმარწმებს და ხან ვეამათება ჰენიოხონტეს (VI ს.).

თხვევაში, ზემონათქვამის საფუძველზე (ათინა ცენტრია მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოსი), ამ სამეფოს სამხრეთი საზღვარი დაახლოებით რიზესთან უნდა გაგვეტარებინა. შემდეგ ქალ. სებასტოპოლისს (სოხუმს) არიანე სანიგების ტერიტორიაზე უჩვენებს (§ 15); ხოლო სანიგებსა და მაკრონ-ჰენიოხებს შორის ათავსებს ზიდრიტების, ლაზების, აფსილებისა და აბასკების სამეფოებს. ამ ოთხი სამეფოდან მაკრონ-ჰენიოხების მიწა-წყალს უშუალოდ „ემეზობლებოდა“ ზიდრიტების<sup>1</sup> მიწა-წყალი, რომელიც, მაშასადამე, დაახლოებით ეიწეს ჩრდილოეთით იწყებოდა. ამ ოთხ სამეფოს რომ თვითეულს იმდენივე ტერიტორია მიეუზომოთ, რამდენიც, ჩვენი ანგარიშით, თითქოს მაკრონ-ჰენიოხებს უნდა სჭეოდათ, მივიღებდით, რომ ზიდრიტების ტერიტორია თავდებოდა სადღაც აქარა-ქობულეთის საზღვართან, შემდეგ იწყებოდა ლაზების მიწა-წყალი, რომელიც ვრცელდებოდა დაახლოებით მდ. ხობის რაიონამდე, ხოლო შემდეგ უკვე აფსილების სამეფო იყო გადაჭიმული. მაგრამ ცხადია, ეს მეთოდი მეტად პრიმიტიულია და ჩვენ მას ვერ დავეყრდნობით, ვიდრე სხვა ცნობებსაც არ გავითვალისწინებთ.

ლაზების შემდგომი ხსენება მოეპოვება პტოლემეს. ცნობილი გეოგრაფი ამის შესახებ ამბობს: „კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები (Λαζαί), ზევანში-კი — მანრალეები და ხალხები, რომლებიც ცხოვრობენ ეკრიკაიკეს ქვეყანაში“, გეოგრ., წ. V, თ. IX, § 5. მაგრამ რადგანაც თვით კოლხეთი პტოლემეს ძველებურად ესმის (კოლხეთის სამხრეთი საზღვარი მას კაბადუკიის პონტომდე ჩააქვს), ამიტომ მისი ცნობა ჩვენი საკითხისათვის არაფერს გვაძლევს, გარდა იმისა, რომ თითქოს მიუთითებს სახელწოდება „ლაზის“ გაზრდილ მნიშვნელობაზე, რომელიც ეხლა, საფიქრებელია, უფრო ფართო მოსახლეობას გულისხმობს, ვიდრე თუნდაც არიანეს დროს, რომელიც რამდენიმე წინ უსწრებს პტოლემესას. პტოლემეს განხილული ცნობის მართებული გაგებისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ მისი მეორე ჩვენება, ჩართული სარმატიის მოსახლეობის საერთო აღწერილობაში: „პონტოს გასწვრივ (περὶ τὴν Ἰσθμὸν), — ამბობს პტოლემე, — (ცხოვრობენ) ახეები, კერკეტები, ჰენიოხები და სუანოკოლხები“<sup>2</sup>. რას ნიშნავს ეს ცნობა? პონტოს სანაპიროს რომელ ნაწილს გულისხმობს იგი? თუ მხოლოდ იმას, რომელიც საკუთრივ სარმატიას ეკუთვნოდა და კოლხეთის ჩრდილოეთით მდებარეობდა, თვით პტოლემესავე განსაზღვრით (ე. ი., დაახლოებით, მდ. ბზიფის ხეობიდან მოყოლებული ქერჩის სრუ აემდე), მაშინ რანაირად მოხედნენ იქ, კოლხეთის გარეთ, ეს „სუანოკოლხები“? თუ „სუანოკოლხების“ ადგილ-სამკვიდრებელი აქ შეესთომითაა განსაზღვრული და ისინი სანაპიროს უფრო სამხრეთით მდებარე ნაწილში, კოლხეთის ტერიტორიაზე, უნდა გადაიყვანოთ, მაშინ მცთარი ყოფილა აგრეთვე პტოლემესავე ზემომოყვანილი ცნობა, რომ „კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები“. ერთი სიტყვით პტოლემეს არ ჰქონდა, როგორც ჩანს, მთლად ნათე-

<sup>1</sup> ფორმალურად (დასახელების რიგის მიხედვით) გამოდის, რომ არიანეს ზიდრიტები უდრიან პლინიუსის ამარჯვებებს. რეალური ურთიერთობის გარკვევა, ზიდრიტ-ამარჯვებებს შორის, მომავლის საქმეა.

<sup>2</sup> გეოგრ., წ. V, თ. VIII, § 24.

ლი წარმოდგენა კოლხეთის მოსახლეობაზე. — სტეფანე ბიზანტიელის განმარტებით, „ლაზები (Λαζῆς) სკითური ტომია“<sup>1</sup>, მაგრამ ასევე სკითური ტომად სთელის სტეფანე აფსილებს და სანიგებსაც. რაზეა დამყარებული ასეთი გაგება, არ ჩანს.

გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოებაც რომ, გარკვეული დროიდან მოყოლებული (ბიზანტიურ ხანაში თითქმის უკლებლოვ), ძველ ბერძენსა და რომაელ მწერლებს „ლაზი“ კოლხების ახალ სახელად მიაჩნდათ, და ამ სახელწოდებათა მატარებელ ტომებს ერთსადაიმთავე ხალხად სთელიდნენ. ასე მაგ., არიანეს უსახელო რედაქტორი მეხუთე საუკუნისა (ახ. წ.) ამტკიცებს: „დიოსკურიდიდან ანუ სებასტოპოლიდან მდ. აფსარამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი, რომელიც იწოდებოდა კოლხებად და რომელსაც ახლა შეერქვა ლაზები (Λαζῆς)“<sup>2</sup>.

მემონი, რომელიც, როგორც ფიქრობენ, I—II სს. მიჯნაზე ცხოვრობდა, მითრიდატისა და რომაელების ბრძოლის ისტორიაში მოგვითხრობს, რომ როცა ლუკულმა აღწა შეჰოარტყა სინოპს და სანოვავე მოუწვიცა გარემოკულებს, ამ უკანასკნელთაგან ის პირები, რომელთაც ხელისუფლება ჰქონდათ ქალაქში მითვისებული, თავის შევლის მიზნით „ხომალდებით გაიქცნენ პონტოს შინაგან ადგილებში, რომლებიც დასახლებულია სანიგებითა და ლაზებით“<sup>3</sup>. სამწუხაროდ, არც ეს, სხვა მხრივ ფრიად საყურადღებო, ცნობა იძლევა მტკიცე დასაყრდენს ჩვენი ტერიტორიული საკითხის გადაწყვეტისათვის. თუ ტერმინს „პონტი“-ს აქ აღმინისტრაციული მნიშვნელობა აქვს, მაშინ ეს ოლქი სრულიად გარკვეულ ადგილას უნდა გვედგინა. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ესაა ნათელი.

საინტერესოა რომ ზემოხსენებული აპოლიტე პორტელი თავის „შთამომავლობათა წიგნში“, იაფეტის ტომთაგან იხსენიებს კოლხებს, საკუთარ ენის მქონე ტომთა შორის კიდევ — კოლხებსა და სანნებს, ხოლო ლაზებს — არსად<sup>4</sup>. ასევე იქცევა ვესევიც<sup>5</sup>. სამაგიეროდ ეპიფანე, რომელიც თანამედროვეა ვესევისა, მხოლოდ ცოცხლობს ვესევიზე დიდხანს (ეპიფანე დაიბ. 314 წ. მახლობლად, გარდ. 403), ლაზებს საპატიო ადგილს უთმობს ერთა ფილიაქიაში (სემის შთამომავალთა შორის), სამაგიეროდ სანებს სულ არ იხსენიებს (კოლხები იაფეტთანა შორის ჰყავს მოქცეული)<sup>6</sup>. საყურადღებოა რომ ეპიფანეს მოხსენებული აქვს უკვე ქვეყნის სახელი ლაზია (Λαζία), რომელიც, უფრო იმეოათად, გვხვდე-

<sup>1</sup> ლექსიკონი, სიტყვის ქვეშ. XII ს. შერალი იოანე ცეცე კიდევ ამტკიცებს, რომ „კოლხები ინდოელი სკითები არიან, იწოდებიან აგრეთვე ლაზებად და ცხოვრობენ ახასციების მუხობლად“, S. C. I 400, აგრეთვე 404, 405 („კოლხები ლაზური ტომია“).

<sup>2</sup> ანონიზის პერიკლი § 48, S. C. I 275. იხ. აგრეთვე წინა უნიშვნა.

<sup>3</sup> I. IV, S. C. I 510.

<sup>4</sup> S. C. II 445—7.

<sup>5</sup> იქვე, I 667—9.

<sup>6</sup> S. C. I 707—8. ეს სიტყვი ეპიფანეს თაყვისებური წესით აქვს შედგენილი: მოსინიკები (სანებს რომ არ გულისხმობენ ისინი?) მოხსენებულნი არიან როგორც სემის, ისე ქანის და ისევე იაფეტის შთამომავალთა შორის, ლაზები ორჯერ იხსენიებიან ერთ სიაში და სხვ. თითო ეპიფანე ამას ხსნის საერთო სახლებრებით, მოგარტებით და ქანის ძალმომრებით, იქვე.

ბა შემდეგშიაც (სხვათა შორის, იგი ნახმარი აქვს თამარ მეფის ისტორიკოს-საც), იმითომ რომ გაბატონებული ფორმა არის „ლაზიკე“. — პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ტერმინს „ლაზები“ ეპიფანესთან შემდეგ ფრაზაში, სადაც ეპიფანე კითხულობს: ვინ იყის თუ რამდენი მწველებლური დასია „კასპიაში... ან სარმატიაში... ან ხოკებთან, ამაზონელებთან, ლაზებთან, იბერებთან“...<sup>1</sup> თეოდორიტე კვირელი (V ს. პირველი ნახევარი), როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ-მოტანილ ციტატაში, ჯერ კიდევ ერთმანეთში არჩევს ლაზებსა და სანნებს. მაგრამ მეხუთე საუკუნეში მაინც საბოლოოდ დამკვიდრდა „ლაზის“ ახალი მნიშვნელობა ტერმინ „ლაზიკესთან“ ერთად: „ლაზი“ უდრის თანამედროვე „მეგრელს“, „ლაზიკა“ კიდევ აღნიშნავს საკმაოდ დიდ სამეფოს, რომელიც შეიცავდა გურიას, ქვემო-იმერეთს, რაქა-ლენჩხუმს, სამეგრელოს, სვანეთსა და აფხაზეთს, და რომელიც ჩამოყალიბდა IV ს. დამლევს. ამ გარემოებამ განსაზღვრა, ძირითადად, მოცემული ტერმინების სემანტიკური ფუნქციის ახალი ფარგლები<sup>2</sup>. ამის შემდეგ სანიცა და ზანიც, სამეგრელოს ტერიტორიის მიმართ, უკვე საესებით ან მეტწილად, ქრება: პირველი (და, მასთან ერთად, სხვა, ზემოთგარჩეული ტერმინებიც) ჩაყლაპა ლაზმა, მეორე — მეგრელმა-მარგალმა. ზანი მხოლოდ სვანურს შერჩა. შემდეგ ხდება კიდევ ერთი საინტერესო ამბავი: უკვე ლაზიკის სამეფოს დაშლის შემდეგ ტერმინი ლაზი გადადის ჰანებზე, რომელნიც მანამდის ასე არასოდეს არ იწოდებოდნენ. ეს უკვე სხვა რიგის ისტორიული საკითხია, და მის შესახებ ჩვენ სპეციალურ ნარკვევში გვექნება საუბარი.

აქ მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ რომ ტერმინი „ლაზის“ ორიგინალური ეტიმოლოგია თავის დროზე წარმოდგენილი ჰქონდა აკად. ნ. მარს. ამ განმარტებით „ლაზი“ არის ელინიზებული ფორმა „ზანების“ ქვეყნის სახელწოდებისა, „ლაზი“ მოდის „ლა-ზან“-იდან, ეს უკანასკნელი კი არის ადგილის სახელის სვანური ფორმა<sup>3</sup>. გეოგრაფიულ-ტერიტორიულმა ტერმინმა ეთნიკური მნიშვნელობით „შუსაბამო“ (исчерпанное) გამოყენება ჰპოვა არა იაფეტილებში, არამედ ბერძნებშიც, ამტკიცებდა მარი<sup>4</sup>. გარდა ამისა, მარი ფიქრობდა რომ ლაზი და მეგრელი ერთიდაიგივე არ არის, რომ ტერმინი sαλλ'იც-კი, s-ს ჯდ გამგლერებით, გადატანილი იყო ჩრდილოეთში, მეგრელებზე<sup>5</sup>. შემდეგში მარმა რადიკალურად უარჰყო ეს ეტიმოლოგია, რომელსაც იგი, როგორც ვნახეთ, მრავალი წლის სიგრძეზე იცავდა; ავტორმა წინანდელი ახსნა შევთომად აღიარა და „ლაზ“ ეხლა უკვე „ლაზ-გ“-ისა (ლეკისა) და „პე-ლას-გ“-ის ფუძის ერთ თავისებურ სახედ მიიჩნია<sup>6</sup>.

ჩვენ არა დამაჯერებლად მიგვაჩნია როგორც პირველი, ისე მეორე ეტიმოლოგია. პირველისთვის მთავარი დაბრკოლება ის კი არ არის, რომელსაც

<sup>1</sup> იქვე, 710.

<sup>2</sup> ამის შესახებ იხ. ჩვენი წერილი „ვერისის სამეფოს წარმოშობა“, ტფ. უნ. შრომები, V.

<sup>3</sup> Н. Марр, Крещение армян, грузин, архазов и аланов... ЗВО XVI (1905), 165—166; მისივე, Из поездки в Турецкий Лавистан, НАИ, 1910, 571; მისივე, Из поездки в Сванны, X В, т. II, вып. I, 32, შენ.

<sup>4</sup> Из поездки в Сванны, 23, შენ.

<sup>5</sup> Крещение, 166; Из поездки, 32, შენ.

<sup>6</sup> ნ. მარი, რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება? 1923 წ., გვ. 38.

თავის დროზე მარი აღიარებდა -- ტერიტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინის გადაქცევა ეთნიკურად. ამგვარი ტრანსფორმაციის უტყუარი ფაქტების დასახელება ადვილად შეიძლება. აი, თუნდაც ქართული „სეანეთი“, „ჯუქეთი“ და მისთანანი რუსებმა რომ სატომო სახელებად აქციეს: XIX საუკუნეში რუსული შწერლობა ძალიან დიდხანს ხმარობს *сѣанет-*-ს, სეანის მნიშვნელობით, *дѣанет-*-ს, ჯიქის მნიშვნელობით, და ა. შ. მოცემულ ახსნის საწინააღმდეგოდ, უწინარეს ყოვლისა, ისტორიული უკუთქმები ჩნდება: ასახსნელია (თუ აუხსნელი). როგორ მოხდა, რომ ზღვისპირა ტომის, სან-ზანების, სახელწოდებისათვის ბერძენ-რომაელთა შწერლობამ, ამ დროს (I—II სს., ახ. წ.) უკვე ზანების მიღმა, მთებში მცხოვრები, სეანების ტერმინი შეითვისა, და არა თვით სან-ზანების საკუთარი სახელწოდება? კიდევ უფრო მიუღებელია, ისტორიულად, მოქალაქეობრივ სარბიელზე ეთნიკურ ტერმინზე ადრე ტერიტორიულის გამოყვანა: როცა ტერმინი ლაზი პირველად ჩნდება შწერლობაში, მაშინ ეს ტომი ისეთს საზოგადოებრივ ფორმაციაში იმყოფება, რომ მისი ტერიტორიის აღსანიშნავად ეთნიკურის (მორფოლოგიურადაც!) ტერმინის ხმარებაა მოსალოდნელი, და არა ტერიტორიულ-გეოგრაფიულისა. განა დამახასიათებელი და ანგარიშ-გასაწევი ვარემოება არ არის ის, რომელიც აღნიშნული აქვს თვით აკად. მარს რომ ფორმა „ლა-ზან“ დღესაც უცნობია სეანებისათვის და რომ სამეგრელოს ისინი მარტივად „ზან“-ს ეძახიან? ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის, არამედ უძველესი ხანის გარდმონაშთია, როცა მოცემული სტრუქტურის ტერმინს კრებითი სატომო სახელის მნიშვნელობა ჰქონდა და იმავე დროს ტომის გაერკვლების არესაც აღნიშნავდა. ჯერჯერობით დაუსაბუთებლად მიგვაჩნია ჩვენ აგრეთვე ლაზის დაკავშირება ლაზგსა და პელაზგთან<sup>1</sup>.

რა ურთიერთობაა მეგრელთა სატომო სახელის ამ ძველს, ადგილობრივ და უცხოურ, ფორმათა შორის? აქ უწინარეს ყოვლისა, გასარკვევია ზან-ისა და ბერძნ.-ლათ. სან-ის ურთიერთდამოკიდებულება, უფრო ზუსტად რომ ეთქვათ, ის მიმართება, რომელიც არსებობს ამ სიტყვების თავიკიდურ თანხმოვანთა შორის. აქ თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ რომ ბერძნ. *z-*სა და ლათინ. *s-*ის გადმოცემა ქართ. *s-*ანით უბრალო ტრანსლიტერაციაა. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა ბგერითს შინაარსს სდებდნენ ამ ასოში ბერძნები და რომაელები უცხო ენის უფრო მდიდარი ფონეტიკური მასალის გადმოცემისას თავისი ნაკლები (ამ უცხო ენის ფონეტიკის თვალსაზრისით) ანბანით. *z-*სა და *s-*ს შეიძლება ეტყვირთა ქართველური ენების როგორც მარტივი სპირანტების, ისე რთული აფრიკატების გამოსახვა. თუ რომელი მათგანისა, სახელდობრ, ეს საძიებელია. ადგილობრივი მასალები, როგორც ვნახეთ, არჩევანს შემდეგ 3 ბგერაზე მიაგდებს: *ზ*, *წ*, *ჭ*. აფრიკატებში, ჩვენ ვეთქვამთ, სისინათა შანსები, ამ შემთხვევაში, მეტია, ვიდრე შიშინათა. გასათვალისწინებელია რომ ბერძნულს (და ლათინურსაც) არ ჰქონდა არა მარტო შიშინა აფრიკატები, არამედ ამ უკანას-

<sup>1</sup> მარს საფუძველს მოკლებულია აგრეთვე ისეთი დააბლოებანი, როგორცაა: ახრა II აგრუა (მეგრელი), ხაზრან (მასუდი) II კაძარ (ეთიმე მგერელთა თვითწოდება) II კაჯარ<sup>2</sup> (?). აკარ, სადაც გაუგებრობას შემთხვევითობა ემატება და ფაქტობრივ მასალაც სინამდვილეს ძალიან დაშორებულია, იხ. ბ რ უ ნ ის მნიშვნელები ველას თარგმანისათვის, ЗООНА, IX (1875), 173.

ქნელთა ძირითადი კომპონენტის—ბგერა შ. შიშინა აფრიკატები ბერძენ-რომაელთათვის აკუსტიკურად ორმაგად რთული უნდა ყოფილიყო. ამიტომაც რომ როცა სახელწოდება „ჭანი“ შედის ბერძნულ მწერლობაში, კ-ს აქ ორი ასოთი, ან, გადმოსცემენ. ასევეა როგორც ვნახეთ, ლათინურის შემკვიდრე იტალიურშიაც, სადაც ქართ. კ-ს (ხმოვნის წინ) გადმოცემას აგრეთვე ლიგატურით რჩებოდნენ<sup>1</sup>. რაც შეეხება წ-ს, მისი აღნიშვნის მოვალეობა-კი შეიძლებოდა ეკისრათ „სიგმა“—„ეს“-საც. ამის მშვენიერი მაგალითია პტოლემეს *Σχολια* (წ. V, თ. VIII, § 25, რომელიც უდრის ქართულს „წანარებს“<sup>2</sup>). საინტერესოა რომ არაბებიც ამ ფუძეს ან სახით გადმოსცემენ<sup>3</sup>, სადაც ქართულ წ-ს და ბერძნ. τ-ს უდრის არაბ. ṣ-საეჭვოდ მიგვაჩნია ჩვენ აგრეთვე τ || ṣ-თი ქართ. ზ გადაეცათ. ამისათვის უფრო შესაფერისი იყო ბერძნ. ζ და ლათ. z, და ეს ფაქტურადაც ასეა. უკვე სტრაბონის გეოგრაფიაში ქართ. „ალაზანი“ გადმოცემულია Ἰλαζάνης სახით<sup>4</sup>, ხოლო ქართლის დედაქალაქის არმაზის ანუ არმაზის-ციხის სახელი Ἰλαζάνη-დ<sup>5</sup>. აქ ორივეგან, მაშასადამე, ზ=ζ. ლათინური შესატყვისებიდან ṣ=ζ=ზ პლინიუსთან, ალაზნის სახელში, რომელიც მას საერთოდ დამახინჯებულად აქვს მოცემული (Cazane)<sup>6</sup>.

ამიტომ, ვფიქრობთ ჩვენ, ბერძნების და რომაელების „სანნი“ ზანად არ უნდა წაეიკითხოთ. რაც შეეხება „წანის“ საეკითხავს, ის, როგორც ვთქვით, შეუძლებელი არ არის, მაგრამ ზემოთმოტანილ მასალებს უნდა დავერწმუნებინეთ რომ ეს ფორმა ადგილობრივი გაერკვლების ყველაზე მკირერიტობიდან, სხვა ფორმებთან შედარებით, ფაქტებშია გამომხატული. ისეთი აზრიც გავიყვანით, რომ წ მეორეულ მოვლენად და კ-ს განვითარებად არის მიჩნეული.

ყოველივე თქმულის ნიადაგზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საკითხი საბოლოოდ ჯერ ვერ გადაწყდება, მაგრამ მოცემული ფაქტიური მასალის მიხედვით ყველაზე ბუნებრივი ჩანს ბერძნ.-რომ. „სანნი“ სწორედ ასე წაეიკითხოთ. ამ შემთხვევაში მივიღებდით რომ ბერძნ.-რომაულ მწერლობას შემონახული აქვს სატომო სახელწოდების უფრო ადრინდელი საფეხური, მეორე საფეხური კი ადგილობრივი ზან-ია: ხ-ს განვითარება ზ-დ შეუძლებელი არ არის. შეადრ. მეგრ. სიტყვა || ზიტყვა, ზაზანდარი (აქ ასიმილაციის წესიც მოქმედებდა ალბათ), ზირტუა — სხლეტა, ზისხირი — სისხლი.

<sup>1</sup> იტალიურში ქართულ შ-საც ლიგატურით sc, ან კიდევ უფრო რთულად—sci გადმოსცემენ: sciascus უდრის „მავსელს“, მაგ. იხ. თამარაშვილი, გვ. 420—786 და სხვ.

<sup>2</sup> ნ. მარი „წანარ“-საც სენანბის სახელად სთვლის, *Из истории и происхождения*, 32, მუნ. მაგრამ ეს დებულება დაუმტკიცებელი რჩება. რაც შეეხება ატორის განცხადებას, წანარს სენანბს ეძახდნენ; იქვე, ეს უკვე ფაქტიურადაც არ არის სწორი.

<sup>3</sup> იხ. მაგ. ბალაძორი, *ქუხეს გამოც.*, ბაქო, 1927, გვ. 4.

<sup>4</sup> Strabo, *Geographica*, ed. Meineke, L., II. T., 1925, წ. XI, თ. 3, § 2, გვ. 702; აგრეთვე თ. 4, § 5, გვ. 706.—ტეუმთ ყველგან ეს გამოცემა ნაგულისხმევი.

<sup>5</sup> იქვე § 5, გვ. 703.

<sup>6</sup> *Nat. hist.*, VI, 29. რომ აქ მართლაც ალაზანი იგულისხმება. უეკელია, რადგანაც იგი სახლურადაა გამოცხადებული იბერებსა და ალბანელებს შორის.—რაც შეეხება არმაზის სახელწოდებას რომაელ ავტორებთან, ამის შესახებ საეციალური მუკვლობაა საჭირო.

ზემოთაღნიშნული ფაქტები მკიდროდ აკავშირებენ, — სატომო სახელთა სფეროშიაც, სადაც ყველაზე ძლიერია ცვალებადობა, — ჩრდილოეთისა და სამხრეთის „მეგრელებს“, ანუ საკუთრივ მეგრელებსა და დღევანდელ ლაზებს (ქანებს). ცხადი ხდება, რომ ამ არსებითად ერთს, მთლიანს, ტომს, თავის დროზე სატომო სახელწოდებაც ერთი ჰქონდა.

ამ მხრივ ყველაზე ადრე უჭრადღებას იქცევს ისეთი უძველესი ლიტერატურული ფაქტი, როგორიცაა მეექვსე საუკუნის (ძვ. წ.) ცნობილი ბერძენი მწერლის, ჰეკატეს, ჩვენება რომ „მაკრონები ამ ეჰმად სანნები (Σανναι)“ არიანო (ფრ. 191). როგორც ზემოთ ვთქვით, ეს ცნობა მეტად პოპულარული გახდა შემდეგდროინდელს ბერძნულ-რომაულ მწერლობაში. როგორც მაკრონთა შესახებ არსებული ცნობები (მაგ. მეხუთე საუკუნის დამლევის ქსენოფონტეს აღწერილობა), ისე მერმინდელ მწერალთა და კომენტატორთა განმარტებანი გვაგულისხმებინებენ რომ ჰეკატეს სანები სამხრეთ კოლხეთში არიან საგულეებელნი, და არა ჩრდილოეთში. სტრაბონი, მაგალითად, პირდაპირ ამბობს რომ ტრაპეზუნტსა და ფარნაკიას ზემოთ ცხოვრობენ ტიბარანები (Τιβάραι), ხალდეები (Χαλδαῖαι) და სანნები (Σανναι), რომელთაც წინეთ მაკრონებს (Μακρονα) ეძახდნენ<sup>1</sup>. პლინიუსი, როგორც ვნახეთ, პირდაპირს ეთნიკურ კავშირს აბანს კოლხეთის მოსახლეობის ამ ორ დიდ ნაწილს შორის, როცა ასახელებს სანნებს როგორც სამხრეთში (იქ ისინი ჰენიოხებთან კავშირში იმყოფებიან), ისე ჩრდილოეთშიაც. ანალოგია თავს იჩენს იმ მოვლენაშიაც, რომ სახელწოდება „სანნ“-მა, ს-იანი ფორმით, ვერ გასძლო სამხრეთშიაც; თუ ჩრდილოეთში იგი თითქოს ადგილს უთმობს „ზანს“-ა და „ლაზს“ (უცხოელთა ნომენკლატურაში), სამხრეთში მემკვიდრის როლში ქანი გამოდის, სადაც თავკიდური აფრიკატი ძველ ბერძნ. მწერლებს Ἰ-თი აქვს გადმოცემული. ზემოთვე შოტანილი და განმარტებული სხვა ცნობებით ძველი მწერლებიდან ჩვენ შეგვეძლო სამხრეთისათვისაც განვითარების თითქმის იგივე რიგი დაგვედგინა, თითქოს, რაც ჩრდ. კოლხეთისათვის მივიღეთ: სანი — (ზანი, ეს ფორმა იქ არ შენახულა, მაგრამ საგულისხმებელია) — ქანი. მაგრამ ჩვენ აქ ერთი შენიშვნა უნდა გვაკეთოთ: ჰეკატეს ააი-ისათვის შეუძლებელია იმის მტკიცება რომ მეექვსე საუკუნის (ძვ. წ.) ამ მწერლის ტექსტში ა არ შეიძლება აღნიშნავდეს უცხოურ ზ-ს: სპეციალისტები ამტკიცებენ რომ მეხუთე საუკუნის დამლევამდე, ძვ. წ., Ἰ-ს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ზ-ს მნიშვნელობა (იგი აღნიშნავდა „ზღ“ კომპლექსს) და ამიტომ უცხოურ ზ-ს იმდროინდელი ბერძნები „სიგმათი“ გადასცემდნენ.<sup>2</sup> მხოლოდ ის გარემოება რომ მერმინდელი ბერძენი მწერლებიც იმ ხანაში, როცა Ἰ უქველად უდრის ზ-ს, დაიხიებით სწერენ ა-ს, ამ სიტყვაში, Ἰ-ს-კი — არასოდეს, გვაფიქრებინებს რომ ზ ბგერა ბერძნებს აქ არ ესმოდათ არც მერმინდელსა და არც ადრინდელს, ჰეკატეს, დროში.

<sup>1</sup> გეოგრ., XII, 3, 18, დასახ. გამოც., გვ. 770.

<sup>2</sup> М. Ф а с м е р, Исследования в области древне-греческой филологии, М. 1914, გვ. 10, 23, 29, 43 და სხვ. ამ საკითხზე მოწოდებათაზე მიმითითა პროფ. ვრ. წერეთელმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ.

სამხრეთული ფაქტების სია სრული არ იქნებოდა, თუ აქ არ მოვიგონებდით მოსინიკებს, კარგად ცნობილ ანტიკურ მწერლობაში, რომელთაც ჩვეულებრივად ქართველ ტომად სთვლიან<sup>1</sup>. შესაძლებელია მართლაც, ამ სახელის ფუძეც ჩვენს ბუდეს ეკუთვნოდეს, ხოლო თავსართოვანი მარცვალი ცნობილი ქართველური პრეფიქსი შა || მე || შო || შუ იყოს, რომელიც, როგორც ზევით ვნახეთ, დღესაც სვანურში სატომო სახელიდან საინდივიდო, კერძობით, ფორმას აწარმოებს (მუშუან = ერთი სვანი, მგ-ზან || მუ-ზნი — ერთი მეგრელი). ასეთი გაგებისათვის საყურადღებო საარგუმენტაციო მასალა იქნებოდა სკილაკისა (IV ს., ძვ. წ.) და პლინიუსის მიერ დაცული ფორმა ამ სახელისა. სკილაკი, ტიბარნების ჩრდილოელ გეზობლებად, იხსენიებს „მოსსენ“ებს (Mosseni, 86-87, SC I 86); ხოლო პლინიუსი, მდ. თერმოდონტს ჩრდილოეთით, ჩვეულს ეთნიკურ წრეში, ასახელებს ტომს Massyni, რომელსაც ტანი მოხატული ჰქონია (VI § 11)... ექვს გარეშეა რომ ეს ქსენოფონტეს მოსინიკები არიან, რომელთაც, ქსენოფონტეს ცნობით, ტანი აგრეთვე მოხატული ჰქონიათ (V 4-32). საყურადღებო ამ ორ ცნობაში ის არის, რომ სატომო სახელს აქ ხამოცილებული აქვს -იკ- დაბოლოება, რომელიც არც ერთს ზემოვანხილულ ფორმაში ჩვენ არ შეგვხვდარია. მაგრამ სათანადო ფუძეში — *mas*<sup>2</sup> განსამარტავი რჩება ორი ან, რომელიც შესაძლებელია ბერძნულისათვის უცხო სპირანტს ან აფრიკატს აღნიშნავდეს, და, განსაკუთრებით რთული, „ს საკითხი. ჩვენს ხელთ არსებული მასალები ა-ს ადგილობრივ კანონზომიერ შესატყვისს არ იძლევა.

შემდეგ საყურადღებოა სატომო სახელი კ ა ე ნ ი. იგივე პლინიუსი (VI § 11) მდინარე თერმოდონტის ჩრდილოეთით პირველ რიგში ასახელებს „კაენების ტომს“, gens Caenarum. ბიზანტიელი მწერლები, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, იცნობენ კანების ერთ-ერთ შტოს — კანებს ოკაენიტებს, სადაც თითქოს იგივე ფუძე ჩნდება, ტომონიმიკური ფორმით (ო-) შემოსილი. ლიტერატურაში პროკოპი კესარიელის „ოკაენიტების“ სახელი სწორედ ასეა განმარტებული<sup>3</sup>.

ჩვენთვის საინტერესო სატომო სახელწოდების პარალელებიდან სამხრეთ-კოლხეთში აღენიშნაეთ აქ მხოლოდ „წან“-ს, რომელიც სამხრეთელ კანების მიმართ ჯერჯერობით მხოლოდ სამეგრელოშია დაცული (იხ. ზე-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერ. ისტ., I<sup>2</sup> 25.

<sup>2</sup> ჭენოფონტე, ანაბასისი, V, თ. 4.

<sup>3</sup> Адаши, Армения в эпоху Юстиниана, 63, 64, სადაც გამოთქმულია მოსახვებს რომ „კენა“ „კან“-ის უფრო ძველი ფორმა და რომ უკანასკნელი მიღებულია პირველისაგან კ-ს პალატალიზაციით. გ. კ, კ-ს პალატალიზაცია და ამ გზით აფრიკატების მიღება ამჟამად ახასიათებს კანურის ათინურ კილოკაის ზოგიერთ უბნებს, ა. ჩიქობავა, კანურის გრამტიკული ანალიზი, 15, 26. მაგრამ კანურის თანამედროვე ფაქტები კ-სა და კ-ს შენაცვლების სფეროდან მრავალ შემთხვევაში თითქოს პალატალიზაციის გარეშე დგას. შეადრ. კაიხი || კაიხი-ბელურა, კაკი || კაკი — თხილის ნედლი ჩენჩო, კერფი || მკუფრი — კანაფი, კობა || მკობა — კუხ (მკუხე უფრძენი); კ-სა და წ-ს შენაცვლებიდან: კამწამი || წამწამი — წამწამი. პალატალიზაციის გზა ნათლად ჩანს ისეთ ფაქტში, როგორიცაა: კაფუ || კაფუ — ტურა. იხ. H. Mapp, Ipa. y. a. a., ლექსიკონი.

მოს) <sup>1</sup> და აქაურსავე „ქანთან“ ერთად გვხვდება <sup>2</sup>, და შემდეგ ძველი სომხური მწერლობის ცნობებს, რომლებშიაც „ქან“ ფუძე გართულებულია - ივსუფიქსით, რომელიც, როგორც სამართლიანად აღნიშნული აქვს აკად. ნ. მარს, მრავლობითი რიცხვის ნიშანი უნდა იყოს <sup>3</sup>, ადგილობრივი წარმოშობის ფორმანტი. ეს ფორმა დაცული აქვს მოსე ხორენელს, იმპერატორის ტატიტის მოკვლის შესახებ თხრობაში. მოსეს თქმით, იმპერატორი მოუკლავთ „პონტოს ქანიეში, რომელნიც არიან ხალდები“ <sup>4</sup>-ო <sup>1</sup>. თუმცა სინტაქსურად ტექსტის ეს მტკიცება მთლად ნათელი არ არის, მაგრამ ყველაზე ბუნებრივია ვიფიქროთ რომ აქ ხალდები ქანებთან არიან გაიგივებულნი, რაც საყურადღებო ცნობაა თავისთავად <sup>5</sup>. შემდეგ ისევე, როგორც ჩრდილოეთში მოცემული ფუძის ე-იანი ვარიანტები დავადასტურეთ (ქენ, წენ), ასევე შესაძლებელია ამ ფორმის არსებობა სამხრეთშიაც ეიგულვით. აქ გასათვალისწინებელია, ლიტერატურაში მრავალგზის განხილულ-კომენტირებული, გარდმოცემა ძველი სომხური მწერლობისა ნახარარ მამიკონიანების წარმოშობის შესახებ. ამ გარდმოცემით, მამიკონიანები შთამომავლობით ქენ-ები არიან, ამ ფეოდალურ საგვარეულოს წინაპარი სომხეთში მამგუნი ქენ-ია, „ქენ-გვარის“ ანუ „ქენ-თელისა“ (ძենსაყენ) <sup>6</sup>. თუმცა უეჭველია რომ ამ გარდმოცემის უშუალო მომთხრობელთ „ქენ“ აქ ესმით, როგორც „ჩინ“-ი და ეს ფუძე ძველ სომხურ მწერლობაში მართლაც ჩინეთსა და ჩინელზე მიუთითებს, მაგრამ საფუძვლიანი უნდა იყოს ლიტერატურაში არა ერთგზის გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს მწიგნობრული კონსტრუქციაა, სადაც ხალხური თქმულების რეალური „ქანი“ შეცვლილია „ქენ“ || „ჩინ“-ით, რისთვისაც, დაუშვამტებთ ჩვენ, იქნებ ხელი შეეწყუ „ქან“-ის ადგილობრივს ცოცხალ ვარიანტს „ქენ“-საც. მამიკონიანები რომ მართლაც წარმოშობით ქანები იყვნენ, ეს საესებით სარწმუნოა: ამას გვარის სახელის ფუძის მამიკის (-მამა+კინობითი სუფიქსი <sup>7</sup>) გარდა დაბოლოება — ონ, ქანურ-მეგრული აფიქსი, ადასტურებს.

ამრიგად, მოცემული სატომო სახელის ისტორიული ფორმების განხილვა უკვე ამგლავნებს იმ უმჭიდროესს კავშირს, რომელიც ჩრდილოეთისა და სამხრეთის კოლხებს, მეგრელებსა და ლაზებს, შორის, არსებობს. სატომო სახელის ამ ფორმათა მრავალნაირობა შემდეგნაირად ჯგუფდება:

<sup>1</sup> ისე კი წ-სა და ჭ-ს შენაცვლება თვით ქანურში საკმაოდ ჩვეულებრივი ამბავია. შეადრ წარბა || ჭარბა | ჩარბი (სა.), წიწი | ჭინჭყვალა — შიგნული, წუკალი=ჭუკანი — დიდი ქვაბი, წუბუტი || ჭუბუტა — პაწაწა, წუტა || ჭუტა — პატარა. ქანური წ შეესატყვისება მეგრ.-ქართ. ჭ-ს: წუ — მეგრ. ჭა—ხალა, წია — ქართ. ჭიაი. იხ. Н. Марр. Грам. чаш. ма., лезгиконნი.

<sup>2</sup> ქანი — ტერმინში „ქანური“, რაც სამეგრელოში საილინძის ქვაბს აღნიშნავს. Кипни-ძაე, Грам. машгр. яз., лезгиконნი, სიტყვა „ქანი“.

<sup>3</sup> О положении ивх. аз. средн. афетических, 17

<sup>4</sup> Գրամատիკურ ჰაიკი, Մովսես Մարտիրոսի, გვ. 215.

<sup>5</sup> სხვა მკვლევარნი ამას უყოფნანოდ ჩაიბან. ეზნი მგ. ასე სთარგმნის: „В Джанике Понтийском, т. е. в Хаттике“, — Ист. Арм. М. Хорезьского, М. 1899, გვ. 122.

<sup>6</sup> მ. ხორენელი, სომხ. ტექსტი, იქვე, გვ. 90, 221-223, 227.

<sup>7</sup> ეს ფუძე ქართულურ წარმოშობისად და მამიკონიანებზე ქანებად მიჩნეულია, მაგ. ნ. აღანციან მებრ.

1. ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი: ხან-ჯან-წან: და დიალექტური ვარიანტები: ქან, ქენ, წენ (?)

II. სამხრეთი: ხან-ქან — (ქენ, კან?), და დიალექტური ვარიანტები: ქენ, წან? აქ ჩვენ იმის რკვევას ვერ გამოვუდგებით, თუ როგორი იყო ამ ფორმების განვითარების ძირითადი ხაზი (ეს ჩვენი ამოცანისათვის ამჟამად საკირო არ არის), — ვერცხვით მხოლოდ რომ თითქოს ყველაზე უფრო სარწმუნო უნდა იყოს: 1. ამოსავალი ფორმა არის „ხან“, 2. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ყალიბდება, როგორც საკუთარი სატომო სახელები, ჩრდილოელი კოლხებისათვის, ზანი, სამხრეთის კოლხებისათვის — ქანი.

ბუნებრივი იქნებოდა ამიტომ ამ ორი შტოს საერთო სახელად ხანი მიგვეჩინა, ენისათვის კიდევ: ხანური<sup>1</sup>.

ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით საყურადღებოა ამ სატომო სახელების სტრუქტურა. ძნელი შესაძინევი არ არის რომ დასავლელ ქართველი ტომების სახელწოდებათა ყველა განხილულ ფორმას ერთნაირი აღნაგობა აქვს: ფუძე+ან, ვარიანტებით. ფუძის სახით, ერთი მხრივ, გვევლინება სუ || შუ, მეორე მხრივ ხ, ზ, ჭ, და ამათი ვარიანტები წ, კ (?)<sup>2</sup>. სახელწოდების მეორე ნაწილი თავიდანვე აფიქსის შთაბეჭდილებას ახდენს. რა აფიქსია იგი?

აქ შესაძლებელია ორგვარი პასუხი: 1. ეს არის ცნობილი ქართ. წარმოშობის სუფიქსის, -ელ-ის ვარიანტი; შეადრ: ყვით-ელ-ი, მო-ყვით-ან-ო, ყვიცი-ან-ი; წით-ელ-ი, მო-წით-ან-ო... ასეთი განმარტება ჩვენ ნაკლებ დამაჯერებლად მიგვაჩნია. გაცილებით უფრო სარწმუნოა რომ ეს არის 2. ქართველურ ენებში ფართოდ გავრცელებული — ან სუფიქსი (ფონეტიკურ ვარიანტების მქონე, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები), რამდენიმე, ურთიერთშორის მჭიდროდ დაკავშირებული მნიშვნელობით: ა) კრებითობისა, მრავლობისა, კოპორაცოული, ბ) თვისების ქონებისა (კითხვაზე: რიანი?), გ) წარმოშობა-სადაღურობისა, დ) ტოპონიმიკური, ე) სიტყვათ-წარმოებითი, კერძოდ, კინოზობითობისა.

სიტყვათწარმოების მექანიზმის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს რომ -ან სუფიქსი უკავშირდება ფუძეს ზოგჯერ უშუალოდ, უმეტეს წილად-კი — ი, ე, ო, უ ინფიქსების საშუალებით. ამ ინფიქსებსა და სუფიქსს შორის ხშირად ჩნდება თანხმოვანი ვ, რომელიც ზოგჯერ შეცვლილია ბ-თი.

სუფიქსის ფონეტიკურ ვარიანტებში განსაკუთრებით აღსანიშნავია -ონ ფორმა, ხოლო შემდეგ — ენ-იცა და -უნ-იც.

რადგანაც ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას დეტალურად განვი

<sup>1</sup> ა. ჩიქობავა, ქანურის გრამ. ანალიზი, ასეთს ფუნქციას „ხან“ ტერმინს აკისრებს რამდენადაც ტერმინოლოგია პირობითია, აქ მთავარია, რათქმუნდა, შეთანხმება, რომლის ნიადაგზე ხან-ტერმინის ასეთ ხმარებას ხელს არაფერი შეუშლის. მხოლოდ: 1. ისტორიულად ტერმინი „ხანი“ სამხრეთისათვის არც ერთი წყაროთი დამოწმებული არ არის; 2. ხან-ის საერთო, ზოგად, ტერმინად მიღებისას საკუთარი სახელი კვლავ დაეკარგებოდა ჩრდილოეთის შტოს. სანს-კი ამ მხრივ აშკარა უპირატესობა აქვს; იგი საერთო სახელაა ხანებისა და კანებისათვის, ისევე როგორც სანურიის განატოტები იქნებოდა ქანური და ხანური.

<sup>2</sup> ცალკე უნდა დაისვას საკითხი სუ-(შუ-) და ს- ფუძეების ურთიერთობის შესახებ.

ხილოთ აქ -ან სუფიქსის საკითხი<sup>1</sup>, ამიტომ ქვემოთ წარმოდგენილი იქნება მხოლოდ საერთო და წინასწარი ხასიათის ანალიზი.

სუფიქსის მნიშვნელობათაგან განსაკუთრებით საყურადღებოა პირველი კრებითი. ამ მნიშვნელობის გამოხატვაში ჩვენ ეხედავთ სუფიქსის პირვანდელსა და უძველეს ფუნქციას. ეს მნიშვნელობა ფორმანტისა ნათლად არის წარმოდგენილი ქართველურ გეარისსახელებში, რომელთაც სათანადო დაბოლოება მოეპოვებათ. გეარისსახელების ეს დაბოლოება თავდაპირველად გავრცელებული იყო, ჩანს, ყველა ქართველ ტომში, და ქართველურს პატრონომოსტიკულ მორფოლოგიაში იგი ერთი ყველაზე ადრინდელ მოვლენათაგანია. დროთა ვითარებაში ეს ფორმა ზოგს ქართველ ტომში დასუსტდა, ზოგან თითქმის მთლად დაიწარგა. ყველაზე კარგად ამჟამად იგი სევანეთშია დაცული, სადაც საერთოდ ბევრი არქაული ფორმა ინახავს თავს. აი სევანური გვარების ნიმუშები.

-ან: ჩარკელან, ლეჩლან, მარგველან (შეადრ. ქართ. მარგველაშვილი), ფანგან, ხეისტან, ქალდან, ხეიბლან, ფირცხელან (შეადრ. ქართ. ფირცხელაიშვილი, ფიცხელაური), გიგან, გვიდან, გოშტელან, ჩართოლან, ნაკან (შედრ. ქართ. ნაკაიძე), ხოჯელან, გულედან, ფილფან, ხაფთან, ნანსყან, აბდელან, გაზდელან, ცალან, გაბულდან, ცინდელან, კიბოლან, დაჩქელან, პაკელან, მილდან, გადრან.

-ი-ან: რატინან, ჩარკიან, დაეთელიან, ასათიან, ხარზიან, გასეიან, ჩოფლიან, ავალიან, გიგლეძიან, თამლიან, ანსიან, კვებლიან, ლეჩრეიფიან, გუგეჯიან, მარგიან, ნავერიან, ზურებიან, კახიან, ქოჩგიან, ჯაჭვლიან, დეცდერიან, იოსელიან, ეორეოლიან, ქურდიან, გაბლიან, წიფიან, ბერიან, მიტულიან, ხერგიან, შუშუკლიან, ფალიან, ქედლიან, გვარლიან, უდესიან, მერლიან, წიფიან, ფარჯიან, გირველიან, წერედიან, კვანჭიან, გვიქიან, სიდიან (შეადრ. მეგრ. სიდავა), იეჭიან, ნიკლეზიან (=ნიკოლოზიანი, ნიკოლოზიშვილი), ჩორგოლიან, თამლიან, კვიციან (შეადრ. მეგრ. კუციას), შოპრიან, ვერციკიან, ვიბლიან, გერლიან, გურჩიან, უმფრიან, ჩარკიან, მურლელიან (შეადრ. მეგრ. მურლულია), არლელიან, გუგუსიან, ჩხეტიან, (შეადრ. ძველი ჩხეტის-ძე და თანამედრ. მეგრ. ჩხეტია), ჩხეიმიან, მიქიან (შეადრ. მეგრ. მიქია, მიქავა, ქართ. მიქაძე, მიქიაშვილი), წულუკიან (შეადრ. ქართ. წულუკიძე, მეგრ. წულიკია), ანსიან, დავითიან.

-ვ-ან: გელეან (აქედან — ქართ. გელოვანი), დოდენან, ხორგუნან (?) || ხორგვან, დადენან (შეადრ. ქართ. დადეძი), შუკვან, გოშუნან (შეადრ. ქართ. გოშაძე, მეგრ. გოშუა), უშხვან.

ამ ფორმებში ზოგან ვ შესაძლოა ფეჩახეულიც იყოს, ამას ცალკე ჩხრეკა საჭიროა.

სევანეთში არის თითქოს ენ-ზე დაბოლოებული გეარის სახელაც — ვეზდენ. თუ ეს შემთხვევითი ფაქტი არ არის<sup>2</sup>.

სევანურ გეარის სახელებში მოცემული დაბოლოება სავესებით გაბატონებულია, და ეს ფორმები იქ უკვე XI—XII ს-იდან არის დადასტურებული, ისეთ

<sup>1</sup>-ან სუფიქსი, ისე როგორც სხვა ანალოგიური სუფიქსები, ავტორს განზილული ეწედა საეტიკურ ნარკვევში. — გენერაციური თვალსაზრისით, მაგ., შესაძლოა სულ სხვაგვარად გაშუქდეს ინფიქსური ვ. ბ. მაგრამ ამის შესახებ სხვაგან.

<sup>2</sup> აქ გასათვალისწინებელია სევანურში ძლიერად მომქმედო რედექციის წესი და მისი შედეგები, კერძოდ, ფუძის შეკუმშვა. ახ. გავრცელებაც მთორაფი ფუნქციური მთელნა უნდა იყოს.

გვარებში, როგორცაა დადიანი, ფარჯანანი და სხვ. შტო-გვარის სახელები სენიანობაში სხვაგვარად იწარმოება, მაგრამ მათი ფორმა ჩვენთვის ამჟამად საინტერესო არ არის.

იშვიათი არ არის ასეთი გვარები ქართულში:

-ი-ან: ბაგრატიონიანი (ძველი ფორმა ბაგრატიონის), ავალიანი (შეადრ. ავალიშვილი), ასათიანი (შეადრ. ასათისძე, თამარის მეფობაში), იოსელიანი, კახიანი (შეადრ. კახიძე, კახაძე, კახიშვილი), ბერეჟიანი, ქურდიანი (შეადრ. ქურდაძე, ქურდოვანიძე), ჟორჯოლიანი (შეადრ. ჟორჯოლაძე), ყიფიანი, ორბელიანი (ორბელისძე, ორბელიშვილი) და სხვ.

-ო-ვ-ან: ბაგრატოვანი (ბაგრატიონის ერთ-ერთი ვარიანტთაგანი), გელოვანი, ჩიქოვანი || ჩიქვანი.

-ი-ონ: ბაგრატიონი (ყველაზე ახალი ფორმაა ამ გვარის-სახელის ვარიანტებიდან; უძველესია ბაგრატიონიანი).

-ონ: გაბაონი (გაბაშვილი, როგორც სჩანს ხელოვნურად გაკეთებული ფორმა).

ამ წარმოების გვარების განსაკუთრებული გავრცელება დასაყვ. საქართველოში, ყველაზე მეტად სენიანობის ახლო მდებარე რაიონებში (მაგ. ლეჩხუმში), ზოგიერთი მათგანის აშკარა წარმომავლობა სენიანობიდან (ყიფიანი, გელოვანი, ჟორჯოლიანი, ბერეჟიანი...), ზოგის კიდევ ნათელი სენიური ეტიმოლოგია (ბერეჟიანი: ბერეჟ. სენ.—ჩინა), ისტორიული მოსახრებები (თავისუფალი მთიელების დაწინაურება სამეფო სამსახურის გზით, კერძოდ, იმერეთის მეფის კარზე, და აზნაურობამდე აღზევება) ადამიანს აფიქრებინებს რომ -ან (-ონ)-ზე დაბოლოებული ყველა გვარი სენიური წარმომავლობისაა. მაგრამ ასეთი დასკვნა არ იქნებოდა სწორი, ჯერ ერთი, ზემოთჩამოთვლილ გვარებშიაც არის ისეთები, რომელთა ისტორიასაც ჩვენ კარგად ვიცნობთ (ისინი, ასე ვთქვათ, ჩვენი ისტორიული მხედველობის არეში ჩამოყალიბდნენ) და რომელთა შესახებაც გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მორფოლოგიურად მთლიანად ქართულ ნიადაგზე არიან აღმოცენებულნი. ასეთებია, მაგ., ორბელიანი—ბარათაშვილების ერთი შტოს სახელწოდება; ასეთი ფორმა საბოლოოდ ჩამოყალიბებულია არა უადრეს მე-18 საუკუნისა, წინათ გვარი გაფორმებულია სხვაგვარად (ორბელისძე, ორბელიშვილი), ბაგრატიონი, გაბაონი. მოცემული გვარისსახელის ფორმა ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული საქართველოში, და იგი აქ ფეოდალიზმმა (ფეოდალურმა ინდივიდუალიზმმა) ამოაგდო, როდესაც, კერძოდ, ფეოდალური საქართვება საბოლოოდ დამკვიდრდა. ამის უტყუარი საბუთია არაოფიციალური, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხმარება ამ ფორმისა იმ შემთხვევაში როცა საგვარეულო მთლიანად, კრებით, კოჩხორაკიულად, არის წარმოდგენილი.

ასეთი წარმოება საყოველთაოდ გავრცელებულია, როგორც ცნობილია, მთელს აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ამ ფუნქციით, ფორმანტის ყველა ვარიანტული სახეობა გვხვდება:

-ან: ოთარაანი („ოთარაანთ ქერივი“), თოროზაანი („თოროზაანთ თეკლე“), მაყაანი (მაყაშვილები), გიგაანი (გიგას შვილები, გიგას შთამომავლობა) და მრავალი სხვა.

-ი-ან: ჯაეახიანი (ჯაეახიშვილები), თარხნიანი (თარხნიშვილები), ციცინი (ციციშვილები)<sup>1</sup>. ფორმა „ციცინი“ დაედო საფუძვლად რუსულ „ციციანოს“. ამავე ფორმით, „ციცინი“, შეითვისა ამ საგვარეულოს სახელწოდება გულდენ-შტედტმა, მისი ქართლში ყოფნისას მე-18 ს. სამოცდაათიან წლებში.

ხშირია ძალიან -ან ფორმის გამოყენება შტო-გვარის სახელებისათვის. აი, მთიულეთის მაგალითები.

ჩოხელთა შტოები: ლაზარიანი და შელიანი.

ბუჩუკურთა შტოები: ოქრუანი (-ან:), მამუკიანი, ბერიანი, ქუშიანი, ქოჩიანი, ობლიანი...

ამირიძეთა შტოები: ხუტიანი (შეადრ. მეგრული ხეიტია), პაპიანი, გივიანი, მჭედლიანი.

კობანიძეთა შტოები: ბეჟანიანი, მგლიანი, მახარიანი, ლაბიანი...

ბურდულთა შტოები: პოელიანი, შიუკიანი, ხოსრიანი, ვარდანიანი, ქაბუკიანი (ტექსტში აღბათ შეცთომით: ქაბუკინი), კიკლიანი, ვაეიკიანი, ბეჟანიანი, თადლიანი, აფთიანი, ლეგანიანი...

წამალაძეთა შტოები: ყაზბეგიანი, მახარობლიანი, ბიანი, ყატყიანი, აეწიანი, ჯაბიანი...

ქაეთარაძეთა შტოები: ხიზანიანი, ათილიანი, დევილიანი, ქოჩორიანი, გორძიანი, ვერთაულიანი, გოჭიანი, თადლიანი, სეხნიანი...

გიგაურთა შტოები: გოგნიანი, სიჯანანი, ნადირიანი.

წიკლაურთა შტოები: ლომიანი, ნატანი, ვაიდაგანი, კოტორიანი.

აფციასურთა შტოები: მირიანიანი, იყანიანი, ბასილიანი, ასპანიანი (შეადრ. ძვ. ქართ. ფეოდალ. საგვარეულო სახელი ასპანისძე), მამუკიანი...

ბექაურთა შტოები: აფთარაანი, გულოიანი, შარვანიანი, ბიანიდურიანი, დათვიანი, ლომიანი, ბატარაანი<sup>2</sup>. აღვილად შესამჩნევია რომ ზოგი ამ სახელთაგან საოცრად იმეორებს სენურ გვარებს, მაგრამ, რათქმუნდა, დამოუკიდებლადაა წარმოშობილი.

ეს ფორმა ნაკლებ გავრცელებულია დას. საქართველოში (კერძოდ იმერეთსა და გურიაში), უფრო ხშირია იგი იქ ჩრდილოეთის რაიონებში, კერძოდ, რაქაში, სადაც გვხვდება -ენ ვარიანტიც. მთა რაქაში, მაგ. გვხვდება შემდეგი შტო-გვარის სახელები:

ე-ენ. ლომჯანიძეების საგვარეულოში: ლაშხენი, ზეიადენი, ჯოტენი, სვანენი.

გომბეჯიშვილების საგვარეულოში: ერმილენი, გოგენი, ნინენი, დეტუენი.

გაეაშელიშვილების საგვარეულოში: ქაოზენი, ნასხიდეენი, ქუტუნენი, ჯამოენი, ოთუკენი.

<sup>1</sup> მაგ., ბალბურ ლექსში:

ციცინთ სუფრა შერცხვეს,  
ჯაეახიანთ გალობაო,  
ქარებაზდის არ მიგყვება  
თარხნიანთ წყალობაო.

<sup>2</sup> ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფ. 1930, გვ. 78-79.

გოგრიკიანების საგვარეულოში: ჩხუტენი, გოჩიენი, ლეჩხუმელები, საგეიენი.

ცხადია, ამგვარი ფორმების წარმოებაში მნიშვნელოვანი როლი დაკისრებული აქვს ასიმილაციის წესს.

აქვე გვხვდება ჩვეულებრივი ი-ან ფორმები.

-ი-ან: გვარის სახელი გოგრიკიანი და მისი შტო-გვარის სახელი მამუჩიანი.

გავაშელაშვილების შტო-გვარის სახელები: გოტოიანი, გივიტიანი.

გომეჯიშვილების შტო-გვარის სახელებიდან: შალიკიანი. ლომჯანიძეების შტო-გვარის სახელები: ხოშიტიანი, ნანუკიანი<sup>1</sup>.

ამ კატეგორიის მაგალითების გამრავლება ადვილად შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ ზედმეტა.

აღსანიშნავია რომ როცა ამ საგვარეულო კოლექტივებს შიგნით ცალკე ინდივიდის აღნიშვნა ჰსურთ, მაშინ ზემოთ წარმოდგენილი გვარის ფორმები ძველი მრავლობითის ირიბ ბრუნვათა -თ სუფიქსს დაირთავენ: <sup>2</sup> ოთარა-ან-თ კერვი. ზოგჯერ ეს ორმაგ-სუფიქსიანი სახელები თითქოს ცალკე არსებობის უნარსაც იძენენ. დიდი რაოდენობით ვხვდებით ჩვენ ამ ფორმებს წერილობითს ძეგლებშიც<sup>3</sup>.

გაბატონებული უნდა ყოფილიყო გვარისსახელების ეს ფორმა სამეგრელოშიაც, მაგრამ იქ შემდეგში (და საკმაოდ ადრე, როგორც წერილობითი ძეგლები ადასტურებს) ამ სუფიქსმა იმდენად იცვალა სახე, რომ მას დღეს ველარაინ ცნობილობს. ვგულისხმობთ მეგრული გვარების ჩვეულებრივ დაბოლოებებს -ია-სა და -ვა-ს. ნ. მარი მათ უყოყმანოდ აფხაზურიდან შენათვისებ ელემენტებად სთვლიდა, — მეგრულ ნიადაგზე სახეცვლილი აფხაზური სიტყვა ბა ! ფა („ძე“) არისო. მეგრულ -ვა-ს სრულ სახედ მარს ვარ მიაჩნდა<sup>4</sup>.

ამ მოსაზრების გაზიარება შეუძლებელია. ჯერ ერთი, არ არის ნაჩვენები ნაგულისხმევი გადასვლის ფონეტიკური კანონზომიერება. შემდეგ, ანგარიში არ

<sup>1</sup> ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთის რაჭა, ტფ. 1930, გვ. 37.

<sup>2</sup> აქ ჩვენ არ ვიზილავთ ისეთ შემთხვევებს, როცა -თ უშუალოდ აწარმოებს გვარისსახელებს. ამ კატეგორიის ფაქტი მრავლად გვაქვს დადასტურებული როგორც ისტორიულად (მაგ. ლიპარიტეთ/თი, კლდე-ქარის ერისთავების, ბალუაშთა ერთი შტოს სახელი), ისე ეთნოგრაფიულად, აღმ. საქართველოში და მესხეთში (მესხური, მაგ. თამარათი — თამარაშვილი; თუშური: ქოთილთა განა=განა ქოთილაძე, შევლათ კოჭაურ=კოჭაურ შევლაძე, ჩეთათ გორგაი=გორგა ჩეთათ, ბეჭურათ კალი=ბეჭურაძის კალი, გულუხეთ ბიჭები=გულუხეთაძის ბიჭები და სხვ. იხ. „ბალხური სიტყვიერება“, ტ. I. გამოც. საქ. საისტ. და საეონ. საზ-ბისა, წ. I, დამატება, გვერდი 16.

<sup>3</sup> იხ. მაგ. მ. თამარაშვილის მიერ გამოცემული ძველი ქართული და იტალიური საბუთები XVII—XVIII სს., სადაც ბევრია ასეთი ფორმები: ტლუკაანთ, ბალინაანთ, ჯოგნიანთი, ორბელიანთ, გოდაკაანთი, თუმანიანთი, ხუციანთი, ხოჯონათ ბატონჯანა, ვარამანთი და სხვ. იტალიურ ტრანსკრიპციაში: Davitiani (Antonio, ანტონ კათალიკოსი; დავითიან-ბატონი), Gabanti, Navrozanti და სხვ., „ისტორია კათალიკობისა“ გვ. გვ. 343—356, 372—382, 388—421 და სხვ.

<sup>4</sup> О положении слова ж. ср.лш. флетических, გვ. 5; რეცენზია ი. ყიფშიძის მეგრულ გრამატიკაზე ЗВОРАО, т. XXIII, 214, და სხვ. მარის ახრი გაიზიარა ყიფშიძემაც, იხ. გრამ-ლექსიკონი, ვა — ა.

ეწევა მოცემულ ფორმანტების ფუნქციონალურ სხვაობას: აფხაზურში იგი აღნიშნავს გეარისსახელის მხოლოდ მამრობითი სქესის მატარებელს, მეგრულში კი — ორივე სქესისას. დაბოლოს, არც სესხების ისტორიული პირობებია გარკვეული — როდის უნდა ყოფილიყო შესაძლებელი ასეთი წამლექავი გავლენა აფხაზურისა მეგრულზე?

ნამდვილად, როგორც ვთქვით, აქ საერთო ქართულური ფორმანტია, რომელიც, სხვათა შორის, საფიქრებელია, აფხაზურშიაც იჩენს თავს გეარისსახელთა კრებითობის ფორმის აფიქსში — აა (თუ: ა), მაგ., კოზჰაა (კოზმავები), ეენიაა (ეენიები), მარჰანაა (მარჰანიები) და სხვ.

მეგრ. -ია -იან-ის ნაშთია. ეს ცხადი ხდება, კერძოდ, ცნობილ გეარისსახელთა ისტორიულ (და მასთან ერთად, ლიტერატურულ) და ცოცხალ ფორმათა შედარებით. ამრიგად, ისტორიულსა და ლიტერატურულს დადიანს, ლიპარტიანს, რატანს, ბედიანს მეგრულს ცოცხალ მეტყველებაში უდრის: დადია, ლიპარტია, რატია, ბედია. ისტორიული ფორმები დაკული აქვს ქართულს არა მარტო იმიტომ რომ იგი მწერლობასთან ახლოს იდგა, არამედ იმიტომაც რომ იგი საერთოდ მთლიანი სახით იცავს თვით სუფიქსს სხვა შემთხვევებშიაც. საგულისხმოა აგრეთვე მეგრულ-ქართული და მეგრულ-სეანური შესატყვისობანი გეარისსახელთა სფეროში. ასე, მაგ.,

მეგრ. ბერია — სეან. ბერიან

მეგრ. ჩხეტია — ქართ.-სეან. ჩხეტიანი

მეგრ. ჯაშკელა<sup>1</sup> — სეან. დადშკელან, ქართ. დადშკელიანი

მეგრ. ჯორჯოლა (იწერებიან ქართულად: ეორგოლიანი<sup>2</sup>) =

= სეან. ეორგოლიან

= სეან. გაბლიან და სხვ.

მეგრ. გაბელია

არნ. ჩიქობავამ მიაქცია ჩენი ყურადღება იმ ფაქტს, რომ ქართ. დარეჯანს მეგრულში უდრის დარჯა. ეს შემთხვევა, ბოლოკიდურ ნ-ს დაკარგვა, ნიშანდობლივია მეგრულისათვის. -ნ (და არა მარტო იგი, არამედ -ლ-ც) იკარგება ჩვეულებრივად ზმნის ფორმებში: რენ ფორმამ მოგვცა რე, და მისთ. -ლ-ს დაკარგვისათვის შეადრ. ისეთი ფორმები, როგორიცაა ჯა, უძველესი ჯალ-ის ნაცვლად (ძველი ფორმა აღდგება მრავლობითში: ჯალეფი), სქუა || სქუალი (სქუალეფი) და შრაე. სხვა, რაც კარგადაა ცნობილი ლიტერატურაში.

-ია-ც სწორედ ამ გზითაა მიღებული -იან-ისაგან. ასეთივე წარმოებისაა, ჩენი აზრით, მეგრულ გვარების -ვა დაბოლოება: აქ უკვე შეკვეცილი ვან უნდა გვქონდეს. ამრიგად ფალაეა, გალდაეა და მისთანების ისტორიული სახე იქნება: ფალაეან, გალდაეან<sup>3</sup>... თუ რატომ ეკვეცება ამგვარად მეგრულ გვარებს ეს ვა დაბოლოება ცოცხალ მეტყველებაში, — საინტერესო საკითხია, მაგრამ ჩენს თემას არ ეხება და მას აქ ვერ განვიხილავთ. ცხადია მხოლოდ, რომ ეს მოვლენა მეორადი ხასიათისაა.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავას ცნობით, ასეთი ფორმა იხმარება სოფ. ჯვარში.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავას ცნობით.

<sup>3</sup> არის ერთეული ფაქტები, რომელიც საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევა; შეადრ. ჩიქვანი.

-ან სუფიქსს, როგორც კრებითობის, მრავლობის, ფორმანტს, აქვს ონ და უნ ვარიანტებიც. გვარისსახელებშივე ჩვენ ეპოულობთ ისეთ ფორმებს, როგორიცაა ხუხუნე (მეგრული გვარი), გაბუნია (ორმაგი სუფიქსაციით), და მისთანებს. კრებითობის ფორმანტია -ონ სუფიქსი ისეთ ფორმებში, როგორიცაა: მაყრიონი, ვარიანტული ფორმა ნაკლებ გავრცელებულის მაყრიანისა — მაყართა კრებული, მძლიონი — ქალის „მაყარი“ (სულხან-საბა, ლექსიკონი, სიტყვის ჭეშ). საყდრიონი (ალბათ საყდრიშვილების მნიშვნელობით), ჯვარიონი — „ჯვარის ანუ ხატის მოსამსახურენი საზოგადოდ“, ხევსურეთში, ხატიონი — ხატის მსახურთა კრებული ხევსურეთშივე<sup>1</sup>.

2. -ან სუფიქსი სხვადასხვა წინამდებელი ხმოვნით, და მისი ვარიანტები, აღნიშნავს თვისებას. ეს კარგად ცნობილი ფორმანტია და ჩვენ აქ მკირეოდენი მაგალითებით დავკმაყოფილებით.

-ი-ან: შიანი, ღრუბლიანი, ყვაილიანი...

-ო-ან: ლერწმანი<sup>2</sup>, სახელოანი<sup>3</sup>, იმედოანი<sup>4</sup>, დარბაზოანი<sup>5</sup>, ოქროანი<sup>6</sup>.

-ო-ვ-ან: მეტად ჩვეულებრივია — ყვაილოვანი, სახელოვანი, გულოვანი...

-ე-ვ-ან: სახარულევანი (ჩვეულებრივი ფორმა ძველი ქართულისათვის)<sup>7</sup>.

-ონ კანურში და მეგრულში. კანურში: ბულტონი — ღრუბლიანი, ილონი — ძლიანი, შექერონი — შაქრიანი, ჯუმონი — მარილიანი და სხვა მრავალი<sup>8</sup>. ეგვე სუფიქსი დადასტურებულია მეგრულშიაც არნ. ჩიქობაეას სპეციალური გამოკვლევი; ავტორის სათანადო მაგალითებია: გვიმარონი, ჭებურონა (ადგ. სახ.), კორთონა, ქველეთონა (ადგ. სახ.), ქელონი (ადგ. სახ.)<sup>9</sup>. ამ მაგალითების გამრავლება ადვილად შეიძლება. ტუხურის ხეობაში, მაგ., ჩვეულებრივია სიტყვა „ჯალონი“ („ჯალი“ — „ჯა“ — ხე) ხეებით დაფარული ადგილის, ტყის მნიშვნელობით. ბლომად გვხვდება აღნიშნული აღნაგობის გეოგრაფიული სახელებიც (მაგ. მდინარის სახელი „ქვიშონი“<sup>10</sup>). ივ. პეტროვის ტექსტებსა და ლექსიკონში დადასტურებულია ისეთი ტერმინები, როგორიცაა: „თხუმონა“ — თხმელის ტყე (თხომე = თხმელას), „ხეიმონა“ — ხურმის ტყე (?), „ნემონა“ — კაკლის ტყე (ნემი = კაკალი, ნიგოზი), „ქყონა“ — მუხის ტყე (ქყონი — მუხა; ფორმა ალბათ მიღებულია „ქყონონ“ — ისაგან<sup>11</sup>).

<sup>1</sup> ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ლექსიკონი შედგენილი აკ. შანიძის მიერ „წელიწადული“. I-II.

<sup>2</sup> ჯუანურ, მარ. 176, ორჯერ

<sup>3</sup> ისტორიანი და აზმანი, მარ. 446, 451.

<sup>4</sup> იქვე, 460.

<sup>5</sup> იქვე, 511.

<sup>6</sup> იქვე, 391.

<sup>7</sup> იხ., მაგ. ამილახურების სიგელი XV ს. დამლევინა, ისტ. საბ., II 47; სვიპონ მეფის სგ. 1595 წ., ისტ. საბ. III 84.

<sup>8</sup> Н. М а р р, Грам. запск. языка, 73 და ლექსიკონი.

<sup>9</sup> არნ. ჩიქობაეა, ონ სუფიქსი მეგრულში, ტფ. უნ. შობაძე, VI, 306.

<sup>10</sup> ლავილაკა, „წინ მიუღიარო“, გაზ. „კომუნისტი“, 1926 წ., 8 დეკემბრის № 281.

<sup>11</sup> СМОИИК. т. X, стр. II, ტფ. 1890 წ. — საყურადღებოა არნ. ჩიქობაეას მოსახრება რომ ქართლის ცნობილი ველის „ტრიფონას“ სახელი ამავე სუფიქსით შეიძლება იყოს ნაწარმოები (ტრიფონისაგან), დასახ. წერ., 306.

-უნ ვარიანტია ქანურ-მეგრულ -ონ-ისა. გვხვდება ისეთს ქანურ ტერმინებში, როგორცაა: ბინეხეფუნა — სავენახე, ვენახოვანი, თხირეფუნა — სათხილე, თხილოვანი, ლიმხეანაფუნა — საგვიმრე, გვიმრიანი, სადაც არნ. ჩიქობავას სავესებით სამართლიანი განმარტებით, ფუძედ უკვე მრავლობითი რიცხვის ფორმაა აღებული<sup>1</sup>.

-უ-ან გვხვდება მეგრულში: გემუანი — გემრიელი. აქ -უ-ან შეესატყვისება ქართ. -ოანს.

თვისებისა და წარმოშობის, წარმომავლობის, ნიშანთა გარჩევა ზოგჯერ კირს, ან პირველი მეორის შედეგია. ამიტომ ესევე სუფიქსი წარმოშობასა და წარმომავლობას აღნიშნავს. სუფიქსის ამ მნიშვნელობის განვითარებას უთუოდ ხელს უწყობდა მისი პატრონომისტიკული ფუნქცია, როდესაც კრებითობის ფორმანტი იმავე დროს რეალურად საერთო წარმოშობაზედაც მიუთითებდა. წარმოშობას, წარმომავლობას, აღნიშნავს სუფიქსი თავისი ვარიანტებით შემდეგ შემთხვევებში:

-ი-ან: ნერსიანი ნერსე, ადარნასიანი ადარნასე, ჯუანშერიანი ჯუანშერ<sup>2</sup>; ეს ნამდვილი გეაროსსახელები ჯერ კიდევ არ არის, აქ მხოლოდ სათანადო პირთა შთამომავლობაა აღნიშნული. იმავე ავტორის მიერ მოხსენებულ აზნაურთა სახელი „გოდერძიანი“<sup>3</sup> ასეთივე ხასიათისაა (შეადრ. რომ მათივე გვერდით იხსენიებიან „ტბელნი“), ჩანს, თუმცა აქ საგეარულო სახელად გადაქცევისაკენ მეთი მიდრეკილებაა უკვე გამომჩვენებული. „გორგასლიანი“ = გორგასლისეული, „დავითიანი“ = დავითისეული (იგულისხმება დავით აღმაშენებელი, თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობაში რომ მეფემ „მოიღო დროშა სეფანად კმარებული გორგასლიანი და დავითიანი“)<sup>4</sup>.

-ე-ან: მამეანნი: „მოვიდეს ლამესა მას გოდერძიანნი, ტბელნი, მათ თანა სხუანიცა აზნაური მამეანნი“<sup>5</sup>.

ო-ვ-ან „მეფენი ხუასროვანნი“, ე. ი. ხუასროს შთამომავალი მეფეები; ან დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობაში რომ დავითმა გელათს შესწირა „ხუასროვანთა მეფეთა ტახტნი და საყდარნი“<sup>6</sup>.

-ი-ონ ხევსურულში, ჩვეულებრივი ქართ. — ელ სუფიქსის ფუნქციით:

ამლიონი — ამღელი

არხოტიონი — არხოტელი

როშკიონი — როშკელი

შატილიონი — შატილელი<sup>7</sup>.

<sup>1</sup> დასახ. ნაშრომი, 306-307.

<sup>2</sup> ჯუანშერ, მარ., 208, 215.

<sup>3</sup> იქვე, 215.

<sup>4</sup> მარ., 516.

<sup>5</sup> ჯუანშერ, მარ., 215.

<sup>6</sup> იქვე, 214.

<sup>7</sup> მარ. 294.

<sup>8</sup> გაბუური, დასახ. შრ., ლექსიკონი, გვ. 278.

ზოგჯერ, როგორც ვთქვით, თვისებისა და წარმოშობის ნიშანთა გარჩევა კირს. ციხიანი || ციხივანი, მაგ., ძველ ქართულში ნიშნავს როგორც „ციხიან“-ს, ისე აგრეთვე „ციხეში მდგომ“-ს, „მეციხოვნეს“ (ახ. ქართ.)<sup>1</sup>. აქ პროფესიონალური ნიშანია გამოხატული.

ქრისტეანი (ძვ. ქართ.) || ქრისტიანი (ახ. ქართ.) ქრისტეს მიმდევარი. შეადრ. ქანური დაციხეითი „მუნდიკუნდონი“ (= „ქრისტიანი“).

სანატრიონი = სანატრელი, შვეთელის ლექსში: „აქეს მას ტრიონი სანატრიონი საწმისისაგან სამოსად გარეთ“<sup>2</sup>.

მსოფლიონი, ძველ ქართულში, სოფელის მნიშვნელობით.

უკვე ზემომოტანილ მაგალითებშიაც ჩვენ შეგვხვდა ტოპონიმიკური სახელები, ნაწარმოები მოცემული სუფიქსითა და მისი ვარიანტებით. მართლაც, მათი რაოდენობა ძალიან დიდია:

-ი-ან: ვაზიანი, თელიანი...

-ო-ან: ქუმლოანი, ხლოანი<sup>3</sup>, წყალშატროანი<sup>4</sup>, წაბლოანი<sup>5</sup>, კრცხილოანი<sup>6</sup> (კრცხილოვანი, ქცხილვანი, ცხინვალი).

-ო-ვ-ან გოროვანი<sup>7</sup>, წეროვანი, თელოვანი (|| თელოვან), თხილოვანი (|| თხილოვან, -ა აქ მასუბსტანტივებელი ნაწილაკია)<sup>8</sup>, წაბლოვანა<sup>9</sup>.

-ე-ვ-ან რატევანი, სოფ. ქართლის სომხითში<sup>10</sup>. მეთრეევანა, სოფ. თრიალეთზე<sup>11</sup>, ბარეევანი<sup>12</sup>.

-უ-ვ-ან სხლევანი, სოფ. კლარჯეთს<sup>13</sup>.

-ვ-ან სხლოვანი, იმავე კლარჯეთის სოფლის სახელის დიალექტური ფორმა, როგორც ჩანს<sup>14</sup>; ბალახვანი (შეიძლება მოდიოდეს „ბალახოვანი“-დან; ასეთი ფორმა მოხსენებულა ფხოტრერის მთავარანგელოზის ხატის წარწერაში 1646 წ., *ხაკრაძე, Святителя*, 63).

-ი-ონ: საყდრიონი (ერწო), ბაბტრიონი (კახეთი), სოფლიონი<sup>15</sup>.

<sup>1</sup> „ციხიანი“ ფორმა იხ. მაგ., „ქართლ. ცხ.“, მარ., 267, სადაც „ციხოვანიც“ პარალელურად გვხვდება. უკანასკნელი ნახ., აგრეთვე, იქვე, 227, 266 და სხვ.

<sup>2</sup> აბდულმუსიანი, მ. ჯანაშვილის გამოც., 1915 წ., გვ. 27 (ხანა 21).

<sup>3</sup> ნიკორწმინდის სიგ. XI ს., ქრნკ. II 47.

<sup>4</sup> გიორგი III სიგ. 1170 წ., საქ. სიძვ. III დამატ. გვ. 5—6. 1806 წ. ეს ადგილი უკვე „წყალშეტრონ“-ად იწოდება, შიო-მღვიმის საბ., 87.

<sup>5</sup> როსტომ მეფის სიგ. 1642 წ., საქ. სიძვ. II 234.

<sup>6</sup> ამირეჯობ სიმონ გაბელისძის სიგ. 1451 წ., ისტ. საბ. 8—9, აქ ფორმა „კრცხილოანი“ ნახმარია 3-ჯერ.

<sup>7</sup> გიორგი III-ის სიგ. 1170 წ., საქ. სიძვ. III დამატ., 3.

<sup>8</sup> კონსტანტინე მეფის სიგ. 1466 წ., საქ. სიძვ. II 2. აქ „თხილოვან“ ნახმარია ორჯერ. თხილოვანი — ერთხელ.

<sup>9</sup> როსტომ მეფის გადაწყვეტილების წიგნი 1634, საქ. სიძვ. II, 231.

<sup>10</sup> ბაგრატ მეფის 1468 წ. სიგელი, საქ. სიძვ. II.

<sup>11</sup> გიორგი მეფის სიგ. 1678 წ. ისტ. საბ., III 59—61.

<sup>12</sup> საქ. სიძვ. II 4.

<sup>13</sup> მელქისედეკ კათალიკოსის სიგ. XI ს. პირველი ნახევრისა, ქრნკ. II 33.

<sup>14</sup> ქრნკ. I 185.

<sup>15</sup> იხ. მთ შესახებ ЗКОРГО, XII. XI вып. 2, Р а л а е, Хевсурия и хевсурцы, გვ. 49.

-ონ ႁ -უნ, კანურში და მეგრულში, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი და ნაჩვენები, ბერს გეოგრაფიულ სახელს აწარმოებს. აქ ჩვენ დაეუბატებთ მხოლოდ რომ ტომონიპიკაშიაც ზოგჯერ ႁნ მრავლობითი რიცხვის ფუძეს ერთის. ასეთია ჯიქეთონი და მიქელთონი (სოფლები ტომანიერისა და საპიქაოს სასოფლო საბჭოებში)<sup>1</sup>. პირველი იხსენიება უკვე დავით ნარინის სიგელში (XIII ს. მეორე ნახევარი)<sup>2</sup> და მისი ქართული, წარმოების თვალსაზრისით, შესატყვისია ჯიქთ-უბანი, აგრეთვე კარგად ცნობილი წყაროებში. ჯიქეთი = ჯიქთ (ჯიქნი)! ასევეა ნაწარმოები, ჩენი აზრით, მიქელთონი — მიქელეთი (ალბათ საგვარეულოს სახელი).

გვარისსახელები, საერთოდ, დიდ როლს თამაშობენ ტომონიპიკაში, კერძოდ, -ან-იანი სახელებიც. ისინი ზოგჯერ პირდაპირ ქვეედებიან გეოგრაფიულ (სოფლის; სოფელი = საგვარეულო!) სახელებად:

-ან ႁზაანი (ႁზაშვილები), მელაანი (მელაშვილები, მელაძეები), ტიბაანი (ქახეთში), სვიანაანი, კიმბარაანი, შარუმანი (მთიულეთი) და სხვა მრავალი. ზოგჯერ კი ჰქმნიან კომპოზიტს. ასეთია მთაში (და ბარშიც) მრავლად გავრცელებული სოფლის სახელები, რომელთა ერთს კომპონენტს (საზღვრულს) „კარი“, „სოფელი“, „უბანი“ და მსგავსი სიტყვები შეადგენს, მეორეს (მსაზღვრულს) — კი — გვარისსახელები, ჩენი სუფიქსით ნაწარმოები, მაგ., მთიულეთში: ბენიანთ-კარი, ცხოვრობენ ბენიაიძენი, ნადიბანთ-კარი — ნადიბაიძენი<sup>3</sup> და სხვ. ზოგჯერ ასეთ სახელებში საზღვრული სიტყვა იკარგება და რჩება მხოლოდ მსაზღვრული.

ზემოთმოტანილ მასალაშიაც აქა-იქ შეამჩნევდა მკითხველი, რომ მოცემული სუფიქსი საერთოდ სიტყვათმწარმოებლის როლში გამოდის (მაგ. სანატრონი). ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის. შეადრ. დიდროანი ႁ დიდრუანი (= დიდრონი). მაგ., თამარ მეფის ისტორიკოსის ტექსტში: „დიდრუანი სოფლები“<sup>4</sup>.

ჯეროვანი ႁ ჯეროანი (მეორე ფორმა ჩვეულებრივია ძველ ქართულში, იხ. „ქ. ცხ.“, 242), ფეროვანი ႁ ფეროანი (თეთრფეროვანი), საბარულეოვანი (იხ. ზემოთ), მტკიოვანი (? ტკ ძირიდან), სამწლონი („სამწლონი პატიოსანი“, დ. აღმაშენებლის ისტორიკოსი, მარ., 282) და სხვ.

საყურადღებოა რომ კანურში -ონ სუფიქსი აწარმოებს მოქმედის სახელს ზნის ფუძისაგან: კარონი — შწერალი ႁ შწერული<sup>5</sup>.

ამავე კატეგორიას განეკუთვნება მოცემული სუფიქსის, როგორც კნინობითი სახელების ფორმანტის, ფუნქცია:

-ან: ყაჩაღანა, ქაჯანა, ცუგანა, გოგუცანა...

<sup>1</sup> იხ. „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაყოფა“, საქ. ცაკის გამოც. 1930 წ., 71.

<sup>2</sup> ქრწ. II 162.

<sup>3</sup> ს. მაკალათია, მთიულეთი, 78

<sup>4</sup> მარ., 494.

<sup>5</sup> მარი, კან. გრამ, 73

-უნ: დათუნა, ციკუნი, ეშმაკუნა<sup>1</sup>...

მოცემული სუფიქსის ასეთი საყოველთაო გავრცელება და მრავალგვარობა<sup>2</sup> ქართველურ ენებში მოწმობს რომ იგი ამ ენების საკუთარი მორფოლოგიური ელემენტია. ხოლო როცა ჩვენ მას ვხედავთ უცხო ენებში, ბუნებრივია, რომ იქ ეს სუფიქსი ქართველურ ენებიდან შენაძენად მივიჩნიოთ. ასეთია, მაგ., ძველი სომხური გვარისსახელების -იან (მოდის — ეან-იდან) და უნი ფორმანტები: მამიკონიან, ბაგრატუნი, ფაჰლაეუნი და მრავ. სხვ. ასეთივე ოსური წარმოშობის ფორმანტი -ონ: ქასაგონ — ქაშაგი, ჩერქეზი (ჩერქეზელი!) და მისთანანი, მაგრამ მათ შესახებ სხვაგან.

ბუნებრივია აგრეთვე ვიფიქროთ რომ მოცემულ სუფიქსთან უმჭიდროეს კავშირში იმყოფება ძველი მრავლობითის -ნ ფორმანტი ქართულში. რიგი მეცნიერნი ფიქრობენ რომ ეს მრავლობითის ფორმანტი თავდაპირველად წინამკვალი ხმოვნით იყო წარმოდგენილი<sup>3</sup>.

მოცემული სუფიქსის „ქართველურობისათვის“, ასე ვთქვათ, საყურადღებო საბუთია ჯიდე მისი საოცრად სრული ანალოგიები იმავე დანიშნულებს მქონე სხვა სუფიქსებთან (-ელი || -იელი, -ერი || -იერი, -არი და სხვ.). ის გარემოება კი, რომ -ან სუფიქსის გაბატონებული ვარიანტი ერთგვარი მატერიალური სახისაა ქართველურ ენათა უმრავლესობაში, საყურადღებო და სპეციალური განხილვის ღირსი ფაქტია. იგი, ალბათ, მოწმობს ერთ-ერთი ქართველური ენის კულტურულ უპირატესობასა და ზემოქმედებას გარკვეულს, საჭმოდ ძველს, დროში.

ამრიგად შეიძლება უტყველად მივიჩნიოთ რომ რიგი (უმრავლესობა) ქართველი ტომები ატარებდნენ (და ზოგი ეხლაც ატარებს) ისეთს სატომო სახელებს (სე-ან-ი, ზ-ან-ი, ქ-ან-ი (ქ-ენ-ი) და მათი პროტოტიპები თუ ვარიანტულ ფორმები — ს-ან-ი, წ-ან-ი (წ-ენ-ი) და სხვ.), რომელთაც ერთგვარი სტრუქტურა, კერძოდ ერთგვარი ფორმა, ჰქონდათ. შეიძლება ამიტომ ვიფიქროთ, რომ განვითარების გარკვეულ საფეხურზე ეს ფორმა საერთო ქართველური ფორმა იყო სატომო სახელთა წარმოებისათვის.

რა შეიძლება ითქვას აღმოსავლეთის ქართველების, საკუთრივ ქართველთა, სატომო სახელის შესახებ ზემოთგანხილული ფაქტების კავშირში და მათ ხნათლზე? მათი ადგილობრივი, ძირითადი, სატომო, ცნობილი უკვე ისტორიულ ხანაში, სახელწოდება — „ქართველი“, ისეთივე წარმოშობის და ხასიათისაა, როგორც „მეგრული“. აქაც ჩვენ პოლიტიკურ-ტერიტორიული წარმოების ტერმინი (ქართ-ე-ელ-ი, შეადრ. მ-ეგრ-ელ-ი) გვაქვს. ამასთან დიდი ყურადღე

<sup>1</sup> კინობიოზობის ფორმანტები ქართულში ავტორს განხილული აქვს სპეციალურ ნახევრში.

<sup>2</sup> ჩვენ აქ განზე დავტოვებთ — ოსან სუფიქსის სადაურობის რთული საკითხი: ცხნობის და მისთანანი; გვხვდება პირისა და გვარისსახელებშიაც: წითლოსანი (საგვარეულო პირისსახელი ქანის ერისთავებში), წილოსანი, ვარდოსანიძე, კილოსანიძე და სხვ. განუხილველს ქტოვებთ აგრეთვე -ბან-იან ვარიანტს.

<sup>3</sup> H. M a r p, Крещенне..., გვ. 167: -ნ სუფიქსის სრული ფორმა არის ო -ენ. ასეთი ახრი გამოხატვა და უფრო ვრცლად დაასაბუთა არნ. ჩიჭობაევამ, ონ სუფიქსი მეგრულში, III

ბის ღირსია ის გარემოებაც, რომ ტერმინი „ქართველი“ იხმარებოდა და იხმარება თითქმის მხოლოდ ქართველსავე ტომებში (მეგრ. „ქორთუ“, მეგრული გზით არის აღბათ აგრეთვე შეთვისებული აფხაზური „ა-ქერთ-უა“; საინტერესოა რომ აფხაზებმა მეგრელების მიმართაც მხოლოდ ეს ტერიტორიულ-პოლიტიკურ წარმოშობის ტერმინი — აგრუა შეინახეს; ეს გარემოება ადვილად აიხსნება ისტორიული პირობებით, რომელიც თითქმის ორი ათასი წლის მანძილზე აფხაზებისათვის საერთო იყო დანარჩენ ქართველ ტომებთან). თვით ფუძე სატომო სახელწოდებისა „ქართველი“ თავისთავად უაღრესად საინტერესოა და სპეციალური განხილვის ღირსია. იგი დიდ სიძველეს აჩენს. ჩვენ აქ მხოლოდ იმას ვამბობთ რომ „ქართველი“ არ დგას ქართველ ტომთა სატომო სახელების ზემოთგანხილულ რიგში, მაშინ როცა ამ წერილში მოტანილი მთელი მასალა უნდა გეარწმუნებდეს რიგის ამ წარმომადგენლის ოდინდელ არსებობაშიაც.

ამ მხრივ, უკვე ის გარემოებაც იქცევა უარაღებავს რომ ყველა სხვა ხალხი, რომელთათვისაც აღმოს. ქართველები ცნობილი იყვნენ ან არიან, ხმარობენ ქართველთა ტომის და ეროვნების აღსანიშნავად არა ტერმინს „ქართველ“-ს, არამედ სხვა სახელწოდებებს, რომლებიც სათანადო ანალიზის შედეგად, ყველა ერთ ფუძეზე დადის. ეს არის იბერი.

ყველაზე ადრე ეს ტერმინი მწერლობაში ბერძნებმა შემოიტანეს. სამწუხაროდ, სათანადო ხანის ბერძნული წყაროები მხოლოდ ფრაგმენტალურად არის ჩვენს დრომდე მოღწეული, და ამიტომ უერ-უერობით შეუძლებელია იმის ზუსტი განსაზღვრა, თუ კონკრეტულად როდის შეითვისეს ბერძნებმა ხსენებული ტერმინი<sup>1</sup>. ყოველ შემთხვევაში უკვე მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვით ეს სატომო სახელწოდება ბერძნულ მწერლობაში შესულია და იქ იგი კავკასიელ ხალხს აღნიშნავს. ეს სწანს აპოლოდორის (მეორე საუკუნის დამლევით, ძვ. წ.) დიდად მნიშვნელოვანი ცნობიდან, რომელიც შენახულია არა დამოუკიდებლად, არამედ სტრაბონის გეოგრაფიაში (წ. 1, თ. 3, § 21). ამ ცნობით „დასავლელი იბერები (აქ იგულისხმება პირენეს ანუ იბერიის ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობა, რომლის შთამომავალნი არიან ბასკები; ს. ჯ.) გადმოსახლდნენ პონტოსა და კოლხეთს ზემოთ მდებარე ადგილებში, რომელსაც, აპოლოდორის სიტყვით, არმენიისაგან მდინარე არაქსი ჰყოფს“. მაშასადამე, მეორე საუკუნის გარკვეულ პერიოდში, თუ იქნება უფრო ადრე, აპოლოდორის ცნობით, იბერების ტერიტორია სომხეთს მდ. არაქსის ხაზზე ემიჯნებოდა. იმავე დროს ეს ტერიტორია პონტოსა და კოლხეთს ზემოთ, ე. ი. ჩრდილო-აღმოსავლეთით, მოდიოდა. სრულიად ნათელია, რომ აქ მერძინდელი იბერია ანუ ქართლი იგულისხმება. აპოლოდორის ცნობის ხანაში მას მხოლოდ გაცილებით უფრო ვრცელი

<sup>1</sup> ქ ლ ა ტ ო ნ ი თავის „კანონებში“, წ. 1, თ. IX (SC I 361) იხსენიებს „იბერებს“ იმ „მეომარ ხალხთა“ (სკვითები, სარაქები, კართაგენელები, კელტები, იბერები, თრაკიელები) შორის, რომელნიც სუამუნ უწყლო ლიონოს არისტოტელე კი ამბობს („პოლიტიკა“, წ. VII, თ. 11, § 6): „იბერების მეომარი ხალხი საფლავის გარშემო იმდენ სარს არტობს ხოლმე, რამდენი მტერი მოკლული ჰყავს მოკვალბულს“ — რ. საფიჭვებელია, რომ აქ ქართველები იგულისხმებიან, მაგრამ გადაჭრით ამის თქმისათვის დამატებითი მასალა საჭირო.

ტერიტორია სკერია სამხრეთისაკენ, ვიდრე ჩვენი წელთაღრიცხვის დამდევისათვის, რაც სტრაბონს სპეციალურადაც აქვს აღწერილი. სტრაბონის ტექსტში მოცემული სატომო სახელი ყველგან „იბერა“—(Ἰβερία) ფორმითაა ნახმარი, იბერთა ქვეყანაც, ქართლი, იბერიად (Ἰβερία) იწოდება, იბ. წ. XI<sup>1</sup>. ამავე სახელწოდებასა და ამავე ფორმით ხმარობს ყველა მომდევნო ბერძენი მწერალი (მაგ., პლუტარქი, „პომპეოსი“, XXXIV, XXXVI, XLV და სხვ.; პტოლემე, წ. V, თ. VIII, თ. X—XII, წ. VIII, თ. XIX და სხვ.; აპიანე, „მითრიდატეს ომები“, 101, 114 და სხვ.)<sup>2</sup>. ესევე სახელი შეინახა ბერძნულმა მწერლობამ გვიანდელი ბიზანტიური ხანაზღვრის და სხვა ტერმინი, ქართველების აღსანიშნავად, ბიზანტიელებს არც მოეპოვებოდათ. ამასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანი გარემოებაა რომ რომაელებმა აგრეთვე თავიდანვე მიიღეს ეს სახელწოდება „ქართველთა“ აღსანიშნავად, მაგრამ უოველთვის ხმარობდნენ მას თავიკიდური ში: ჰიბერი. უეჭველია, ეს შემთხვევითი ფაქტი არ არის, არამედ იგი რომელიმე ძველ ტრადიციასა და მყარებულს. „ჰიბერი“ ფორმა (Hiberi) აქვს ნახმარი უკვე ტ. ლეიუსს (გარდ. 17 წ., აბ. წ.),<sup>3</sup> პომპონიუს მელასს (წერდა 44 წლის მახლობლად, აბ. წ.)<sup>4</sup>, პლინიუს სეკუნდს<sup>5</sup> და ყველა სხვა, მომდევნო ხანის ავტორს, ვინც კი ლათინურად წერდა<sup>6</sup>.

გრამატიკოს. პრისკიანი პირდაპირ წერს: „საკუთრივ „Hiberes“ იწოდება ჰიბერებისაგან გამოყოფილი ტომი, რომელიც ცხოვრობს არმენიის გადაღმა და რომლის (სახელის) მხოლოდობითი რიცხვის სახელობითი (ბრუნვა იქნება) Hiber, აქედან ნათესაობითი იწარმოება Hiberis, ხოლო ბერძნებთან „Ἰβερ, (ნათ.) Ἰβερία; სხვებს კი ისინი ეძახიან „Ἰβერია, (ნათ.) Ἰβერია“<sup>7</sup>. აქ ავტორი პირდაპირ აღნიშნავს მოცემული სახელის ლათინური და ბერძნული დაწერილობის სხვაობას. შემდეგ იგივე ავტორი ამბობს: „...ითქმის აგრეთვე Hiber, (ნათ.) Hiberi, ესპანელის (Hispanus) მნიშვნელობით, და Hiber, Hiberis, როცა ვლახარაკობთ იმ ტომზე, რომელიც არმენიელების მახლობლად ცხოვრობს“<sup>8</sup>.

განსაკუთრებით საინტერესოა ის შემთხვევები, როცა ერთსადაიმევე ძველში ბერძნულ „იბერს“ შეესატყვისება ლათინური „ჰიბერი“. ასე, მაგ., ისეთს შესანიშნავ ოფიციალურ დოკუმენტში, როგორცაა ევრეთწოდებული „ანკეო-

<sup>1</sup> მაინც ეკვს ხელოვნებები გამოცემა, გვ. 690 და შემდ.

<sup>2</sup> ასევეა გვიანდელ ბერძენ ავტორებთან, იბ. მაგ. თემისტია, SC I 691—3, 695, 697; ეესტათი ანტიოქიელი, იქვე, 700; ეპიფანე კვიპრელი, იქვე, 710; თეოდორიტი კვირელი, იქვე, 773, 780—1; პრისკე პანიელი, იქვე, 843 შემდ. და სხვ.

<sup>3</sup> Putorius, ex lib. Cl, S C II 50.

<sup>4</sup> გეოგრაფია, წ. I, § 13; წ. III, § 41; იქვე, 116, 125.

<sup>5</sup> ნატურ. ისტორია, წ. VI, § 12, 29, 30 და სხვ., იქვე, 178, 181—2...

<sup>6</sup> იბ. მაგ. ს. იტალიკი; იქვე, 216; ტატიტი, 234—5, 241—3 შემდ.; ი. სოლინი, 273; ე. სპარტიანი, 293; ფლ. ვოპისკი, 305—6; ი. ვალერიუსი, 311; ავრ. ვიქტორი, 317; ფესტი, 323; ამ. მარკელინი, 324..., ე. სეპტიმიუსი, 390, და სხვებ. „იბერი“ ფორმა ლათინურ ტექსტებში გვხვდება მეტად იშვიათად, ასე აქვს მაგ. ევტროპის იქვე, 320 და რუფინუსს, 362, თუ აქ გადაწერათა და გამომეხელთა შეცდომასთან არა გვაქვს საქმე.

<sup>7</sup> „გრამატიკოს სახელმძღვანელო“, წ. VI, VIII 44; SC II 435.

<sup>8</sup> იქვე, წ. VII; III, 12; გვ. 435.

რიის ძეგლი<sup>1</sup>, ე. ი. წარწერა, ამოკრილი ბერძნულსა და ლათინურ ენებზე, პარალელურად, მცირე აზიის ქალაქ ანკირის ტაძრის კედელზე, იმპერატორ ავგუსტუსის (გარდ. 14 წ., ახ. წ.) ბრძანებით. ეს იმპერატორი ამბობს რომ რომაელთა მეგობრობას „თხოულობდნენ“ „ალბანელების, იბერებისა და მიდების მეფეებში“. ლათინურ ტექსტში აქ ფორმა ჰიბერია (Hiber...) ნახმარი, ბერძნულში-კი — 'Ἰβηρ..., იბერი<sup>1</sup>. ასევე, ბერძნულიდან ლათინურად ნათარგმნ ძეგლებში ჩვენ იმავე „ჰიბერ“ ფორმას ვხვდებით<sup>2</sup>.

ამიტომ უეჭველია რომ ლათინური ძეგლების „ჰიბერ“ ფორმა შემთხვევითი არ არის.

„იბერ“- ფუძემდებ დადის, როგორც ვთქვით, ქართველების თითქმის ყველა უცხოური სახელწოდება, ხმარებული აზიისა და ევროპის ხალხების მიერ. სათანადო ლიტერატურაში აღნიშნულია და უდავოდ უნდა მივიჩნიოთ, მაგ., რომ სომხური „(ი) ვირ-ქ“ (Վիր-ք) — „ქართველი“, მრავლობითი რიცხვის ფორმით, ამ ფუძის ერთი ნაყართაგანია. ძველი სომხური სახელწოდების ნათესაობითი ბრუნვის ფორმიდან მოდის ახალი სომხური „ერაკი“. იმავე მნიშვნელობით, სავსებით სამართლიანად, მოცემულ ფუძესთანაა დაკავშირებული აგრეთვე, საკითხის მეცნიერულ ლიტერატურაში, ძველი სპარსული „ერკ-ან“ და „ერჯ-ან“ (?), სირიული „გურზ-ან“, ახალი სპარსული „გურჯ“<sup>3</sup>, არაბული „ჯურზ“, თურქული „გურჯ“. ირანელებისა და თურქების მეშვეობით ფორმა გავრცელდა მრავალ სხვა ხალხშიაც, კერძოდ, ჩრდილოეთ-კავკასიაში. აქედან მოდის ოსური „გურძე“ (თუ: გურდზე?) = საქართველო, „გურძ-იგ“ = ქართველი და იქნებ „გურჯენ“ — ტანადი, ახოვანი<sup>4</sup>; ჩერქეზ. „ქურჯე“ = ტუილისი (ჩვენი ჩანაწერით; შეადრ. მეგრული და აფხაზური „ქართ“ = ტუილისი) და სხვ.

ამავე აღმოსავლური ფორმიდან მოდის რუსული 1193-1111, რომლის უძველესი ფორმაა 1193-1111: ასე, მაგ., XVI ს. ერთს რუსულ მატრიანურ კრებულში საქართველო წოდებულია „გურზა“-დ, 1193:1111.

უფრო დაწვრილებით უნდა შეეჩერდეთ ქართველთა ევროპული სახელწოდების წარმომავლობაზე აღნიშნული ფუძიდან, იმიტომ რომ აქ კავშირი ისე ნათელი არ არის. ცნობილია, რომ ქართველებს ევროპელი ხალხები ერთსადა-იმევე სახელს ეძახიან, ოღონდ სხვადასხვანაირად გამოთქმულს, ეროვნულს ენობრივ არტიკულაციასა და სათანადო ორთოგრაფიის მოთხოვნილებებთან შეფარდებით. ევროპული ფორმების სათანადო ფუძეებია „გეოჯ“, „ჯოჯ“, „გეოჯ“, „გეოჯ“, „გეოჯ“ და სხვ. (ფრანგ. Géorgien, ინგლის. Georgian, გერმ. Geor-

<sup>1</sup> SC II 41.

<sup>2</sup> იხ. მაგ. ელიფანს „თვალთ“-ს ლათინ. თარგმანი, SC II 712 და სხვ.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, 1<sup>2</sup> 24. — უნდა ითქვას, რომ მოუდევად აღნიშნული კავშირების თვალსაჩინოებისა, სათანადო გადასვლების ფონეტიკური ისტორია უკრ დადგენილი არ არის აღმოსავლურ ფორმებში მოცემული ფუძის ბოლოკიდურა „ქ“, „ჯ.“ „გ“ ალბათ სომხური მრავლობითობის ფორმანტის „ქ“-ს განვითარებაა. ამ შემთხვევაში მივიტოვებ რომ ეს ფორმები სომხურზეა დამოკიდებული.

<sup>4</sup> Ив. Миллер, Осетинско-русско-испанский словарь, სათანადო სიტყვის ქვეშ.

<sup>5</sup> В. Бартольд, История туземцев Востока в Европе и России, т. II, 1., 1925 г., 175.

გიერ და სხვ.). ამ ფუძის გარეგნულმა ახლო მსგავსებამ პირისსახელის გეორგ-გიორგის ფუძესთან დიდი ხანი უკვე რაც გააჩინა სახელის სათანადო ხალხური ეტიმოლოგიაც, — თითქოს ქართველების ევროპული სახელწოდება წმ. გიორგის სახელთან იყოს დაკავშირებული, კერძოდ, ამ წმინდანის კულტის ფართოდ გავრცელების ნიადაგზე საქართველოში, ხოლო, მეორე მხრივ, რადგანაც ადამიანის სახელი „გეორგი“ ბერძნულა (Γεωργίος) და ეტიმოლოგიურად სიტყვა „მიწის-მომქმედს“ (γαιογενής) უკავშირდება, აქედან ისეთი აზრიც გაჩნდა, რომ ქართველების ევროპული სახელწოდება აღნიშნულ ბერძნულ სიტყვასთანაც არის გენეტურად დაკავშირებული. აი, როგორა აქვს ეს გავრცელებული აზრი ვახუშტის გამოხატული: ... „ქვეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა: პირველად — საქართველო, მეორედ — ივერია, მესამეთ — გიორგია... კვალად გიორგიაც მკნედ მომქირნეობისა მუშაკობისა ქართველთათა ეწოდა (რამეთუ „გიორგი“ მუშაკად ითარგმნის). კვალად, ენათგან იცნეს სამება ერთარსება ქეშმარიტი ღმერთი წმიდის ნინოს მიერ, რამეთუ მამა ნინოსი იყო ზაბილონ და ესე ზაბილონ იყო კაბადუციელი, ნათესავი წმიდისა დიდის მოწამის გიორგისა, ამისთვის, მიერ ეამითგან, ნიში და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთაეარმოწამისა გიორგისანი ყოველსა ივერიასა შინა. რამეთუ არა არიან ბორცუნი ანუ მალაღნი გორანი, რომელთა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი. და ესეცა ამის მიერ იწოდა. არამედ ევროპელნი და ბერძენნი უხმობენ ჯორჯიანსა და რუსნი გრუზსა, და მაჰმადიანნი გურჯსა, მათითა ორფოლრაფიის გამო, არამედ იგივე გიორგიავე არს!“.

ნამდვილად - კი, ევროპული ტერმინის ფუძე ჩნდება, ძირითადი იბერ-ფუძის აღმოსავლური ფორმის ადრინდელ იტალიურ გამოთქმა-ტრანსკრიპციის ნიადაგზე, XII—XIII ს-ში. მანამდის და ზოგჯერ ამის შემდეგაც ევროპელი ხალხებიც იმავე იბერ-იბერიას ხმარობდნენ. ახალი სახელწოდება, როგორც ვთქვით, საშუალო საუკუნეების დამლევისათვის ჩნდება. ასე, მაგ., იოანე დე პლანკოკარპინი, პაპი ინოკენტი IV-ის ელჩი, ფრანცისკანელი ბერი, რომელმაც მონღოლეთში იმგზავრა 1246 წ., საქართველოს უკვე „გეორგიანია“-ს ეძახის, ქართველებს „გეორგიან“-ებს ანუ „ობეზ“-ებს (მოდის „აფეზ“-იდან)<sup>2</sup>. „გეორგიანია“-სთან

<sup>1</sup> გეორგიათა, მ. ჯანაშვილის გამოცემა, 30—31. საინტერესოა ვახუშტის დაკვირვება ორთოგრაფიისა და ამ ფორმების ურთიერთ კავშირის შესახებ. ჯანაშვილი, იქვე, შენიშნა: „უარჯოეს ვახუშტის ეტიმოლოგიასა და, თავის მხრით, ევროპულ ფორმებს და ქართ. „ჭართ“-ფუძეს ერთი ფუძისად სთვლის, რაც დაუმტკიცებელია. განათლებული ავტორი წიგნის „Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии“, რომელიც გამოვიდა პეტერბურგს (ამჟამად ლენინგრადი) XIX ს. პირველ წლებში, ეჭვს გამოსთქვამს „გეორგიას“ წმ. გიორგისთან კავშირში, რადგანაც გეორგების ტომი უკვე მოხსენებულ ჭკუთ პომპონუსს მელასა და პლინოსსაო, და უფრო, როგორც ჩანს, „მიწისმოქმედის“ ვარაუტისკენ იბრება, გვ. 3—4.—ამ საკითხის შესახებ ბევრს უწერია. ლიტერატურის მიმოხილვა ნახე А. М. Меликсет-беков, Страна св. Георгия.

<sup>2</sup> Ивано Карпини, История монголов; Рубрук, Путешествие в восточные страны. Введение, перевод и примечания А. И. Малеина, С. Пб., 1911, გვ. 26, 35, 35—36, 50—ჩვენ, საშუაბაროდ ხელთ არ გვკონდა ამ ავტორთა ტექსტების დედნები.—საკონტროლოდ, აქვე მოგვყავს ნაწივეტი ჩვენი ძველი ამონაწერიდან, რომელიც გაკეთებული გვაქვს კარაჩის ძველი რუსული იახოვივისეული გამოცემიდან, Путешествия к Татарам, С. Пб., 1825

ერთად კარპინი ხმარობს ფორმა „გეორგიას“-აც<sup>1</sup>, ამავე დროს მისთვის ცნობილია ტერმინი იბერ-იც<sup>2</sup>, რაც შეიძლება იმერ-იმერელს აღნიშნავდეს. დომინიკანელი ბერი ასკელინი, რომელმაც იმგზავრა მონღოლებთან 1247 წ. იმავე პაპის დავალებით, ქართველებს აგრეთვე „გეორგიან“-ებს (Georgiani) ეძახის<sup>3</sup>.

კიდევ უფრო საყურადღებო ცნობები აქვს დაცული ვილქელმ დე რუბრუკს, რომელიც საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო IX-ის ელჩი იყო და რომელმაც იმგზავრა მონღოლეთში 1253—5 წწ. რუბრუკი ხმარობს ფორმა „გეორგიან“-საც<sup>4</sup>, „გეორგია“-საც<sup>5</sup>, ტერმინ „იბერ“-საც. რადგანაც მისი ცნობით, „იბერია არის გეორგიის ოლქი“-<sup>6</sup> და „იბერები არ ემორჩილებიან თათრებს“-<sup>7</sup>, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იბერია აქ იმერეთს ნიშნავს, ხოლო იბერი—იმერელს. ამასთან ერთად „ქართველის“ აღსანიშნავად რუბრუკი ხმარობს ტერმინს „კურგია“, რომელიც, როგორც ეს მალკინის გამოცემისათვის დართული რუკის ლათინური წარწერებიდან ჩანს, Curgia-ს სახით იწერება. რომ „კურგია“ რუბრუკის ტექსტში მართლაც ქართველს აღნიშნავს, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. ერთ ადგილას რუბრუკი ამბობს: ...ჩვენ გავედით უზარმაზარ ველზე, რომელიც მოანად იწოდება: აქ დის კურა, Cura, რომელმაც სახელწოდება მისცა კურგებს, Curgi, ჩვენ რომ გეორგიანებს ვეძახით. იგი მიმდინარეობს კურგების მთავარი ქალაქის, ტეფილისის, შუა... ამ ველზე მიმდინარეობს არაქსიცი... ამ ულამაზესი ველის დასავლეთით არის კურგია. ველზე წინათ ცხოვრობდნენ კროსმინები. მთების შესავალთან არის დიდი ქალაქი, სახელად განგეს, მათი წინანდელი დედაქალაქი, რომელიც ხელს უშლის კურგებს ჩამოვიდნენ ველზე“-<sup>8</sup>. სავესებით ნიშანდობლივი აღწერაა: მოანის ველი, რათქმუნდა, მულანია, კურა—მტკვარი, ტეფილისი—ტეფილისი, განგესი—განგა. აქ საინტერესოა მითითება რომ „გეორგიანი“ რუბრუკისათვის დასავლეთ-ევროპული ტერმინია, ხოლო კურგია, როგორც ჩანს, აღმოსავლური. საქართველო, როგორც მოყვანილ ადგილას, ისე სხვაგანაც, იწოდება „კურგიად“ ან „დიდ კურგიად“-<sup>9</sup>. სხვა ადგილას რუბრუკი იხსენიებს საგენსას (Careuca, ლათინურ ტექსტში, ალბათ, „საქენსა“-<sup>10</sup>), „ოდესლაც უძლიერეს კურგს“, რომელიც იმ დროს უკვე თათრების მიხარკე ყოფილა. საქენსას მამას, ზაქარიას, ეს სომხების მიწა გაუთავისუფლებია სარკინოზები-

სადაც მოცემულია თარგმანთან ერთად ორიგინალიც: მალბთა სიაში, რომელნიც ცხოვრობენ კომანთა მიწაწყლის ახლომხლო, კარპინი აღნიშნავს «a meridie habet Alnos, Circassos... ac terram quoque Cithorum atque Georgianorum, გვ. 24; შუადრ. მალეინი, გვ. 50; Ubsi siue Georgiani, იბ. იაზიკოვი, გვ. 190.

<sup>1</sup> იაზიკოვი, 34, იბ. აგრეთვე იქვე, გვ. 162; მალეინს ეს ტერმინი პირდაპირ „Кургия“-დ გადმოუყვია, გვ. 54.

<sup>2</sup> მალეინი, გვ. 50; იაზიკოვი, გვ. 24 და აქვე, გვ. 224, შუნ. 2.

<sup>3</sup> იაზიკოვის დასაბ. გამოც., გვ. 229 და სხვ.

<sup>4</sup> მალეინის დასაბ. გამოცემა, გვ. 95, 170 და შუბდ.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 66

<sup>6</sup> იქვე, გვ. 66.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 66—67.

<sup>8</sup> მალეინის გამოც., გვ. 170.

<sup>9</sup> იქვე, 170, 171. ვეფრატის სათავეებით კურგიის მთების ძირთანაა ნაქენები, გვ. 171.

<sup>10</sup> ამას ადასტურებს სხენებული რუკის წარწერა Land of Sahensa.

საგან და შეუძენია. შემდეგ რუბრუკი იხსენიებს საქენსას შვილს ზაქარეას და საქენსასავე ციხე-ქალაქს აინი-ს<sup>1</sup>. ცხადია რომ აქ იგულისხმებიან მზარგრძელები შანშე-შაჰანშა (= საქენსა), ზაქარია (პაპა და შვილიშვილი), მათი სამფლობელო სომხეთში და, კერძოდ, ქალაქი ანისი<sup>2</sup>.

უკვე კარპინისა და რუბრუკის ზემოთმოტანილ ფაქტებს შეუძლიათ გააჩინონ ბუნებრივი და კანონიერი საკითხი ამ უცხო სახელთა ლათინურ ტრანსკრიპციაში მოცემული ფორმების რეალური ბგერითი შინაარსის შესახებ. მთარგმნელების ტექსტი ამ შემთხვევაში, ბოლოსდაბოლოს, უბრალო ტრანსლიტერაციას წარმოადგენს. ლათინური ანბანის ნაკლოვანება, კავკასიურ, კერძოდ — ქართულ, ფონეტიკასთან შედარებით, გვაფიქრებინებს რომ ამ უცხო გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელების გადმოცემისას ევროპელები ლათინურ ასოებს ახალ ფუნქციასაც აკისრებდნენ, ჩვეულებრივის გარდა. ასე მაგ., შაჰანშა-ში ბგერა შ რუბრუკის მიერ s-თაა გადმოცემული, იმიტომ, რომ ლათინურს შ არ მოეპოვება. ქალაქის სახელში *Cainges* = განჯა აშკარაა რომ ლათინ. გ, c ხმოვანის წინ, ჯ-ს შნიშვნელობითაა ნახმარი. იქნებ აქ c, ადგილობრივ a-ს მაგიერ, სწორედ აღნიშნული მიზნითაა გამოყენებული? ამიტომ, საფიქრებელია რომ *Caing* აღმოსავლურ გურჯინ-ს გადმოსცემს და ასევე უნდა იკითხებოდეს ჩვენ მიერაც! ამის შემდეგ საკითხავია, როგორ უნდა წავიკითხოთ ფუძე *georgi*, აქაც ხომ აფრიკატები არა გვაქვს?

სათანადო შუქს დასძულ საკითხს ჰფენს ის მასალა, რომელიც ძველს საქართველოში ნამყოფ და მოქმედ იტალიელ მისიონერთა მიერ დატოვებულ დოკუმენტებშია დაცული. თუ ძველს ხანაში პაპი საქართველოს იბერიას უწოდებს<sup>3</sup>, შემდეგ, XII—XIII სს. უკვე ფუძე *georgi*—ჩნდება. ასე, მაგ., რუსუდანი, თამარის ასული, თავის თავს *Rex Georgianorum* უწოდებს<sup>4</sup>. პაპიც, თავის საპასუხო წერილში, 1224 წლისა, ამავე ტერმინს ხმარობს<sup>5</sup>. შემდეგშიაც იგი ხშირია<sup>6</sup>. მაგრამ ამასთან ერთად ვხედავთ სხვა ფორმებსაც. სხვათა შორის, აქვე ეპოქობით ზემოთგამოთქმული აზრის დადასტურებას რომ XIII ს. მეორე ნახევარში ევროპელები იბერიას ეძახიან დასაეღეთ საქართველოს, ხოლო გეორგიას—აღმ. საქართველოს. ასე, პაპი ნიკოლოზ IV თავის 1289 წ. წერილში იმერეთის მეფეს დავით ნარინს უწოდებს *David Rex Hiberorum*, აღმ. საქართველოს მეფეს დიმიტრი თავდადებულს-კი—*Rex Georgianorum*<sup>7</sup>. შემდეგ ჩნდება კიდევ უფ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 173—174.

<sup>2</sup> შანშე მოხსენებულია მისი ბიძის, ივანე მზარგრძელის, ლათინურ წერილშიაც, იქ ეს სახელი იწერება *Sanzai* იბ. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტ. კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 565.

<sup>3</sup> მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ. 1902, გვ. 24 და 575.

<sup>4</sup> იქვე, 7 და 563.

<sup>5</sup> იქვე, 10 და 565.

<sup>6</sup> ასე, მაგ., 1321 წ. იხსენიება „დიმიტრი ტფილელი, ტომით გეორგიანი“, *natione Georgianus*, იქვე, 29 და 578.

<sup>7</sup> იქვე, 18—19 და 572. იბერ-მა აღნიშნული გამოყენება ძალიან უკველია, „იბერ“-თან გარეგნული მსგავსების გამო.

რო თავისებური დაწერილობანი. პაპი იოანე XXII, თავის 1328 წ. ლათინურად დაწერილს დოკუმენტში, რომლითაც ტფილისში გადმოტანილ იქნა საეპისკოპოსო კათედრა ქალ. სმირნადან, ამბობს რომ „ტფილისი, ქართველთა სამეფოს შუაგული ადგილი, საუკეთესო, მეტად შესანიშნავი, ერთი სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უბეი ქალაქია“. ლათინურ ტექსტში ეკითხულობთ: ...*locus Thelicensis in regni Georgianorum mediterraneo*<sup>1</sup>. უცილობელი უნდა იყოს რომ j, რომელიც გაჩნდა აქ ძველი გ-ს ნაცვლად, მოცემულ სახელში ჩვეულებრივი ლათინური ფონეტიკური მნიშვნელობის (ჟ!) მატარებელი არ არის. ასეთივე ფორმა *jurig-*, კელაე არის განმეორებული იმავე პაპის 1329 წ. ორს სხვადასხვა დოკუმენტში<sup>2</sup>. მაგრამ იმავე წელს საქართველოს მეფისადმი მიმართულ წერილში პაპი საქართველოს *Georgia-*ს უწოდებს<sup>3</sup>. ცხადია, რომ აქ ჩვენ გვაქვს ორთოგრაფიული მერყეობა ერთდამავე უცხო ფონემის გადმოცემისას. შემდეგ, როგორც ლათინურს, ისე იტალიურ ტექსტებში გვხვდება მესამე ვარიანტი: *Giorgi...*<sup>4</sup>.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამსავე დაწერილობაში, j, g, gi, ლათინური ასოებისა და მათი კომბინაციების საშუალებით ამ უცხოელებს, უპეტეს წილ შემთხვევაში იტალიელებს, უნდოდათ გადმოეცათ ადგილობრივი ჯ- მთლიანად, ჩვენი ფუძის ის აღმოსავლური ფორმა, რომელიც საფუძვლად დაედო იტალიელების და, საერთოდ, ევროპელების ფორმას, გამოითქმოდა, როგორც ჩანს, *ჯორჯ* ო *ჯურჯ*. თუ სად შეთვისეს ევროპელებმა ასეთი ფორმა, ეს ჯერ კიდევ საძიებელია, მაგრამ წინასწარ შეიძლება ვარაუდით ითქვას, რომ ეს არის უფრო დასავლეთი წინა აზია, იქნებ --- მცირე აზია, და რომ პროტოტიპული ფაქტი, თავკიდური *g-*ს მიხედვით, უფრო არაბთა მეტყველებას განეკუთვნებოდა, ვიდრე რომელიმე სხვა აღმოსავლეთის ხალხისას, მაგ., ირანელებისას (თურქები გამოირიყხუნლი არიან, რადგანაც შეთვისება, როგორც ჩანს, ხდება უკვე XII ს-ში როცა მცირეაზიელი თურქების მნიშვნელობა, კერძოდ კულტურული, მეტად მცირეა). არაბული ფორმა ჩვენი ფუძისა, *ჯურზ*, ასეთი ფონეტიკური გადასვლის შესაძლებლობას არ უარყოფს. რაც შეეხება ბოლოკიდურ *g-*ს გაჩენას, იქნებ მას საფუძვლად დასდებოდა არაბულ (*ჯურზ*) და ირანულ (*გურჯ*) ფორმების კონტამინაცია. საყურადღებოა რომ ფორმა „*ჯურჯი*“, ქართველს მნიშვნელობით, დადასტურებული აქვს ქანეთში ი. ყიფშაძეს (იხ. აქვე, გვ. 170). რუმბრუკის ფორმა, *ჯარჯი*, რაც ჩვენ „*ჯურჯად*“ წაეკითხეთ, უკვე ახალ ირანული ფორმიდან მომდინარეობს. ძალან საყურადღებოა ჩვენთვის, რომ თავკიდური *g* რუმბრუკს ლათ. *c-*თი აქვს გადმოცემა, და არა *g-*თი.<sup>5</sup>

იმ გარემოებას, რომ აღნიშნული აღმოსავლური ფორმების პირველი შემთავისებელი ევროპელთაგან იტალიელები იყვნენ, ის მნიშვნელობა აქვს რომ იტალიელებს, რომაელებისა და ზოგ სხვა ევროპელ ხალხთაგან განსხვავებით, ცოც-

<sup>1</sup> იქვე, 32 და 580.

<sup>2</sup> იქვე, 33 და 581, 35 და 582.

<sup>3</sup> იქვე, 38 და 584.

<sup>4</sup> იქვე, 585, 588, 591, 592 და სხვ.

<sup>5</sup> გავრის, ძვ. ქართ. ვაგარ-ის, სახელშიც ძველ იტალიურ რეკაბზე ვ თათქის ყუველ-თვის *c-*თია გადმოცემული, *lpxvii, lscvioxpax, v. ll.*

ხალ მეტყველებაში ჰქონდათ სათანადო აფრიკატები, კერძოდ ჯ. მათ მხოლოდ, ამ ბგერების გამოსახატავად, სპეციალური ასო-ნიშნები არ გააჩნდათ.

რომ ეს ევროპელები, აღებულ შემთხვევაში, არარეალურ ფორმებს კი არ სთხზავდნენ, არამედ ადგილობრივ ტერმინოლოგიას ეგუებოდნენ, ამის საილუსტრაციოდ იმავე მასალაში ერთი მეტად საინტერესო ფაქტია დაცული.

XIII ს. ოციან წლების დამდეგს, დედოფალ რუსუდანთან ერთად, ათაბაგს ივანე მხარგრძელსაც მიუწერია წერილი რომის პაპისათვის. ამ წერილში ივანე თავის თავს „მთელის საქართველოს და სომხეთის მხედართმთავარს“ უწოდებს (თამარაშვილის თარგმანით)<sup>1</sup>, დედანში - კი ეს ტერიტორიულ-პოლიტიკური ცნება გამოხატულია სიტყვებით: *totius Bratiac sive Armeniac*. პაპის საპასუხო წერილში-კი ივანეს უფრო მარტივად *Comestabulus Bratiac* ეწოდება, თამარაშვილის თარგმანით — „საქართველოს მხედართმთავარი“<sup>2</sup>. თამარაშვილის თარგმანი სწორია და *Bratia* მართლაც „საქართველოს“ ნიშნავს; ჩვენ ვფიქრობთ რომ აქ ფუძეა სომხური ნათესაობითი ბრუნვის ფორმა — „ერაც“ (*ერაც*) = საქართველთა. *ti* ჯგუფი აქ ც აფრიკატს გადმოსცემს ბუნებრივად. აღნიშნულ ფაქტს სხვა ინტერესიც ახლავს თან, მაგრამ აქ მასზე ვერ შევჩერდებით.

საილუსტრაციოდ აღვნიშნავთ, დასასრულ. იტალიური ორთოგრაფიის ცნობილი ისტორიის ფაქტებიდან, რომლებიც იმავე მასალაში გვხვდება, რომ ბგერა ჯ თანაბრად არის გადმოცემული *j* და *g*-თი (ეს უკანასკნელი, ამ შემთხვევაში, შესაფერი ხმოვნის წინ დგას) ისეთს ფორმებში, როგორცაა *Gesu*<sup>3</sup> = იესო, *Gesuita*<sup>4</sup> = იეზუიტი, *Gerusalemme*<sup>5</sup> = იერუსალიმი, *Genaro*<sup>6</sup> = იანვარი; ჯ = *gi*: *Giuseppe*<sup>7</sup> = იოსები და მრავალი სხვა. რადგანაც ასეთი იყო, საერთოდ, ფონეტიკური ბედი თავკიდური *g*-სა იტალიურში, ამიტომ ქართული „იესე“-ც (კაცის სახელი) *Giessé*-დ იქცა!<sup>8</sup>

დასასრულ, შევნიშნავთ რომ „გეორგ“ — ფორმა ახალს ევროპულ ენებში (მაგ. გერმანულში) მიღებულ იქნა იტალიური დაწერილობის ლათინური წაკითხვიდან, რაც შემდეგ საფუძვლად დაედო უწყებულ მცთარ ეტიმოლოგიასაც.

ასეთი საყოველთაო გავრცელება იბერ-ფუძისა მოწმობს მისს დიდ სიძველეს და მნიშვნელობას. თუ, ამის შემდეგ, მოვიგონებთ ჩვენს ზემოთმიღებულ დასკვნას იმის შესახებ, რომ გარკვეულ ხანაში სატომო სახელების საერთო ქართველური მაწარმოებლის როლში - ან სუფიქსი გამოდის, საფუძველი გვექნება ეოფიქროთ რომ ქართების აღნიშნულ სახელსაც ოდესლაც თან ახლდა ეს ფორმანტი და მთელი სახელი გამოითქმოდა, როგორც იბერ-ან-ი თუ პიბერ-ან-ი

<sup>1</sup> დასახ. გამოც., გვ. 8, დედანი — გვ. 564; რომ ეს მართლაც ივანე მხარგრძელია, იმითაც მტკიცდება რომ წერილში ივანე თავის ძმისწულს „შანშას“, ცნობილ ისტორიულ პიროვნებას, იხსენიებს.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 11 და 567.

<sup>3</sup> იქვე, 707, 720

<sup>4</sup> იქვე, 706

<sup>5</sup> იქვე, 628

<sup>6</sup> იქვე, 685

<sup>7</sup> იქვე

<sup>8</sup> იქვე, 726 და 317.

(ლათინურში დაცული ფაქტის მიხედვით). იქნებ არ იყოს უცხოური, ქართული მორფოლოგიის თვალსაზრისით, ის -ან სუფიქსიც, რომელიც ამ ტერმინის ზოგიერთ აღმოსავლურ ფორმას ახასიათებს (ერკ-ან, ერჯ-ან, გურზ-ან და სხვ.)? მაგრამ ეს—სხვათა შორის.

მას შემდეგ, რაც ჩვენ ქართების სატომო სახელწოდების ეს უძველესი -ან-იანი ფორმა მივიღეთ, ბევრად უფრო დამაჯერებელი უნდა გვეჩვენოს ის მოსაზრება, რომელიც მრავალგზის ყოფილა გამოთქმული სხვადასხვა მეცნიერის (პროფ. ივ. ჯავახიშვილი<sup>1</sup>, აკად. ნ. მარი<sup>2</sup> და სხვ.) მიერ იბერ-ის ნათესაობის შესახებ ტიბარენ-თან. პროფ. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „ენი“ დაბოლოებაა, „ტიბარ“ ფესო არის“-ო. ჩვენ ვნახეთ რომ ასეთი დანაწევრებისათვის საკმაო საფუძველი მოიპოვება. გარდა ამისა, „ტიბარენი“ გაცილებით უფრო დამარწმუნებლად უახლოვდება ჰიბერანს ორ იბერანს. ეს სიახლოვე კიდევ უფრო ცხადი გახდება, როცა ტიბარენის ვარიანტებს გავითვალისწინებთ და ამ გზით სახელწოდების ისტორიას აღვადგენთ.

ჯერ ერთი, უნდა შევნიშნოთ, რომ ტიბარენები ის ტომია, რომელიც უკვე მეექვსე საუკუნიდან მოყოლებული, ძველი წელთაღრიცხვით, იხსენიება ანტიკურ მწერალთა მიერ, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, ქალ. ტრაპეზუნტიდან დასავლეთისკენ. ამავე დროს, სხვადასხვა მწერალს ეს სატომო სახელი სხვადასხვა, ჩვენთვის საინტერესო, ფორმით აქვს მოხსენებული.

უძველესი ამ წყაროთაგან, ჰეკატე მილეთელი (VI ს., ძვ. წ.) მე-193 ფრაგმენტში, რომელიც სტეფანე ბიზანტიელს აქვს დაცული. ამბობს: „ტიბარენს (Τιβάρηναι) შხის აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრებიან მოსსვნიკები“ (Μοσσοσθαι)<sup>3</sup>. აქ სახელის ფუძე -ან სუფიქსის გარეშეა მოცემული, და ტიბარენი მოსინიკების დასავლეთელ მეზობლებად არიან გამოცხადებულნი.

ჰეროდოტე-კი (V ს.) შემდეგს ცნობას გვაწვდის: „მოსხებს, ტიბარენებს (Τιβάρηνας), მაკრონებს, მოსინიკებს და მარებს გამოცხადებული ჰქონდათ (ხარკად) 300 ქანქარი; ეს მეცხრამეტე ოლქია“<sup>4</sup>. მაშასადამე, ჰეროდოტეს დროს ტიბარენები აქემენიდთა სახელმწიფოს XIX ოლქში შედიოდნენ მოსხ-მესხებსა, მოსინიკებსა, მაკრონებსა და მარებთან ერთად. აქ მოცემულია, მაშასადამე, ახალი ცნობები ტიბარენების ტერიტორიის განსაზღვრისათვის: მოსინიკებს გარდა მათ კიდევ სამი სხვა, ჰეროდოტეს მიერ დასახელებული, ტომიც მეზობლობდა. ჰეროდოტეს ცნობაში გარდა ამისა, ახალია სახელის ფორმაც—აქ პირველად ჩნდება სუფიქსი -ენ.

<sup>1</sup> ქართ. ვრის ისტ., I<sup>2</sup> 22—23

<sup>2</sup> იხ. მაგ. მისი «Александровские и другие», სადაც ავტორი ამბობს: «...Κιθριον ο.π.π. π.δ.σ.μ, ο.π.π. же тибарен, или тибаренны», Избр. соч., т. V<sup>1</sup> 175.

<sup>3</sup> SC I 3.

<sup>4</sup> III 94; SC I 9; ტიბარენებს იხსენიებს ჰეროდოტე აგრეთვე იმ ხალხთა აღწერილობაში, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ქვირქვის ლაშქრობაში. ტიბარენები, მაკრონები და მოსინიკები მოსხებოვით ყოფილან შეიარაღებულნი. ამას გარდა, ტიბარენები და მოსხები ერთს სამხედრო რაზმს შეადგენდნენ, VII, 78; იქვე, 57.

ტიბარენების ტერიტორიას კიდევ უფრო ნიშანდობლივ განსაზღვრავს პეროდოტეს უმცროსი თანამედროვე, ქსენოფონტე, რომელმაც ამ ტომების მიწაწყალი საკუთარი ფეხით მოიარა 401 წ., ძვ. წ. ქსენოფონტეს ცნობით, ქალაქი ტრაპეზუნტი არის ელინური ქალაქი, სინოპელების კოლონია, კოლხების ქვეყანაში<sup>1</sup>. შემდეგ ქალაქი კერასუნტიც, სინოპელების მიერ დაარსებული, კოლხეთში მდებარეობს<sup>2</sup>. კერასუნტის შემდეგ, დასავლეთისაკენ, უკვე მოსინიკების მიწაწყალი იწყებოდა<sup>3</sup>. მოსინიკების ტერიტორია ქსენოფონტემ და მისმა რაზმელებმა მ გადასვლაში გაიარეს და ხალიბებიც ქვეყანაში მივიდნენ; ხალიბები მცირე ხალხია, მოსინიკებს ემორჩილება და მისი უმრავლესობა მდნის დამუშავებით ირჩენს თავსო, ამბობს ქსენოფონტე<sup>4</sup>. აქედან ბერძნები უკვე ტიბარენების ქვეყანაში (εἰς Τίβαρωνας) გადასულან. ტიბარენებს უფრო ვაკე ადგილი უჭირათო. მას შემდეგ, რაც ტიბარენების ტერიტორიაზე შესდგეს ფეხი ბერძნებმა, მათ კიდევ ორი დღის სიარული დასჭირდათ, ვიდრე ქალაქ კოტიორამდე მიაღწევდნენ. ქალაქი კოტიორა ელინური ქალაქია, სინოპელების კოლონია, ტიბარენების ქვეყანაშიო, ამბობს ქსენოფონტე. სახელი ტიბარენიც მას ყოველთვის ამ ფორმით აქვს მოცემული, -ენ სუფიქსით<sup>5</sup>. გარდა ამისა, ქსენოფონტეს ცნობით, ტიბარენები და მათი მეზობლები (მოსინიკები, კოლხები, მაკრონები და სხვები) უკვე აღარ ემორჩილებოდნენ მეფეს, ე. ი. ირანის მბრძანებელს<sup>6</sup>. შემდეგ სკილაკი (IV ს. უკანასკნელი მეოთხედი, ძვ. წ.) იხსენიებს ტიბარენებს და მისი ცნობა, ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია, არ ჩანს წინა წყაროებზე დამოკიდებული. ჩამოსთელის რა ხალხებს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიყოლებით, სკილაკი ამბობს: „მოსინებს იქით (εἰς τὴν Ἰνδονίαν) ცხოვრობს ხალხი ტიბარენები (Τίβαροι)“. ტიბარენებს იქით ცხოვრობს ხალხი ხალიბები; (აქ არის) დახურული ნავთსადგური ვენეტი, ელინური ქალაქი სტამენია და ელინური აკროპოლისი იასონია“<sup>7</sup>. სტრაბონი ხმარობს პარალელურად როგორც ტიბარენ-ს<sup>8</sup>, ისე ტიბარან-საც<sup>9</sup>. ამას გარდა ტიბარენების ქვეყანას სტრაბონი ტიბარანიას (Τίβαρωνας) ეძახის<sup>10</sup> და ამრიგად მაინც თითქოს უპირატესობას -ან-იან ფორმას აძლევს. სტრაბონი საკმაოდ დეტალურად განსაზღვრავს ტიბარანიის ადგილმდებარეობასაც: ქალ. ტრაპეზუნტი ტიბარანიისა და კოლხეთის საზღვარზე იმყოფება<sup>11</sup> (შეადარე კოლხებისა და იბერების მეზობ-

<sup>1</sup> წ. IV, თ. VIII, § 22; შეადრ. § 23; SC I 76—77.

<sup>2</sup> წ. V, თ. III, § 2; იქვე, 79.

<sup>3</sup> წ. V, თ. IV, §§ 1—2; იქვე, 79.

<sup>4</sup> წ. V, თ. V, § 1; იქვე, 83.

<sup>5</sup> წ. V, თ. V, §§ 1—3; იქვე 83.

<sup>6</sup> წ. VII, თ. VIII, § 25; იქვე, 84.

<sup>7</sup> 87 და 88; SC I 86.

<sup>8</sup> გეოგრაფია, წ. XII, თ. I, § 3, მაინკვე გვ. 750; იქვე, თ. III, § 28, გვ. 779 (2-ჯერ), § 29, გვ. 780

<sup>9</sup> იქვე, წ. XI, თ. XIV, § 1, გვ. 740; წ. XII, თ. III, § 1, გვ. 759; წ. XII, თ. III, § 18, გვ. 770; წ. II, თ. V, § 31.

<sup>10</sup> წ. VII, თ. IV, § 3, გვ. 425.

<sup>11</sup> გვ. 425.

ლობა კავკასიაში). კავკასიონის ქედი (იგულისხმება სამხრეთის შთაგრეხილი) ეკერის სომხურს, კოლხურსა და მოსხურს მთებს ტიბარანებამდე<sup>1</sup>. მითრიდატ ევპატორის სამეფო ისაზღვრებოდა მდ. პალისით ტიბარანებსა და სომხებამდე<sup>2</sup>. ტრაპეზუნტსა და ფარნაკიას ზემოთ ცხოვრობენ ტიბარანები, ქლდეები და სანნები<sup>3</sup>; ფარნაკიასა და ტრაპეზუნტის სანახებთა ზემოთ ცხოვრობენ ტიბარანები და ქალდეები მცირე არმენიამდე<sup>4</sup>, რომლის მფლობელთ ხელკვეით ჰყავდათ ხოლმე აგრეთვე ქალდეები და ტიბარანები, ასე რომ მათი სამფლობელო ვრცელდებოდა ტრაპეზუნტსა და ფარნაკიამდე<sup>5</sup>; სტრაბონის ცხოვრების ხანაში, ტიბარანებსა და ქალდეებს, ვიდრე კოლხეთსა, ფარნაკიასა და ტრაპეზუნტამდე, ჰფლობდა პითოდორიდა<sup>6</sup>. სპეციალური ყურადღების ღირსია, გარდა ამისა, სტრაბონის ცნობა, რომ პირკანიის ზღვასა და პონტოს შუა მდებარე ყელს (=ამიერ-კავკასია!) სამხრეთით ძვეს არმენიის უდიდესი ნაწილი, კოლხეთი და მთელი კაბადღუკია ექსინის პონტოსა და ტიბარანულ ხალხებამდე<sup>7</sup>. მაშასადამე, ტიბარანები, სტრაბონისათვის, ხალხთა მთელ ჯგუფს წარმოადგენდნენ.

ტიბარან-თა სახელის აფიქსაციის ორი პარალელური ვარიანტის (-ენ II -ან) რეალურ არსებობას ბერძნულ მწერლობაში ადასტურებს სტეფანე ბიზანტიელი, რომელსაც, გარდა ამისა, მოჰყავს ეფორის ცნობაც, რომ ტიბარანების მეზობლები არიან ხალიბები და ლეკოსირებიო<sup>8</sup>.

ფორმა ტიბარენი ძალიან ადრე გაჩნდა რომულ მწერლობაშიაც. იგი მოეპოვებათ, მაგ., ოვიდი ნასონსა და პლინიუსს<sup>9</sup>. მაგრამ უკვე პომპ. მელას მოეპოვება ფორმა ტიბარანი (Tibarani<sup>10</sup>). მეტიც: მელას აქვს ფორმა ტაბერენი (Tabereni<sup>11</sup>).

ფორმა ტაბარენი ჰქონია ვესევი კესარიელსაც. სამწუხაროდ, დედანი შენახული არ არის. ლათინურ თარგმანში კი მოცემულია ბერძნ. -7-ს გვიანდელი წაკითხვა ი-დ (Tibarini)<sup>12</sup>. შემდეგს საუკუნეებში ტიბარანების სსენება თითქოს სულ უფროდაუფრო მწიგნობრულ ხასიათს ატარებს. ამ მხრივ დამახასიათებელია ამ. მარკელინის ცნობა, რომელიც ტიბარანებს რომაელთათვის „სრულიად უცნობი ხალხების“ რიცხვს მიათვლის (ბიზარებსა, საპირებსა, მოსინიკებსა, მაკრონებსა და სხვებთან ერთად)<sup>13</sup>. მოუხედავად ამისა, ცოცხალი სინამდვილიდან მომდინარე მოწმობის შთაბეჭდილებას სტოეებს ევსტათი თესალონი-

<sup>1</sup> გვ. 740.

<sup>2</sup> გვ. 759.

<sup>3</sup> გვ. 770.

<sup>4</sup> გვ. 779.

<sup>5</sup> იქვე

<sup>6</sup> გვ. 780.

<sup>7</sup> წ. II, თ. V, § 31.

<sup>8</sup> ლექსიკონი, სათანადო სიტყვის ქვეშ

<sup>9</sup> SC II 77 და 178; პლინიუსიც ტიბარანებს ქალ. კოტიორასთან აკავშირებს.

<sup>10</sup> იქვე, 116.

<sup>11</sup> იქვე, 117.

<sup>12</sup> S C I 667.

<sup>13</sup> S C II 325.

კელის (XII ს.) ცნობა: „ტიბარენები, რომელთაც ჩვენ ტიბრან-ებს ვეძახით, ცხვირითა და საქონლით მდიდარნი არიან“-ო<sup>1</sup>.

ზემოთმოტანილი ჩვენებები, პირველ წყაროებიდან, იმდენად მრავალფეროვანია თავისი წარმოშობისა და შემადგენლობის თვალსაზრისით რომ შეუძლებელია ეს ვარიანტული ფორმები გადაშწერთა შეცთომებს მიეწეროს. უფრო ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, და ამაში ქვემოვანხილული სხვა ფაქტებიც დაგვარწმუნებს, რომ აქ საქმე გვაქვს რეალურ ფაქტებთან. მათი მიხედვით ირკვევა: 1) სუფიქსი წარმოდგენილი იყო ან -ან-ის, ან -ენ-ის სახით; ასეთი შესატყვისობა ჩვენ ზემოთაც დაეადგინეთ, კან-ზანის სინამდვილეში; 2) პარალელური ფორმები ჰქონდა ფუძესაც—ტიბარ-ისა, ტაბარ-ისა და ტაბერ-ის სახით; დამოწმებულია რედუქციებული ფორმა ტიბრ-იც, ამიტომ დასაშვებია აღნიშნული ფორმების გვერდით, ტიბერ- ვარიანტის არსებობაც (შეადრ. დამოწმებული ტიბარ- და ტაბერ-). ხოლო თუ ეს ასეა, სათანადო ფორმით შემოსილნი, უშუალოდ მიუდგებიან ერთმანეთს, ჩვენ მიერ აღდგენილი, ფაქტები: ჰიბერან (კაეკასიაში) და ტიბერან (შავი-ზღვის სამხრეთ სანაპიროზე). მივიღებდით რომ ეს არის ერთისადაიმავე ხალხის ორი ნაწილი.

იმავე ხალხის მესამე ნაწილი, ძველი წელთაღრიცხვის დამლევისათვის, დოკუმენტალურად ნაჩვენებია უკვე, როგორც ადგილობრივი ტომი, მცირე აზიის შუაგულ რაიონში. აქ, 51 წელს ძვ. წ., ცოცერონი, როცა იგი კილიკიის პროკონსულად იყო, ეოპებოდა ტაბარან-ებს<sup>2</sup>.

ეს ძვირფასი ცნობა, ჯერ ერთი, ადასტურებს ტაბარ ფორმის რეალურ არსებობას (რომ ტაბარანები და ტიბარანები ერთიდაიგივე ხალხია, ეს ხომ ექვს გარეშე უნდა იყოს), და შექდევ აშუქებს გზებს ამ საშად გაყოფილი ხალხის უძველესი ისტორიის ძიებისათვის.

აქ დავკრჩენია კიდევ ერთი შენიშვნა: როგორც ვნახეთ, ჰეკატეს მოცემული სატომო სახელი „წმინდა“ ფუძის სახით აქვს წარმოდგენილი („ტიბარ“-). სამწუხაროდ, ეს ფაქტი განცალკევებით დგას და იგი მხოლოდ სტეფანე ბიზანტიელის ლექსიკონშია დატული, რომლის ზოგიერთი ხელნაწერი ამ ადგილას ტიბარენ-ის საკითხავსაც იძლევა<sup>3</sup>. ამ ფაქტის დადასტურებისას სხვა გზით, მომავალში, შესაძლებელი გახდება მოცემული მორფოლოგიურა მოვლენის მიხედვითი დათარიღებაც: -ან სუფიქსი ამ სატომო სახელში ჩნდება არა უადრეს მეხუთე საუკუნისა, ძვ. წ. ამეამად, ამის გადაკრით თქმა, ცხადია, არ შეიძლება.

ჩვენთვის საინტერესო სატომო სახელის ფუძის, ზემოთ, დოკუმენტურად, დამოწმებული თუ კანონზომიერად აღდგენილი, ვარიანტები—ტიბარ, ტაბერ, ტაბარ, ტიბერ, ჰიბერ, იბერ და ამ სახელწოდებათა მატარებელი ტომების გავრცელების არე, განსაკუთრებით მცირე აზიის შინაგანი ოლქები, აუცილებლობით დასავსებით დამარწმუნებლად უკავშირდება, ერთი მხრით „დაბადების“ თებალსა

<sup>1</sup> S C I 209.

<sup>2</sup> S. Forrer, Die hethitische Bilderschrift, 55.

<sup>3</sup> S C I 270.

და თობელ-ს, მეორე მხრით, ასურული წარწერების ტაბალ-ს (როგორც ჩვეულებრივად სწერენ), ანუ თაბალ-ს. „დაბადების“ ფაქტები, უკვე დიდი ხანია, რაც სპეციალურ განმარტების საგნად იქცა. ჯერ კიდევ ცნობილი სწავლული ებრაელი, იოსებ ფლაბიოსი (I ს., ახ. წ.), ამტკიცებდა რომ იაფეტის შვილის თუბალ-თობელ-ის შთამომავალი მის დროს იბერებად იწოდებოდნენ<sup>1</sup>. არ ჩანს, ფლაბიოსი ამ მოსაზრებას მარტო სახელთა მსგავსებაზე ამყარებდა, თუ მას სხვა მასალაც რამე ჰქონდა. შემდეგშა, ფლაბიოსს ხშირად იმეორებდნენ ძველი მწერლები, განსაკუთრებით, ბიბლიურ გენეალოგიათა განმმარტებელნი. მაგრამ ახალმა მეცნიერებამაც ეს დებულება თითქმის უყოყმანოდ მიიღო. წარსული საუ უნის სახელკანთქმული ორიენტალისტი, ვივიან დე სენ-მარტენი, მაგ., პირდაპირ ამბობს, რომ „დაბადების“ „თუბალს ან თუბელს ბერძნები უწოდებდნენ ტიბარენებად ანუ ტრბარებად“, და როგორც პირველს, ისე მეორეს უკავშირებს იბერ-ს, იბერიას, იმერ-იმერეთსა და ქართველთა ერთერთ ეთნარქს, „ქრთლის ცხოვრებით“, — უფლოსს. შავი ზღვის „ტიბარენი“ მას ლაზების ძველ, კრებითი წნიშენლობის, სახელად მიაჩნია<sup>2</sup>. ცნობილი კიპერტიც უკვეოდ აკავშირებს „დაბადების“ თუბალს ტაბარებას (ტიბარენების) ქვეყანასთან.<sup>3</sup> უკველად მიაჩნიათ ეს კავშირი აკად. ნ. მარს, პროფ. ივ. ჯაფხუაშვილს, პროფ. ი. ყიფშიძეს და სხვებს, როგორც ეს ქიემოთაც იქნება ნაჩვენები. განსაკუთრებით განმტკიცდა და გამდიდრდა ეს შეხედულება ასურული ლუკსმული წარწერების ამოკითხვის შემდეგ. ამ ძეგლებში იპოვეს ვრცელი ცნობები ხალხის „ტაბლ“-ის შესახებ. ჩვენ აქ ამ ცნობებს აღარ მოვიჭრით, — მკითხველი მათ იპოვოს პროფ. ივ. ჯაფხუაშვილთან.<sup>4</sup> აქ მხოლოდ მ მდ გს აღვნიშნავთ: ასურული ცნობებით ტაბალეები 24 „სამეფოდ“ იყოფოდნენ; ამ „მეფეებთან“ მოყვრობას დიდი ასურეთის მმრჩანებელნიც არ თავილობენ; ტაბალე-ის მეუ-ნეობა მადლ დონეზე დგას — კეჰოდ, ძალაან აქებენ ასურელები ტაბალურ ცხენებს; განვითარებული აქვთ ტაბალეებს აგრეთვე, როგორც ჩანამეტალურგია; მათი მთავორი ნი ქვეუა, გელეურას განმარტებით, რაზელაც ასურელთა ცნობებას ანალიზზეა დაკუთრებული, მკრპინ ელს დედ კბადეკახე (მინჯანი ძიოუ აზია) მოდის. თავისთავად ეს და რომ ტაბალეების ქვეყანა ასე ისახლეკება ასურული ცნობების ხანისათვის (პირველი ათასეულის პირველი საუკუნეები). როგორცა ტაბალეების გავრცელება უფრო აღჩინდელ ხანაში, ეს უკვე კიდევ სამ-ებელია.

<sup>1</sup> Flavius Josephus opera. I. P. 1845. თ. VI, გვ. 14. И. Кни п и л з е, Граж. мушр. XIII.

<sup>2</sup> V. de S.-Martin, Recherches sur les populations du Caucase, ქართ. თარგმანი, აღ. ქუონია, ისტორიული ნარკვევი. ტფ. 1890, გვ. 93 შებდ.

<sup>3</sup> H. Kiepert, Manuel de Géographie ancienne, P. 1887, p. 59. — თუბალ-ტიბარენების კავშირის შესახებ ვრცელი მსჯელობა და სათანადო ლიტერატურის განხილვა იხ. ბ. უსლართან. Древнейшие сказания о Кавказе. Т. 1881 г., 293—312.

<sup>4</sup> ქართვ. ერის ისტორია, I<sup>2</sup> 36 შებდ.

ასურული წარწერებს „ტაბალი“ მრავალმა მეცნიერმა (პროფ. ივ. ჯავახიშვილი, აკად. ნ. შარი, პროფ. ი. ყიფშიძე და სხვ.) დაუკავშირა ტიბარენს და იბერს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთს დებულებას სრული საფუძველი აქვს, და მის ს.ს. რგებლოდ, გარდა ზემოთმოტანილი ახალი მასალისა, გვ.ნდა კიდევ ერთი საბჭოთი წარმოვადგინოთ.

ცნობილმა თანამედროვე ევროპელმა ორიენტალისტმა და ხეთოლოგმა, ე. ფორერმა, გამოსთქვა მოსაზრება რომ ასურული წარწერების „ტაბალი“ არის საერთო სახელწოდება ყველა იმ ზემოხსენებული 24 სამეფოსი, რომელნიც, ფორერს ლოკალიზაციით, ტაერის მთების ჩრდილოეთით მდებარეობდნენ, და რომ ხეთური ჰიეროგლიფური (ხატოვანი) დამწერლობა სწორედ ამ ტაბალებს ეკუთვნის. როგორც ცნობილია, ხეთური ეპიგრაფიული სამყარო, და წყაროების მხრივ, ორ დიდ წყაროზეა დაყრდნობილი: ერთი ხმარობს ლურსმულ მარცვლოვან დამწერლობას, ჩეორე-კი—ჰიეროგლიფებს. ეს ხატოვანი დამწერლობა, მაშა ადამი, ფორერის აზრით, ტაბალების დამწერლობაა. ასეთივე არი გამოსთქვა პავლე ინკორაყვიამ თავისი სპეციალურ მოხსენებაში, რომელიც წაკითხული იყო საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში 1931 წ. პ. ინკორაყვიამ მაშინ ამ დამწერლობას ქართული წაკითხვის ცდაც წარმოადგინა, მეთე თარხუდიმეს ცნობილი ბექდის წარწერის ამოიფრეის მაგალითზე. დებულება იმის შესახებ, რომ ხეთური ჰიეროგლიფური ძეგლები ტაბალებს უნდა ეკუთვნოდეს, სულ ლოგიკურ თანხმობაში იმყოფება ყოველივე იმასთან. რაც ზემოთ იყო ნათქვამი.

მაგრამ ჩვენთვის კიდევ უფრო საინტერესოა ფორერის ერთი დაკვირება და მოსაზრება. ფორერმა მიუთითა რომ ტაბალებს ხატოვან წარწერებში, კარხემიშიდან, მიუღია მათი ქვეყანა აღნიშნულია იდეოგრაფიით, რომელიც იხსნება, როგორც „წყალი“. მთლიანად ქვეყნის სახელი უნდა ამოიფრეოდ იქნას, როგორც „წყლის ქვეყანა“, ხოლო ამ ქვეყნის ხალხის სახელწოდება როგორც „წყლის, ანუ ზღვის, ქვეყნის ხალხი“. იქვე მოცემულია იდეოგრაფიანი კომპოზიტი,—რომელიც აგებული იხსნება როგორც „ზღვის ქვეყნის ხალხი“. ამოდის რა იმ მოსაზრებადან, რომ ასურული წარწერები არ იცნობენ ასეთს ეთნიკურ ტერმინს, თუმცა ისინი სიჩიულ სანაპიროსა და ზოგჯერ ამ ქვეყნის შინაგან რაიონებსაც „ზღვას ქვეყანას“ ეძახიან, ფორერმა, კარხემიშის წარწერის ფაქტების ასახსნელად, იგონებს ცნობილს ძველს სატომო სახელწოდებას „პელასგ“-ი. ფორერის აზრით, ეთნიკური ტერმინი „პელასგი“ ბერძნული ეტიმოლოგიის სახელია, სიტყვიდან „პელაგ“-ოს, რაც ბერძნულად „ზღვა“ ნიშნავს. პელასგებიც (უძველესი ფორმით—პელაგ-სკოა) ამიტომ უწოდებ „ზღვის ხალხ“-ად უნდა ითარგმნოს. ამრავად ჰიეროგლიფური წარწერებს „ზღვის ხალხი“ პელაგები იყენებო, დაასკვნის ფორერი. თავისი ჰიპოთეზის ისტორიული დასაბუთებისათვის ფორერმა მოჰკავს ორი ძველი ბერძნული გარემოცვა: 1) გეორგ ათას ულის დაწვეს, ქრ. წ. ზღვაზე ბაუონოენ პელასგები; 2) პელასგების დამწერლობა განირჩეოდა ფინიკიურისაგან, და უძველესი პოეტები, ლინე,

ორფეოსი და პრონაპიდი, ჰომეროსის მასწავლებელი, სწორედ პელასგიურ დამწერლობას ხმარობდნენო<sup>1</sup>.

ფორერის ეს განმარტება მიუღებელია: 1) ისტორიული საბუთიანობა ძალიან სუსტია, არსებითად ის ავტორს არც მოეპოვება: არც ერთი ისტორიული წყარო პელასგებ, ხატოვანი დამწერლობის არეში არ უჩვენებს, ხოლო ზღვაზე ბატონობა ჯერ კიდევ სარია-კაბადლუკიაში მკვიდრობას აუ მოასწავებს: 2) სუსტია ეტიმოლოგიური საბუთიც: პელასგები, როგორც ცნობილია, ინდო-ევროპული მოდემიანნი არ ყოფილან და ჯერ ესაა დასამტკიცებელი რომ მათ სახელს მართლაც ბერძნული ეტიმოლოგია ჰქონდა.

გაცილებით უფრო ბუნებრივი იქნებოდა ამ საიდუმლოს გასაღების სხვა გზით ძიება: რაკი, ფორერისავე მიხედვით, ხატოვანი დამწერლობა იმ ხალხს ეკუთვნის, რომელსაც ასურელ ბი „ტაბალს“ ეძახიან, რაკი ამ სახელის ახსნა სემიტურ ადაგზე შეუძლებელია, მარტივი ლოკია მოთხოვს ტაბალების ხატოვან დამწერლობაში მოცული თვითსახელწოდება (თავისთავის აღნიშვნის ტერმინი) და ეთნიკური სახელწოდება ერთმანეთს დაუკავშირდეს, ე. ი. იდოგრაფა „წყლის, თუ ზღვის, ხალხი“ „ტაბალის“ საშუალებით აიხსნას, ხოლო „ტაბალი“ გაგებულ იქნას, როგორც, „ზღვის, წყლის, ხალხი“.

ნსჯელობის განვითარების ამ პუნქტში სრულიად ბუნებრივია ის ახსნა, ჩვენ რომ მუშაობის პრაცესში გვიკარნახა პროფ. აკ. შანიძემ, როსელსაც ჩვენს მოსაზრებებს ეუზიარებდათ: „ტაბალი“ იშლება ქართ. სიტყვა „ტაბად“-დ, რაც ნიშნავს „ზღვას“ (ძველად), „ტბას“; მამასადამე, საერთოდ „წყლის დიდ საცავსა“ და „წყალს“ და ქართველურსავე სუფიქს -ად-ად.

მართლაც, უეჭველია რომ ქართ. „ტბა“-ს ადრინდელი ფორმა „ტაბა“-ა. ამას მოწმობს ამ ფუძის შესატყვიები სხვა ქართველურ ენებში (იხ. ქვემოთ). ეს ფორმა შენახულია დღემდე საქართველოს ტოპონიმიკაშიც:

„ტაბა-ხმელა“, სამს სხვადასხვა ადგილას, ნიშნავს „ამომზრალ ტბა“-ს; „ტაბაწყური“ ანუ „ტაბისყური“ ეწოდება დიდ ტბას თრიალეთში, და ამ სახელწოდების პირველ ნახევარში ჩვენ იმავე სიტყვას ვპოულობთ; — „ტაბაყურა“ ეწოდება ერთს ტბას დასავლ. საქართველოში და სხვ.

-ალ-იც, თავისი დიალექტური ვარიანტით, -არ-ით ( -ელ-იც, უეჭველია, ამ ჯგუფს ეკუთვნის) კარგად ცნობილი სიტყვათმწარმოებელი ქართველური სუფიქსია, როელიც, კერძოდ, წარმოშობას, წარმომავლობასაც, აღნიშნავს, შეადრ. მალ-ალი, დაბ-ალ-ი, მარგ-ალ-ი (მეგრელი), ომიზ-არ-ი (ომიზელი), ოდიშ-არ-ი (ოდიშელი), სომხთ-არ-ი (სომხთელი), სამშვილდ-არ-ი (სამშვილდელი) და სხვ.<sup>2</sup> ამრიგად, სწორედ ქართველური ენების მასალაზე ტაბალი შეიძლება ახსნილ იქნას, როგორც ტაბელი,

<sup>1</sup> Die hethitische Bilderschrift, 57—58.

<sup>2</sup> ვახუშტი, გეოგრ., ჯან. გავოც., გვ. 55, ამ ტბას „ტბის-ყურა“ ეძახის.

<sup>3</sup> А. Шанидзе, Два чано-шигрельских сѣффика в грузинском и армянском языках, ЗВОРАО, т. XXIII (1916).

ტბელი, ე. ი. ტბის ანუ ზღვის, მაშასადამე, საერთოდ, წყლის ქაცი, ხალხი. კარხემიშის იდეოგრამა ქართულად იხსნება.

უნდა ითქვას, რომ მოცემულ ეთნიკურ ტერმინის ფუძეში სიტყვა „ტბის“ ძირს სხვა მკვლევარნიც ეძებდნენ. მ. ჯანაშილი, მაგ., სწერდა:

„ტბეთი—ტბინი აღვილი. ტობა—ტაბა—ტბა და აქედან სახელები ტბათა და სოფელთა... ამავე სახელს ჩვენ ეუკავშირებთ მეშხების (მესხების) მეზობლად მცხოვრებ ერის ტუბალებს (თობელების) სახელს. ტბეთის ეპისკოპოსებს ერქვათ ტბული, ტბევარი, ძველის გამოთქმით იქნებოდა ტობელი—ტაბალი და ეს კი უახლოვდება ლურსმულ წარწერების ტაბალს—ბიბლიის თობელს (ტუბალს)“-ო' და სხვ. ჯანაშილის მკვლეობა, რათქმუნდა, ზუსტი არ არის, მაგრამ საერთო მოსაზრება საყურადღებოა.

ასევე აკად. ნ. მარს სახელწოდებანი „შირერი“, „იბერი“ და მათი მთელი მრავლსახეობა, ტბელი და სხვა შესაძლებლად მიიჩნდა „წყლის“ მნიშვნელობაზე დაეყვანა. მაგრამ მარს თავისი აზრი მეტად ბუნდოვანი ფორმითა აქვს გამოთქმული და ფუძის სემანტიკურ მნიშვნელობათა წრე შეუწყნარებელ ფარგლებამდე აქვს გაფართოებული<sup>2</sup>.

მართლაც, ეთნიკური სახელების ამგვარი წარმოშობა შეუძლებელი სრულებით არ არის. სხვა არა იყოს რა, საქართველო და კვკასია ამის მრავალმაგალითს იძლევა. გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული წარმოშობისაა ისეთი ქართული სატომო სახელები, როგორცაა „მთიული“—მთისაგან, „მობხევე“—ხევის გან, იქნებ „ხეესური“—აგრეთვე ხევისაგან, „იმერელი“ და სხვ. დალისტნის უძლიერეს ცოჩი, ავარიელები, თავის თავს „მეყარულაუ“-ს ეძახის, რაც ნამდ ილად „მთიელს“ ნიშნავს. ამგვარი მაგალითების გაძრავლება შეიძლება. მაგრამ ისეთი შემთხვევებიც არა უციერა, როცა ხალხი შეცთომით ხსნის თავის სახელს, გეოგრაფიული თუ სხვა მნიშვნელ-ბის, ფუძის საშუალებით. აფხაზები, მაგ., დარწმუნებული არიან რომ „აჟუს-უა“—აფაზი, და „აფს-ნე“—აფხაზე იი, დაკავშირებულაა სიტყვა აფს-სთან (-სული), რომ აფსნე, ამრიგად, „სულის ქვეყანას“ ნიშნავს. მაგრამ ეს შეცთომბა, სათანადო ფუძეების შემთხვევითი გარეგნული

<sup>1</sup> ვახუშტი, გეოგრაფია, ჯანაშილის გამოც, ტფ. 1904 წ., შენ. 412.

<sup>2</sup> «Но вместе со сширанными u-har || u-ha+u сохранили свое существование разповилности сибирийского тина suhar || su-har, имено, tu-har || tu-hel, откуда рядом с нарицательным значением 'вода' на 'неба+ида', так в м. to-ba озеро, г. ti-ba, а в связи с его космическим значением 'неба' и астрально 'солнца' или 'луны'—племенные названия с сохранием исходного плавогу (I || r || h- || har (h-hel), ti+har-en'm, все разновидности шимера или шера, а затем по связи микрокосма с частями космоса 'глаз-светило', так например г. mi-wal glaz' и г. mi-war-c 'луна', 'месяц' по увязыванию 'металлов' с 'небом' и s-pil и 'a-pag', что в составе скрещенных слов грузинского s-pil-en-ს и арм. a-pag-an-ჰან 'драсет (дрозован)', 'оронза' и т. и. » ИС VII, 208.—ეს ამონაწერი გადმოშვა არ. ჩიქობავამ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ.

შგავსების ნიადაგზე აღმოცენებული, როგორც ეს სხვაგან იქნება ჩვენ მიერ ნაჩვენები.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთსავე გარეგნულ მსგავსებასთან გვაქვს საქმე ჯაბალის შემთხვევაშიაც. კარხემიშის იდეოგრაფიაში წარმოდგენილი გაგება ჯერო ხალხური ეტიმოლოგიაა, ვიდრე ნამდვილი.

საქმე ისაა, რომ მოცემული სატომო სახელის ფუძის თავიკიდური ბგერა, იგი ცნობების მიხედვით, არის მშენიერი წინაენისმიერი თ, და არა მკვეთ-ი ტ, როგორც ეს წარმოდგენილია „ტბა“-ში. ასეა ეს „დაბადების“ თუ-ალ-თობელში, საიდანაც იგი ბერძნულმაც შეითვისა „თეტას“ ფორმით, და სხვა ენებმაც, რომელთაც ეს გრაფიკული შესაძლებლობა ჰქონდათ, სათანადო ასოთი გამოხატეს, მაგ. ქართულმა „თან“-ით<sup>1</sup>. ასევე ასურულშიაც. სურულს ლურსულ ტექსტებში, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთ მთვანში, რო-ელზედაც მკვლევარს ტფილისში ხელი მიუწვდება, იკითხება „თა-ბა-ლი“<sup>2</sup>. ალხური ახსნისათვის მოცემული ფუძეების ეს ფონეტიკური სხვაობა დიდ დაბრკოლებას არ შეადგენდა, რეალური ეტიმოლოგიის ძიებისას-კი მას სრული ნგარიში უნდა გაეწიოს. ჩვენ მიერ წარმოდგენილი განმარტება კარხემიშის სარწერის იდეოგრაფიისათვის, რომელიც ცხადია სწორედ ხალხური ახსნის ნა-ყოფია და არა ლინგვისტური ანალიზისა, ამიტომ მთლიანად ძალაში რჩება.

ასურული წარწერების „თაბალი“ და დაბადების „თუბალ“-„თობელ“ რომ რეალურად ერთსადაიმევე ხალხს გულისხმობს, ეს ჩანს სათანადო გეოგ-რაფიული წარმოდგენებიდან ამ ხალხის ადგილსამყოფელის შესახებ: თუ ასუ-რელებისათვის თაბალების ტერიტორია ჩრდილო-დასავლეთისაკენ მდებარეა, ებრაელი ავტორების მიერ თუბალ-თობელთა მიწა-წყალი უკვე ჩრდილოეთი-თაა ნაგულისხმევი, ხმელთაშუა ზღვის მონაპირე ხალხთა მებობლად. ეს ცხადი ხდება სათანადო ბიბლიური ადგილების განხილვიდან, რაც, გარდა ამისა, ააშკარავებს თაბალების სატომო სახელის ახალს დიალექტურ ფორ-მებს და უაღრესად საყურადღებო ნიშნებს სათანადო ტომთა კულტურული ერთარების შესახებ.

როგორც ცნობილია, ჩვენთვის საინტერესო სატომო სახელი „დაბადე-ბაში“ ჩვენ გვხვდება, უწინარეს ყოვლისა, გენეალოგიურ სიებში. „შესაქმეთა“ წიგნის IV თავში, ადამის მეექვსე შთამომავალს ლამებს ერთი ცოლისგან ჰყავს შვილები აბაბლ და აუბალ, ხოლო მეორე ცოლისგან ჰყავს ვაყი თუბალ-კინი (იგივე თობელი) და ასული ნოემა<sup>3</sup>. ხოლო იმავე წიგნის მეათე თავში წარ-

<sup>1</sup> იხ. W. Gesenius. Handwörterbuch über das Alte Testament, bearbeitet von Dr F. Buhl, z. v. S. 865. აქ სხვათა შორის, აგრეთვე აღიარებულია კავშირი ებრ. თუბალ-სა, ასურ. ტაბალსა და ბერძნ. ტიბარენს შორის. ცნობა გვხვნიუსიდან, ჩვენი თხოვნით, მოგვაწო-და გ. წერეთელმა, რისთვისაც, ისევე როგორც ჯეროთ მოტანილი ასურული ლურსული ტექსტებიდან სათანადო ცნობის აღმოღებისათვის, მადლობას მოვასხენებთ.

<sup>2</sup> Une relation de la huitième campagne de Sargon (714 av. J. C.). Texte assyrien inédit, publié et traduit par Francois Thureau-Dangin. Paris, 1912, p. p. 54-55, 78-79.

<sup>3</sup> ჩვენ სამწუხაროდ დღემდე არ მოგვეპოვება ქართული „დაბადების“ ოდნავ ხეირიანი გამოცემა, ამიტომ იძულებული ვართ სხვა თარგმანებს მივმართოთ, ამ ჩვენთვის საყურადღებო სახელების მართლწერის დაცვისას.

მოდგენილია უკვე განსხვავებული გენეალოგიური შტო: თუბალი უკვე ლამების უშუალო შთამომავალი კი არ არის, არამედ მისი შვილისშვილის იაფეტისა. თობელის ძმებადაც აქ მოხსენებული არ არიან აბალი და აუბალი, არამედ სხვები (მათ შორის იავან და მესეხი).

მეცნიერებაში უეჭველად არის მიჩნეული რომ ადამის შთამომავლობის ამ სიებში „შესაქმეთა“ წიგნის შემდგენელნი ცდილობდნენ, განპიროვნებული სახით, წარმოედგინათ ის ხალხები, რომელნიც ცნობილი იყვნენ ძველი ებრაელებისათვის. მეცნიერთა არა ერთგზის უცდიათ აგრეთვე ამ ეთნარქების ვინაობის ამოხსნა. ამ მეცნიერთა უმრავლესობა ფიქრობს რომ კერძოდ „თუბალი“ ტიბარენების წინაპარია. პოლცინგერის მტკიცებით, სახელები „ლამებ“, „აბალ“, „აუბალ“ ებრაულში სხვაგან არსად გვხვდება და რომ, კერძოდ, „ლამების“ ებრაულად ახსნა შეუძლებელია. გუნკელმა აბალ, აუბალ და თუბალკაინი მონათესავე სახელებად მიიჩნია და უძველეს სახედ თუბალი გამოაცხადა<sup>1</sup>.

საკითხის ერთი უკანასკნელ მკვლევართაგანი, I. Dhorme, რომელმაც იაფეტის შთამომავლობას („შესაქმეთა“, X) სპეციალური გამოკვლევა უძღვნა<sup>2</sup>, ცდილობს ამ მრავალრიცხოვან იაფეტთან ძმებს (გომერ, მაგოგ, მადამ, ააფან, თუბალ, მეშექ, თირას) თვითთულს თავისი ისტორიული და ეთნოლოგიური ადგილი მოუჩინოს, კერძოდ, ბიბლიური ცნობების ლურსმული მწერლობის ჩვენებათა საშუალებით განმარტების ნიადაგზე. აი, აეტორის ზოგიერთი მოსაზრება.

გომერ, ნამდვილად უნდა იკითხებოდეს „გიმირი“ (სებტანტ. „გამერ“, სირ. „გომორ“, ეულგ. „გომერ“ მიუთითებენ რომ ხმოვანთა გამოთქმა არ იყო ერთგვარი), უდრის ლურსმულის „გიმირი“, რაც შემდეგში ბერძნებმა „კიმერონის“ სახით გადმოსცეს (დასახ. ნაშრ., 29-30).

მადამ, ასურ. მადან, მიდიელებს აღნიშნავს. ზოგიერთი მკვლევარის მაგ., პროზნის, ცდას, დაინახონ მადამში მიტა, მიტანი, დორში სახითათო ეტიმოლოგიების კატეგორიას მიაკუთვნებს (იქვე, 32-35).

იავან იონია. დორში ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას რომ ზოგან სებტ-ს ეს სიტყვა შეცვლილი აქვს „ელადითა“ და „ელინით“. ტრადიცია სცნობდა რომ ებრ. ტექსტის თანხმონები აენ შეესატყვისება ბერძნ. იონსო (იქვე, 35-36). საყურადღებო პარალელია ი. ფლაბიოსის მიერ დაცული ტრადიციისათვის—თუბალ—იბერ!

თუბალ სებტანტა: *Thubal*, *Thubal*, ზოგჯერ—*Thubal* (sic! ს. ჯ.); ეულგ.: *Thubal*, რაც მისდევს ებრაულს. ნარამ-სინის ხანაში გვხვდება მთა ტიბა-არ. ტიბარ შესატყვისია ხეთური ტექსტების ტიბალ-ის და ასურული ტექსტების ტაბალ-ის. ბიბლიის „ტუბალ“ უნდა გაიგივებულ იქნას იმ ქვეყნებთან, რომელნიც იწოდებიან ტიბარ, ტიპალ, ტაბალ. შემდეგ აეტორი, ასურული ცნობების ანალიზით, მიდის, ტაბალის ტერიტორიის შესახებ, იმავე დასკვნამდე, რომელიც ზემოთ იყო გადმოცემული. დორში უეჭველად მიაჩნია ტაბალისა და ტიბარენის კავშირი, მხოლოდ პირველს, ჩანს, ქვეყნის სახელად სთვლის, მე-

<sup>1</sup> იბ. ჯანაშიაშვილი, დასახ. ნაშრ., 30-31.

<sup>2</sup> Les peuples issus de Japhet d'après le chapitre X de Genèse, «Syria», t. XIII, P. 1932. Premier fascicule, p. p. 28-49.

რეს-კი ტომისად. ტიბარენების ეთნიკური ეინაობის შესახებ მას სათქმელი არაფერი აქვს (იქვე, 37-39, 49).

ასევე უეჭველად მიაჩნია დორმს ბიბლ. მეშხის კავშირი ასურ. მუსკუ # მუშკუ-სა და ბერძნ. მოსხებთან. შემდეგში მოსხები ტიბარენების აღმოსავლელი მეზობლები იყვნენ და მათ ეკირათ არმენიის ჩრდილო-დასავლეთი, პონტოს აღმოსავლეთ საზღვრამდე. და, ჩრდილოეთი -, კოლხეთამდეო (იქვე, 39-40, 49). შემდეგ საყურადღებოა რომ თ ი რ ა ს, ჰიეროგლიფური ცნობების საშუალებით, დორმს შესაძლებლად მიაჩნია დაუახლოვოს ტირსენებს ანუ ტირარენებს, ე. ი. ეტრუსკებს (იქვე, 40-41, 49).

დასასრულ აღნიშნავთ რომ დორმით, ა შ კ ე ნ ა ზ ი ს ა კ ა - ს კ ე ი თ ს უ კ ა ე შ ი რ - დ ე ბ ა (41-42), ხოლო თ ო გ ა რ მ ა (ასურ. „ტილგარიმბუ“; ბოლან-ქოის ტექსტების „ტიგარაშა“, „ტაგარაშ“, „ტაკარამა“) საძიებელია კარხემიშისა და ხარხანის მეზობლად. კარხემიშ-ხარხანის დიდი გზის ჩრდილოეთით, იგი უახლოვდებოდა მელიდისა და ტაბალის ქვეყნებს, და ისტორიულადაც უკანასკნელთან იყო დაკავშირებული (იქვე, 42-44). აეტორის საერთო დასკვნით, იაფეტის სახელს ქვეშ ბიბლია აერთიანებს ყველა იმ ხალხს, რომელნიც ესაზღვრებოდნენ ეთნიკურ სანაპიროს და რომელთაც ეკირათ სირიის ჩრდილოეთის სანახებნი და მესოპოტამიის აღმოსავლეთი, და რომელნიც ამავე დროს განსხვავდებოდნენ სემიტური ტიპისაგან ფიზიკური გარეგნობით, ენითა და ზნეჩვეულებით (იქვე, 49). ეს დასკვნა საეროდ სიმართლიანია, რაოქსაუნდა. ბიბლიის აეტორებს ჩვენ ვერ მოვსთხოვთ ზუსტ ენაოიციეირულს, ეონოლოგორსა და სხე. გარეგანებას. მოუხედავად ამისა, „დაბადების“ ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. ცალკე, ერთმანეთთან განსაკუთრებით ახლო მდგომ, ტომთა ნათესაობის შესახებ ბიბლიის აეტორებს ცნობები უთუოდ ჰქონდათ.

ჩვენიოვის საინტერესო საკითხის შესახებ ბიბლიის ორი სხვადასხვაგვარი ცნობის შეთანხმება ძნელი არ უნდა იყოს. ის გარემოება რომ ერთ შემთხვევაში თუბალი მარტოა დასახელებული, ხოლო მეორე შემთხვევაში მას ძებნიც ჰყავს აბბალი და აუბალი, მოწმობს, ჩვენი აზრით, იმ გარემოებას, რომ ჰირველად ხალხი მთლიანი სახითაა წარმოდგენილი. მეორედ-კი თავისი მთავარი ტომების სახით. ადვილად იხსნება თუბალის ორმაგი სახელიც თუბალ-კაინი და თობელი: „კაინი“ || „კენნი“ აქ ეპითეტია, რომელიც, სათანადო სემიტური ძირის საშუალებით, „მკედელს“ აღნიშნავს<sup>1</sup>.

თუბალი ხომ უპირატესად მკედელი და მეტალურგია. შესაძლებელია ისიც (მარი, ჯავახიშვილი) რომ აქ გუქონდეს სათანადო სატომო სახელის გააზრიალება (,,კაენებს“, როგორც ვნახეთ, იხსენიებს პლინიუსი, და შემდეგში ცნობილი არიან კანნი-ოკენიტნიც).

მეოთხე თავის ცნობაში საყურადღებოა ფუძის აბალი ფორმები, რომლებიც ჩვენ წინათ არ შეგვხვედრია თაკედური თ || ტ-ს ნაცვლად ა. ეს, უეჭველია, აბალი სათეხურია ამ სახელის განვითარებაში. ამ ცნობით მოცემული შესატყვისობანი: თ || ტ • მ || მ • ( ) სათუძველს აძლევენ ივ. ჯავახიშვილსა და

<sup>1</sup> R. Eisler, Das Qainszeichen und die Qeniter, „Le Monde Oriental“, 1929, vol. XXIII, fasc. 1-3.

ი. ყიფშიძეს თუბალ-თაბალი და იბერი, შუალედი რგოლებით, ეროვნულ დაუკავშირონ<sup>1</sup>. პროფ. ივ. ჯავახიშვილი ამასთანავე გამოსთქვამს მოსაზრებას რომ ტაბალ ქართველის გამოსთქვაა, ტუბალ-ტობალ მეგრულ-ქანურის; ხოლო ტობარ-კი სვანურ გამოსთქვამს უახლოედებაო (იქვე).

საკმარისია მოვიგონოთ ასურული ცნობა ტაბალების 24 სამეფოს არსებობის შესახებ, რომ პარალელური ფორმების ასეთი სიმდიდრე საესებო ბუნებრივად მიეიწინოთ და სხვა დაკარგული ფორმებიც ვივარაუდოთ.

თაბალ, თუბალ, ტაბარ-ტიბარ-ის ურთიერთობისათვის საინტერესოა გვიველისწინოთ სწორედ იმ სიტყვის ისტორია ქართველურ ენებში, რომლის საშუალებითაც, ჩვენი აზრით, კარხემიშის წარწერა ხსნის „თაბალი“-ს მნიშვნელობას.

ახალ-ქართული „ტა“ მოდის ძველი ქართული „ტაბა“-დან (შეადრ. თაბალი || ტაბარი!); მეგრულში მას შეესატყვისება „ტობა“ (თობელ-თუბალი); სვანურში, ფორმა ტომბ-ის (ტბა!) გარდა, გვხვდება ტეიბ (ტუბ), ტეიბრა (ტუბრა) მდინარე, ლელე რაც, უგუქელია, ამავე ძირისაა, რომელსაც აქ თავისი უძველესი მნიშვნელობათაგანი, „წყალი“, აქვს დაკული, როგორც კარხემიშის იდუგამაშა წარმოდგენილი<sup>2</sup>, შეადრ. აუბალ! ქანურში-კი, ტობას გვერდით და იმავე მნიშვნელობით, გვაქვს „ტიბა“<sup>3</sup>; შეადრ. ტიბარ, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა. ყველაფერი გვიჩვენებს რომ ამ გადასვლებისათვის ქართველურ ენებში კანონზომიერი საფუძველი არსებობდა.

დასასრულ, მოვიგონოთ, როგორ ახასიათებს ამ ქართველურს მოძვე ტომებს „შესაქმეთა წიგნი“-ს ავტორი. თობელის ანუ თუბალ-კაინის შესახებ აქ ნათქვამია: „ესე იყო კვერით ბურომ, მკედელი რეალისა და რკინისა“ (IV 22). თუ ამას დაუკავშირებთ, თანამედროვე არქეოლოგიის მიერ დადგენილ ფაქტს რომ ბრინჯაოს შესანიშნავი კულტურა, რომელსაც წინათ ყობანის კულტურას ეძახდნენ, ნამდვილად კოლხეთის კულტურაა, რომ ამ კულტურის აყვავების ხანა სწორედ თაბალ-თუბალის ეპოქაზე მოდის, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურა, უახლესი აღმოჩენებით, ვრცელდება შორს სამხრეთით მცირე აზიისკენ (ვგულისხმობთ ართვინისა და ორდუს განძებს) მაშინ ბუნებრივად შეიძლება დავსვათ საკითხი: ხომ არ არის კოლხური ბრინჯაოს კულტურა ნამდვილად თუბალების ანუ იმავე თუბალ-კაინების კულტურა?

მაბალის შესახებ ნათქვამია: „ესე იყო მამა მკვიდრთა კარგებისათა, სცხოვარისა მზრდელთა“ (IV 20). აქ ქართული შესაქონლეობის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ცნობაა მოცემული, რომელიც სპეციალურად უნდა იყოს შესწავლილი.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ. I 23-24; ყიფშიძე, მეგრ. გრამ. XIII-XIV; თავადური წინაწინამიერის დაკარგვისათვის ე. თოფურიამ ჩვენი ყურადღება მიაქცია ქართ. ტუბლისა და მეგრ. ყობურის შესატყვისობაზე.

<sup>2</sup> სვან. ტეიბრა სრული სემანტიკური შესატყვისობაა ქართ. ბევ-ის, სადაც აგრეთვე სიტყვა „წყალი“ ხე მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი.

<sup>3</sup> მარი, კან. გრამატიკა, ლექსიკონი.



С. И. ДЖАНАШИА

## ТУБАЛ-ТАБАЛ, ТИБАРЕН, ИБЕР

## (РЕЗЮМЕ)

I. Устанавливается обще-картвельская структура племенных названий: основа + суффикс. -ан || -ен, что аргументируется соответствующим оформлением западно-грузинских племенных названий, сохранившихся до настоящего времени или восстанавливаемых, путем исторического анализа: ся-ан (шу-ан, шо-ан), э-ан (первоначальное название мегрелов), ч-ан (џ-ан, собственное название лазов). Специально обсуждается история и взаимоотношение э-ан'а и ч'ан'а: устанавливаются их варианты: цан (џан, название до-абхазского населения Абхазии), ч-ен (џ-ен) ц-ен (џ-ен), ка-ен, и восстанавливается, предположительно, общая форма данного племенного названия -с -ан. Исследуется вопрос о происхождении названия «лаз» и его связь с местным термином «клардж» (კლარჯი). Специально рассматривается вопрос о передаче картвельских звуков (з, ц-џ, ч-џ) в транскрипции античных писателей и устанавливается, в данных названиях, σ = с, ζ || з = з, τџ = ч-џ (сан, зан, чан). Привлекаются древние греческие, римские, грузинские, армянские, русские, итальянские и пр. источники, этнографический материал, а также научная литература вопроса (Марр, Джавахишвили, Кипиандзе, Чикобава).

II. Рассматривается вопрос о существовании суффикса -ан || -ен, который признается собирательным суффиксом картвельских языков, possessing также вторичные значения (обладания определенным признаком, происхождения, топонимического названия), а также словообразовательную функцию (в частности, образования уменьшительных имен). Исследуются указанные значения суффикса, прилагаемого к основе или непосредственно или через посредство инфиксов -и-, -е-, -о-, -у-, -в- (-и-, в данном случае, является развитием одного из указанных гласных); -в- (|| -б-), в большинстве случаев, является между данными гласными инфиксами и суффиксом.

1) -ан, со своими вариантами, в качестве собирательного (корпоративного) форманта, указывается:

а) в окончаниях картвельских фамильных имен: *свин.*: Калд-ан, Рат-и-ан, Гел-о-ан... *груз.* Орбел-и-ан-и, Баграт-о-о-ан-и; собирательные: Циц-и-и-и, Отар-а-и-и, Звиад-е-и-и; окончания мегрельск. фамильных имен на -на и на -ва, рассматриваются, как усеченные -нан и -ван (Бер-на из Бер-и-ан || Чет-на из Чет-и-ан-и, Галд-ава из Галд-а-о-ан-и; ср. мегр. народы Дадаи, Липартиа и литературно-историч. (ставшие официальными формами) — Дадзани, Липартиани...); в этих же окончаниях имеем варианты суффикса -он, -ун (Габа-он-и, Хух-ун-и...).

б) в окончаниях корпоративных обозначений, -ан и -он: макр-и-ан-и || макр-и-он-и, свадебные дружки; хат-и-он-и, служители «хати», святилища...

2. В качестве форманта обладания признаком:

а) *мэ-и-ан-и*, солнечный; *имед-и-ан-и*, обладающий надеждой; *сахел-о-в-ан-и*, именитый; *сахаруа-с-о-ан-и* (ар.-груз. форма), радостный;

б) вариант *-ои*, в мегрельском и чанском: *булут-ои-и*, облачный (чан.), *гвнмар-ои-и*, место, покрытое парротником (мегр.);

п) *-ун*, в мегр. и чан.: *бнхеп-ун-а*, виноградник.

3. В качестве форманта происхождения:

а) *-и-ан*: *Джуашиер-и-ан-и*, Джуашиерид;

б) *-с-ан*: *Мам-с-ан-и*, Мамаев, Маманд;

в) *-(о)-в-ан*: *Хуасрю-в-ан-и*, Хосронд;

к) *-и-ои*: *Шатил-и-ои-и*, Шатилец (хевсур. ф.).

4. В качестве топонимического форманта:

а) *-и-ан*: *Ваз-и-ан-и*;

б) *о-ан*: *Цабл-о-ан-и*;

п) *-о-в-ан*: *Тел-о-в-ан-и*;

г) *-с-в-ан*: *Рат-с-в-ан-и*;

д) *-у-в-ан*: *Схл-у-в-ан-и*;

е) *-и-ои*: *Бахтр-и-ои-и*;

ж) *-ои* и *-ун* (в чанск. и мегр.): *Кват-ои-и*.

Суффикс *-ои* порой нарастает на основу, представленную в форме множественного числа: *Джик-еп-ои-и* (от *Джик-еп-и*) ср. *Джик-т-убан-и* (в груз. оформлении) (ср. 2 в: бнхепуна). Некоторые географические названия (назв. деревень) являют собой окаменевшие фамильные прозвища: *Оза-ан-и* (от: *Оза-шнлтеб-и*), *Бен-и-ан-т* «кар-и».

В качестве словообразовательного форманта:

*санатр-и-ои-и* (Шангели), ср. *санатр-ел-и*, железный; *джер-о-в-ан-и* и *джер-о-ан-и*, должный; уменьшительные имена: *качаг-ан-а* (от *качаг-и*), *эшмак-ун-а* (от: *эшмак-и*).

Данный суффикс указывается в некоторых соседних, находившихся в длительном культурном взаимодействии с картвельскими, языках: в армянск. фамильных окончаниях *-уни* (Баграту-ни) и *-иан* (от еан: Мамикониан) и в осет. суффиксе происхождения *-ои*: *кас-ои*—черкес (ср. др. русск.—касог).

Предполагается, что с данным суффиксом находится в связи др. груз. формант множ. ч. *-и*, усеченный (Марр, Чикобава) от *-и* (и *-ан*, С. Д). Принимаются исторические (ар. грузинские), диалектологические, этнографические источники.

Цитируются: Марр, Кипшидзе, Чикобава, Шанидзе, Макалатиа и др.

III. Подробно рассматривается история племенного названия восточных грузин, «ибера», с основой которого научная литература вопроса связывает арм. *Գիր-ր*, др. перс. *вр-к-ан*, сир. *гур-э-ан*, и.-перс. *гур-дж*. Указывается происхождение от той-же основы, через посредство восточных

форм: русск. груз-ин (первонач. «гурз-ин»), осет. гурдз-иаг, черк. курджи и др. Указывается значение (древность) формы, засвидетельствованной римск. источниками-- *hibet*. Доказывается происхождение от данной основы ново-европ. названий грузин (фр. *Géorgien*, англ. *Georgian*, нем. *Georgiet*) и отвергается их греч. этимология (от *γερστρος*). Указывается возникновение этой формы из контаминированной араб.-перс. формы джурдж (*جورج*) через итальянское ее написание: *Georgi*,- *Giorgi*,- *Jorgi*,- что документировано показаниями источников XIII-XIV вв. Латинское чтение итальянского написания кладет начало форме «Георг» (напр., немецкой).

Привлекаются древние греческие, латинские, армянские, источники.

Цитируются Джавахишвили, Бартольд, Вахуштий, Тамарашвили...

IV. Согласно вышеустановленной общекартвельской структуре племенных названий на -ан восстанавливается форма *ибер-ан* || *hibet-an*, что делает более вероятной генетическую связь кавк. *ибер-ан* с южночерноморскими тибарелами, предполагаемую многими авторами (Джавахишвили, Марр, Сен-Мартен, Киперт, Уелар и др.).

Делаются замечания в области распространения и истории названия «тибарен-ов» и устанавливаются следующие его исторические и диалектологические формы: тибар, тибаран || тибарен || табарен || табарен, тибран, что дает параллельные формы, как для суффикса -ан || ен, так и для основы: тибар || табар || табар и, предположительно, тибер.

Устанавливается существование третьей части того же народа, под названием табаран'ов, в I в. до н. э., во внутренних районах Малой Азии, что рассматривается, как указание на древнейшую территорию расселения племени и подтверждение формы табар.

Привлекаются древние греко-римские и византийские источники. Цитируются Джавахишвили, Марр, Сен-Мартен, Киперт, Уелар и др.

V. На основании всего приведенного материала и восстановленных форм вновь аргументируется связь *ибер-ан*-грузин, через тибар-табаров, с табл-ами, ассирийских источников, с одной стороны, и тубазами Библии, с другой. Делается попытка объяснить установленный E. Forger'ом (D. he-thitische Bilderschrift), предположившим, что «табат» ассир. клинопис. надписей есть общее название для всех хетских племен, посетителей пероглифического штемпля, факт передачи названий своей страны и родного народа, в хетских пероглифическ. («табальских») надписях (из Кархемиша) посредством идеограмм «воды», «морья» («страна воды, морья», «люди страны воды, морья», «люди воды, морья»). Название, переданное через идеограмму, фонетически звучаю, как «табат» (что осталось незамеченным для Форрера), а «табат» (по клинописи и еврейскому тексту, началом согласный—t придыхательный, а не t), по народной этимологии, игнорировавшей различие между t и t̄, объяснялся именно, как «человек воды, морья» при по-

моши картвельского языкового материала: груз. «таба» (древняя форма для современ. «тба») (озеро, море); иввр. «тоба»—озеро, глубокая вода; чанск. «тоба» || «тиба»—озеро; сванск. «томб»—озеро, «тиб», «тибра»—ущелье, речка; суфр. -ал; вариант -ар, -ала—формант происхождения; табал-ал || тоба-ал || табал-ар—человек воды, моря. Отвергается объяснение Форрера, предлагающего читать кархемнискую идеограмму, как «пеласг», с греческой этимологией последнего (от «пеллаг-ос»—море).

Наконец, комментируются библейские генеалогии и характеристики табальских племен («Бытия», гл. IV, V, X)—Набала, Иубала и Тубал-Канна или Тобела, различных ветвей одного и того же народа (24 царства «табало», по ассирийским сообщениям!). «Канн» рассматривается, как эпитет «кузнец» (от соответств. семитич. корня), и на основании библейских сообщений о роде занятий Тубала, в свете данных современной археологии (Кобанская бронзовая культура есть, на самом деле, Колхидская—мысль, высказываемая акад. Мещаниновым и др.; находка памятников «кобанско-колхидской культуры в Арташе, Орду...), делается предположение, что, в действительности, «кобанско-колхидская культура есть культура тубалов или тубал-каннов. Сообщение об Иубале, что он—отец всех играющих на гуслях и свирели, сопоставляется с др. греческим преданием о том, что древнейшие греческие поэты, Лин, Орфей и, учитель Гомера, Пропаид, пользовались отличным от финикийского, пеласгийским (т. е., по существу, древне-переднеазиатским, хетским) письмом, что рассматривается как указание на высокий уровень хетско-табальской культуры и ее роль в формировании греческой и римской цивилизации. Указывается, что «табальская эпоха» есть лишь один из этапов развития данных племен, и что через культурное содержание табало-тубальской эпохи и при помощи самих этнических терминов tabal || tubal мы восходим к более ранним ступеням развития (к «субарам» и «шумерам»). Наконец, делается предположение, что имя этнарха, Ламеха, отца Набала, Иубала и Тубала, соответствует грузинскому этническому термину «Сомех», первоначально—названию до-армянского населения Армении, перенесенному впоследствии на «хайев»; указывается на употребление чистой основы данного названия «мех» в др.-груз. литературе и значении «армянин», что делает вероятным формальный характер начального слога «ла», а звуковое соответствие «ла» || «со», с точки зрения сравнительной фонетики картвельских языков, допустимо (остается разъяснить функциональное значение выделяемого префикса).

Цитируются Сен-Мартен, Услар, Кипперт, Марр, Кипшидзе, Джавахишвили, [REDACTED] Forrer, Джанашвили, Dhorm, Eisler.